ომი
ომამდე
ომის შემდეგ

ომი
ომამდე
ომის შემდეგ

თბილისი, 2025

ომი, ომამდე, ომის შემდეგ
War and Resilience

პუბლიკაცია მომზადებულია პროექტის „SOLATIUM-ი: სამართლიანობისა და კეთილდღეობისთვის“ ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) დაზარალებულთა ნდობის ფონდის (TFV) მხარდაჭერით.

პროექტი SOLATIUM მიმართულია მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის რეგიონის სოფლებში დასახლებულ 2008 წლის ომით დაზარალებული მოსახლეობის, სამხედრო დანაშაულის მსხვერპლთა, ცალკეული პირების, მათი ოჯახის წევრთა და დევნილთა თემის ფსიქიკური ჯანმრთელობის, სამედიცინო და სოციალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. ამ სერვისს მოსახლეობას აწვდის ფონდის „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი“ მულტიდისციპლინარული, ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქოსოციალური დახმარების გუნდი.

ინტერვიუები ჩაწერეს და წიგნზე მუშაობდნენ: ანა პაპავა,
ანი ასლანიშვილი, გიორგი ფირცხალაიშვილი, თეკლა ლათიბაშვილი,
ნანა ვაშაკიძე, რუსუდან ბადრიაშვილი

გარეკანის დიზაინი: მარიამ კალანდაძე
გრაფიკული დიზაინი: ელენე გაბრიჩიძე
ილუსტრაციები: ანკა ბოჭორიშვილი
რედაქტორი: ნინო აღდგომელაშვილი

წინამდებარე პუბლიკაციის შინაარსი ასახავს რესპონდენტების შეხედულებებს. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორი ორგანიზაციისა და სამუშაო გუნდის პოზიციად.

© საავტორო უფლებები: ფონდი „გლობალური ინიციატივა
ფსიქიატრიაში – თბილისი“

დაბეჭდილია: შპს „ფაუნტეინ ჯორჯია“

ISBN 978-9941-8-7867-1

Global Initiative on Psychiatry Tbilisi

კლუბი სინერგია
CLUB SYNERGY

Fonds au Profit des Victimes
The Trust Fund for Victims

სარჩევი

4 წინასიტყვაობა

5 მადლობა

6 რუკა

---

7 მადონა ოქროპირიძე

16 ანონიმი რესპონდენტი

26 სვეტა მელაძე

38 თამარ (ლალი) ნიკორაშვილი

51 ლიზა ჭულუხაძე და ირაკლი ბერუაშვილი

62 ვიგენდი ჭულუხაძე

68 ანონიმი რესპონდენტი

77 მ. ე.

87 მაია ბაბუციძე

წინასიტყვაობა

მკითხველო, თქვენს წინაშე რთული წიგნია.
ის დიდხანს იქმნებოდა, ძნელად, მტკივნეულად.
ამ ფურცლებზე შიდა ქართლის სოფლებიდან წამოსული ადამიანები იხსენებენ თავიან ცხოვრებას, 2008 წლის ომამდე, ომის დროს და შემდეგ.
ეს პიროვნებების, მათი ოჯახების, სოფლების ისტორიებია და, ვიცით, რომ მსგავსი ისტორიებით იქმნება ერის ისტორია.
აქვე აუცილებლად უნდა დავამატო, რომ ეს მტკივნეული ბიოგრაფიები ამასთან ინსპირაციის წყაროა – გაძლებისა და გატანის, გადარჩენისა და პიროვნული ზრდის მაგალითები.
მინდა, პატივისცემა და მადლიერება გამოვხატო ამ ადამიანების მიმართ, ვინც ინტერვიუებს დათანხმდა და თხრობისას ხელახლა „გაიარა ტრავმაში“, ხელახლა გააცოცხლა შიში, უმწეობა, დაბნეულობა, ღირსების აყრის განცდა, რაც ომსა და მტრობას მოაქვს; თუმცა იქვე გაიხსენა მხარდაჭერისა და გამკლავების ეპიზოდებიც, და გაგვამდიდრა ამ გაზიარებით.
ამ ადამიანებთან ურთიერთობისას, მათი ისტორიების სმენისას, „სოლაციუმის“ გუნდის წევრებს – რუსუდან ბადრიაშვილს და ნანა ვაშაკიძეს – გაუჩნდათ მათი მონათხრობის დოკუმენტირების სურვილი; სურვილი, რომ ჩაეწერათ ეს ამბები. და გაჩნდა წიგნის იდეაც. სამუშაო პროცესში, ინტერვიუების ჩაწერასა და წიგნზე მუშაობაში, ჩართული იყო „სოლაციუმის“ მთელი გუნდი: ანა პაპავა, თეკლა ლათიბაშვილი, ანი ასლანიშვილი, გიორგი ფირცხალაიშვილი. ეს წიგნი ჩვენი კოლეგების და საკუთარ კარ-მიდამოს წლების წინ მოწყვეტილი ადამიანების თანამშრომლობის მაგალითს წარმოადგენს, ნდობის გამოხატვას, გაზიარების სურვილს.
ამ ადამიანების ნაამბობი ისტორიები შემახსენებელია მკითხველისთვის, რომ ჩვენს გვერდით ადამიანთა დიდი ჯგუფები ცხოვრობენ, ვისაც ომის ტრავმის ჭრილობები არ მოშუშებია; რომ დრო, სამწუხაროდ, მკურნალი არ არის.
ჩვენი აზრით, ცოცხალი და მრავალფეროვანი, უმეტესად მთხრობელის სტილ-შენარჩუნებული ისტორიები 17 წლის წინანდელი ომის დაწყების, მიმდინარეობის თუ მისი მოკლე და გრძელვადიანი შედეგების შესახებ კიდევ ერთი რესურსი იქნება ამ პერიოდის აღწერისა და ანალიზისთვის.
ვიმედოვნებთ, ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია გამდიდრდება ღირსეული ადამიანების გამოცდილებების ამსახველი ამ პუბლიკაციით.

ნინო მახაშვილი
გიფ-თბილისის დირექტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მადლობა

მოცემული პუბლიკაციის მხარდაჭერისთვის გვსურს მადლობა გადავუხადოთ:

საერთაშორისო სასამართლოს (ICC) დაზარალებულთა ნდობის ფონდის (TFV) პროგრამების მენეჯერს – ბატონ სკოტ ბარელს.

საერთაშორისო სასამართლოს (ICC) დაზარალებულთა ნდობის ფონდის (TFV) კონსულტანტს, საველე ოფიცერს საქართველოში – ქალბატონ ნინო ტლაშაძეს.

პროექტის მენეჯერს – ქალბატონ მაია ხუნდაძეს.

გიფ-თბილისის თანამშრომლებს – „სოლაციუმის“ ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტებს – ანა პაპავას, ანი ასლანიშვილს, თეკლა ლათიბაშვილს, გიორგი ფირცხალაიშვილს, ნანა ვაშაკიძეს, რუსუდან ბადრიაშვილს. ყველა მათგანს უღრმეს მადლობას ვუხდით ამ ბიოგრაფიების დოკუმენტირებისა და მათდამი ფრთხილი და ეთიკური დამოკიდებულებისთვის.

ცალკე აღნიშვნით, მოხალისეებს – კიმა შაროიანს და მარიკა ტყეშელაშვილს, ასევე, ვაჟა სიხარულიძეს და ლაშა რატიანს.

განსაკუთრებული მადლიერება და პატივისცემა ყველა რესპონდენტს, ვინც დრო დაგვითმო, გაიხსენა თავისი მძიმე გამოცდილება და გულწრფელად გაგვიზიარა განცდები და მოგონებები.

რუკა


ფრონტი
ცხინვალი
ნიქოზი
ზემო ნიქოზი
ერწანი
ეკეკი
ოკამი
ავნევი
ზემო ავნევი
ნიქოზი
ფერისა
ზემო ანჩაბეთი
ქვემო ანჩაბეთი
ოიმარაშენი
ხეითი
ერედვი
ფერისი
ერგნეთი
ეკეკი
ეკეკი
ერგნეთი
ბრონისი
ბერეთი
ქსუისი
ფერისი
ფერისი
ფერ

მადონა ოქროპირიძე

ინტერვიუს თარიღი: 5 მარტი, 2025

აგვისტოს ომამდე

მე ვარ მადონა ოქროპირიძე, დევნილი ცხინვალის რეგიონიდან, სოფელ დისევიდან, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაზარალებული. ჩემი ისტორია ცოტა შორიდან მოდის. წარმოშობით ცხინვალის რეგიონიდან ვარ, მაგრამ თბილისში დავამთავრე სკოლა და უნივერსიტეტი, საიდანაც განაწილებით წავედი ცხინვალში. ჩემი მეუღლეც თბილისში სწავლობდა და სტუდენტობის პერიოდშივე ვიცნობდით ერთმანეთს. როცა ცხინვალში ჩავედით, მაშინ ძალიან, ძალიან უჭირდათ ქართველებს, რადგან, პირველები ყოველთვის ოსები იყვნენ. მაგრამ ჩვენ, ქართველი ერი მაინც ისეთი ვართ, ყველას გულში ვიხუტებთ, მშვიდობა გვინდა და ვცდილობთ, რაც შეიძლება, მეტი სიკეთე გავაკეთოთ. იქ წასვლამდე, სტუდენტობის პერიოდში, აქტიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. ქართულ ენაზე რომ გამოსვლები[1] იყო, მაშინაც ვიღებდი მონაწილეობას.

მიყვარს ჩემი ქვეყანა, უზომოდ მიყვარს ჩემი ხალხი. ბევრჯერ სიკვდილის პირასაც ვმდგარვარ, მაგრამ ჩემი ქვეყნისთვის არ მიღალატია. სტუდენტობის შემდეგ რომ წავედით ცხინვალში, ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო.

დისევში ჩემი მეუღლის მშობლები ცხოვრობდნენ და იქ ვცხოვრობდით. მე ერთ-ერთი მეურნეობის მთავარ ეკონომისტად დავინიშნე (მაშინ კომუნისტური პარტია იშლებოდა, მაგრამ კოლმეურნეობები მაინც იყო). ჩემი მეუღლე ოლქში რევიზორად გავიდა. ერთი სპეციალობის ვიყავით ორივე და ასე ვმოღვაწეობდით. ჩვენ არ ვარჩევდით ეროვნებას. ეს მდგომარეობა ქართველებსა და ოსებს შორის არ უნდა მომხდარიყო იმიტომ, რომ ძალიან ახლოს ვიყავით. ყველაფერი რუსეთიდან მომდინარეობს – ისინი ცდილობდნენ, რომ ყველანაირად გავეთიშეთ და ერთმანეთს დავეპირისპირებინეთ.

90-იან წლებამდე დაბადებულ ხალხს სხვანაირი შეხედულება ჰქონდა ქართულ-ოსურ ურთიერთობაზე და მე ძალიან ბევრი ოსი მეგობარი მყავს იქ. მაგრამ 90-იანი წლების შემდეგ დაბადებულებს უკვე სხვა აგიტაციით ზრდიდნენ – თითქოს, ჩვენ (ქართველები) აგრესორები და დამპყრობლები ვიყავით.

ქართველები, მათ შორის მთავრობა, ყველანაირად ვუწყობდით ხელს ოსებს განვითარებაში. მერე ზვიადი[2] მოვიდა ხელის-

1 იგულისხმება 1978 წლის 14 აპრილის საპროტესტო გამოსვლები თბილისში საქართველოს კომუნისტური პარტიის მიერ ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსის შეცვლის მცდელობის საპასუხოდ

2 ზვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრეზიდენტი

უფლებაში, ეროვნული კაცი. მის გვერდით იყო უჭკვიანესი პიროვნება, კოსტავა. მათ უნდოდათ, რომ საქართველო ტერიტორიულად ერთიანი და ძლიერი ყოფილიყო. ეს ყველას სურვილი იყო მაშინაც და ახლაც. ხომ ყველანაირად ძალიან რთული იყო ის პერიოდი, ეკონომიკურად გინდა თუ სხვა მხრივ – სინათლე არ იყო, არაფერი, მაგრამ ისეთი სითბო იყო, ისეთი სიყვარული იმ ადამიანებს შორის, ვინც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა...

90-იან წლებში იყო საშინელი მდგომარეობა. ფაქტობრივად, ომში ვიყავით 90-იანი წლებიდან. როდესაც დამოუკიდებლობაზე დავიწყეთ ფიქრი და ბრძოლა, იმ დღიდან, განსაკუთრებით, ჩვენი რეგიონი და აფხაზეთი, ომში ვართ. თითქმის ყოველდღე სროლები ზოგჯერ და იყო ხოლმე ღამეები, სახლში არ გვეძინა.



ციხე, საერთოდ, ყოველთვის შიგნიდან ტყდებოდა. შადიმანები[3] არც ახლა გვაკლია და არც მაშინ გვაკლდა, აქტიური ხალხი ვინც იყო, ყველას მონაცემები იცოდნენ – ვინ რას აკეთებდა, ვინ როგორ ფიქრობდა. რადგან მე და ჩემი მეუღლე ეროვნულ მოძრაობაში ვიყავით ჩართულნი, ჩვენც ვიყავით მათი სამიზნე. პირველად 1992 წელს დაესხნენ ჩვენს სახლს, ღამის 3 საათზე. შემოიჭრნენ რუსები „ბეტეერებით“[4] და ჩემი მეუღლე წაიყვანეს. სახლში რომ

3 შადიმან ბარათაშვილი – მოღალატის ერთგვარი სიმბოლო საქართველოს ისტორიაში

4 ჯავშანმანქანა (რუს.)

შემოცვივდნენ (ისე მწარედ მაგონდება), სამი პატარა შვილი მყავდა. არ ვუშვებდი ჩემს მეუღლესთან ახლოს. მერე ბავშვებს საბანი დაააფარეს და მე ისე მცემეს, ჩემი მეუღლე კი წაიყვანეს. მეც ცხინვალში წამიყვანეს, მძევლად ამიყვანეს.

წინა დღეს ერედვზე იყო თავდასხმა, მეორე დღეს იყო ჩვენზე. ჩემი თანასოფლელი ქალბატონი ლ. იქ იყო უკვე. ისიც აიყვანეს მძევლად. როცა მიგვიყვანეს, არაადამიანურად გვაწამეს – ფსიქოლოგიურად გინდათ, ფიზიკურად გინდათ... ძალიან მეძნელება ხოლმე გახსენება, მაგრამ დავიწყება ნამდვილად არ შეიძლება, იმიტომ, რომ მე იმ სირთულეებმა და იმ მძიმე წლებმა, იმ მძიმე მდგომარეობამ უფრო გამაძლიერა.

ყოველდღე, დილით რომ გვაყენებდნენ, ფანჯრიდან გვაცქერინებდნენ დიდ ქვაბს, რომელშიც ადუღებდნენ წყალს – ამ წყალში უნდა მოგხარშოთო, გვეუბნებოდნენ. რას არ მაპატიებდნენ? რომ მე ჩემი ქვეყანა მიყვარდა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და დამოუკიდებლობა მინდოდა. ამას არ მაპატიებდნენ, თორემ არც მე და არც ჩემს მეუღლეს ცუდი არაფერი გაგვიკეთებია. ჩემს მეუღლესთან ერთად თავისი მეგობარიც იყო და ისინი არაადამიანურად აწამეს. მე ვეხვეწებოდი, ოღონდ ის გაუშვით და მე მაწამეთ-მეთქი. ვფიქრობდი, რომ ის მაინც მამაკაცი იყო და უფრო მეტს გააკეთებდა ქვეყნისთვის და ხალხისთვის, ვიდრე მე. არავინ დამიჯერა...

ჩემი მეუღლე ცხინვალში, თეატრის წინ, რამდენიმე დღე ხეზე ჰყავდათ დაკიდებული და ცოცხლად ნაწილებს აჭრიდნენ; ხან დროშას მიუტანდნენ რუსეთისას, ოსეთისას – დაიჩოქე ამ დროშის წინაშეო. ის კი ეუბნებოდა: არა, მომიტანეთ ჩემი საქართველოს დროშა, მომიტანეთ და ჩემი დროშის წინაშე დავიჩოქებო. თან სცემდნენ (ოსებისგან და იქ მაყურებლებისგან მაქვს ეს ყველაფერი გადმოცემული). ეს არის 1992 წელი. მერე ეუბნებოდნენ თურმე, თქვი, რომ ეს მიწა საქართველოსი არ არისო და ის მაინც გაიძახოდა, რომ ეს მიწა საქართველოსიაო. ასე რამდენიმე დღე აწამეს და წამებისას დაიღუპა. მერე, როგორც გადმოცემით ვიცი, ერთ-ერთ ოსს უთქვია: რას უშვრებით ხალხო, ეს ხომ ჩვენი ანდრო არისო... ძალიან ბევრი ოსი მეგობარი ჰყავდა.

მე ერთი კვირა ვიყავი მძევლად, მაწამებდნენ. მერე ძალიან ცუდად გავხდი და გამომიყვანეს. სხვათა შორის, რუსი იყო ერთ-ერთი გამომძიებელი, რომელიც ჩვენს საქმეს იძიებდა. იმ კაცმა რომ შეხედა, ჩვენ მართლა არანაირი დანაშაული გვქონდა, მომიპარა ციხიდან. თვითონ იმ დღესვე წავიდა საქართველოდან, ლენინგრადელი[5]

5 სანქტ-პეტერბურგი, საბჭოთა პერიოდში ლენინგრადად წოდებული

იყო და გაიპარა. გამომიყვანეს და ცხინვალის მისადგომებზე გადმომაგდეს, დამტოვეს რა... საერთაშორისო ორგანიზაციები ახალი შემოსული იყო მაშინ და მერე იმათ გამომიყვანეს.

მე გამოვკეთდი, მაგრამ ჩემი მეუღლის ნაწამები სხეული ხომ უნდა გამოგვეტანა და ყოველდღე ცხინვალის მისადგომებზე ვიდექით. ხან გვატყუებდნენ, ცოცხალია და გამოვუშვებთო. ერთი კაცი იყო ციხეში, აქ ტყვედ აყვანილი ოსი და გაცვლა მოითხოვეს იმაზე. ზვიადთან[6] ჩამოვედი და ვუთხარი, რომ ასეთი მდგომარეობაა და უნდა დაგვეხმაროთ-მეთქი. მე თვითონაც ფეხზე ძლივს ვიდექი, ვეღარ დავდიოდი. დრო დამითქვეს ოსებმა – ამ დროში მოიყვანთ ამ კაცს და გაგატანთ თქვენსასო – არ მეუბნებოდნენ, მიცვალებულს თუ ცოცხალს... ვეღარ მივუსწარით ცოცხალს ჩემს მეუღლეს, ვეღარ. უკეთილშობილესი ადამიანი იყო ანდრო. ეს კაცი კი გადავარჩინე, გავუშვი და ჩემი მეუღლის სხეულის დარჩენილი მესამედიღა გამომიტანა ცხინვალიდან.

ერთხელ, ანდრომ თავის ფეხზე შემახედა – ერთი თითი ჰქონდა გრძელი და მითხრა, რომ დავიკარგო, იცოდე, ამ თითით მიპოვნიო. ალბათ, ეს რაღაცა წინათგრძნობით ნათქვამი იყო, თუ რა იყო, არ ვიცი. როცა გავხსენით მისი ნაწამები სხეული, აბსოლუტურად აღარაფერი ჰქონდა საღი. ყველაფერი იყო დამტვრეული და მხოლოდ ის თითი იყო გადარჩენილი. მერე კი ანალიზები გაუკეთდა, მაგრამ სანამ იქამდე მივიდოდით, ის დარჩენილი თითი იყო, რითაც ვიცანი ჩემი მეუღლე. ახლა დაკარგულ ტერიტორიაზე მივტირი, იქ არის დაკრძალული, დისევის სასაფლაოზე და ეს ძალიან მწარეა.

ამის მერე აღარ მინდოდა სიცოცხლე, არაფერი აღარ მინდოდა. ბავშვებიც ძალიან მეცოდებოდნენ და ჩემი მეუღლის მოხუცი მშობლებიც. იმდენი შემოთავაზება მქონდა ზვიადისგან, მეგობრებისგან... მითხრეს, საზღვარგარეთაც წაგიყვანთ, დევნილად ჩაბარდები შენს შვილებთან ერთადო... სამი მცირეწლოვანი მყავდა, მაგრამ არც კი მიფიქრია. აქაც ბინა შემომთავაზეს – არც ის ამიღია. მე ჩემს ქვეყანას, ჩემს მეუღლეს არაფერზე არ გავცვლიდი და დავრჩი დისევში. მეუღლის მეგობრები დამეხმარნენ, რომ მდგომარეობიდან გამოვსულიყავი.

ჩემი შვილები რომ ტიროდნენ, ვიფიქრე, რას ვაკეთებ, მამა არ ჰყავთ და ახლა დედაც აღარ უნდა ჰყავდეთ? ვუთხარი ჩემს შვილებს: შვილებო, მამის ნახვა მოგინდებათ? აი ნახევარი მხარე ვარ მამა, ნახევარი დედა... ეზოში გარეთ რომ თამაშობდნენ ბავშვები, ვიღაცა მამას რომ დაიძახებდა, ტირილით გამორბოდნენ და მამის ტანსაც-

6 პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

მელს ეხუტებოდნენ ხოლმე. მე რომ ეს ვუთხარი, მერე უკვე მოდიოდნენ და იმ მხარეს მკოცნიდნენ, რომელ მხარეზეც ვუთხარი, რომ ეს თქვენი მამაა. უზომოდ უყვარდათ მამა, ძალიან!

საკრებულო და გამგეობები იყო მაშინ, 1993 წელს. მითხრეს, რომ პატარა ლიახვის ხეობის, ქსუისის საკრებულო უნდა ჩაიბაროო. ხალხმაც მოითხოვა, რომ მათ გვერდით უნდა ვიდგე. რაღას ვიტყოდი და 1993 წლიდან 2006 წლამდე ვიმუშავე კონფლიქტის ზონაში. ხალხის გვერდით ვიყავი ყოველთვის. არასოდეს ჩემი ხალხი არ მიმიტოვებია. ძალიან რთული იყო იმიტომ, რომ ის ჩვენი ძირძველი ქართული მიწა იყო, მისი დაკარგვა ნამდვილად არ გვინდოდა და სულ ვცდილობდით, რომ რამენაირად, ჩვენი სიცოცხლის ფასად, თითოეული გოჯი მიწა შეგვენარჩუნებინა. ბევრი დამცირებაც იყო, ბევრი წამებაც იყო, ყოველდღიურად სროლები იყო... მაგრამ ძალიან მიყვარს ჩემი ხალხი. ახლაც ისეთი ამაყი ვარ – ზოგჯერ რომ მივდივარ რომელიმე დევნილთა დასახლებაში, ყველა მცნობს და მოდიან, რომ მომეფერონ, მეც მივეფერო. ასე მგონია, ყველანი ჩემი ოჯახის წევრები არიან. ისეთი ურთიერთობა გვქონდა... სხვა სითბო და სიყვარული იყო.

მაშინ გაერო იყო ახალი შემოსული. მოვიფიქრეთ პროექტი სამშვიდობო პოლიტიკის ხელშეწყობის მიმართულებით. დავწერე პროექტი სახელად „რძე“, რომლის მიხედვითაც დისევში უნდა გაგვეკეთებინა რძის მიმღები ცენტრი. გაერომ დაგვიფინანსა. პროექტის მიხედვით, უნდა შევსულიყავით და ოსური მხრიდანაც უნდა გამოგვეტანა და ქართული მხრიდანაც, და ეს ერთგვარი დამაკავშირებელი იქნებოდა; შესვლის საშუალება გვეძლეოდა სამშვიდობო პოლიტიკის ეგიდით.

2008 წლის ომამდე კონფლიქტების მიმართულებით სასწავლო ვიზიტით წამიყვანეს ბელფასტში. ვიყავი ინგლისშიც. იქ ხომ მუდმივი კონფლიქტების გამოცდილებაა და ვმუშაობდით, იქნებ, ჩვენთანაც რაღაცა მშვიდობიანად გამოსულიყო. მაგრამ 2006 წლის შემდგომმა პერიოდმა და 2008 წელმა ყველაფერს ხაზი გადაუსვა. შეიძლებოდა, ვერც ვერაფერი გაგვეკეთებინა, რადგან ჯერ კიდევ 1921 წლიდან დაგვსვეს „ტანკსაწინააღმდეგო ნაღმზე“, რაც შეიძლება ნებისმიერ დროს აფეთქებულიყო... ხელიც შეეწყო ომის დაჩქარებას.

საერთოდ, ომის წინააღმდეგი ვარ, ომით ვერასოდეს ვერაფერს მივაღწევთ. თან ვისთან? რუსეთთან? ლომისთანა თათი რომ გვადევს... ეს პატარა ქვეყანა საქართველო, ქართველი ხალხი არავის აინტერესებს. ჩვენი ტერიტორია უნდათ, ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობა. მაგრამ რუსეთი რომ ოკუპანტია და იქნება ყოველთვის – ორი აზრი არ არსებობს.

მე დაფიცებული მქონდა ჩემი მეუღლის საფლავზე, რომ სანამ ცოცხალი ვარ, ჩემი ხალხის გვერდით ვიქნები და აქ ვიმუშავებ. მაშინ ახალი შექმნილი იყო გუბერნიები. რომ მივიდოდი და გუბერნატორს ეტყოდნენ, მადონა მოვიდაო, იცოდა თქმა, შემოუშვითო, თუ კარებს არ გაუღებთ, ფანჯრიდან მაინც გადმოვაო. და ასე ვმუშაობდი ჩემი ხალხის გვერდით. ბავშვსაც რომ ეთხოვა, რაღაცა საქმე თუ ჰქონდა, ყველაფერს ვტოვებდი, მივყვებოდი, უნდა დავხმარებოდი.

აგური აგურზე ვადეთ, ასე შევაკოწიწეთ. ოსურ მხარეშიც შევდიოდით ხოლმე. ძალიან ბევრი ორგანიზაცია შემოდიოდა. იმის მიუხედავად, რომ საზღვრები ჩაკეტილი იყო, შემყავდა იქით მხარეს. სამშვიდობო პოლიტიკით იმ ღრმულს ნელა-ნელა ვავსებდით, რომ იქნებ რამენაირად თვითონ ოსებს ეთქვათ „რუსეთი არ გვინდა და თქვენ გვერდით გვინდა“.

აგვისტოს ომი

მე მუდმივ კავშირში ვიყავი მებრძოლ ბიჭებთან. პოსტზეც ვმდგარვარ მაგათთან, საჭმელიც მიგვიტანია. გენდერზე რომაა საუბარი, ჩვენი რეგიონის ხალხისთვის ცოტა უცხოა, იმიტომ, რომ ჩვენთან პოზიციები იყო გადანაწილებული. ქალებიც ვაკეთებდით იგივე საქმეს, კაცები თავის საქმეს აკეთებდნენ, სხვა ურთიერთობა გვქონდა.

რუსებს 2 აგვისტოს უკვე მთლიანად ჰყავდათ გაყვანილი ოსური მხარე და „ბეტეერებით“ ჩვენს სოფლებზე მოდიოდნენ. ყოველღამე ადიოდნენ იქ, მთებში და იქიდან გვესროდნენ. ჩვენ ვიყავით დაუცველები. 2 აგვისტოს შემდეგ სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა, მაგრამ გორში ხელმძღვანელობას რომ ვეკითხებოდით, გვეუბნებოდნენ, არაფერი ხდებაო. მერე 3 აგვისტოს ჩემს სოფელზე, ნულზე მოხდა თავდასხმა და ჩემი ძმის სახლი მთლიანად დაინგრა.

ჩვენთან ძალიან ბევრი მოხუცი იყო და ისინი უნდა გამოგვეყვანა. იქ იყვნენ ჩემი შვილებიც, იმჟამად სტუდენტები. მიატოვეს ყველაფერი და ჩამოვიდნენ. ტყე არის ჩვენთან და ღამით ტყეში გავდიოდით, დღისით ვბრუნდებოდით.

7 აგვისტოს ითქვა, რომ უკვე იცოდნენ, ვისი სახლი უნდა დაეწვათ. 50 სახლი იყო შერჩეული. პირველ რიგში, ჩემს სახლთან მივიდნენ და ცეცხლი წაუკიდეს. უთხრეს, რომ იქ ვიქნებოდი. იცოდნენ, მაგრამ მე ტყეში ვიყავი გასული. და მერე უცებ დაიწყო ორდღიანი ომი – საშინელი, აუტანელი, რა იყო ეს ჩვენთვის, არ ვიცი. ომი გამოცხადდა. არ ვიცი, ვინ დაიწყო, როგორ დაიწყო... დაიწყო და წამოვედით. არავინ მოსულა, არავის წამოვუყვანივართ თბილისში. რომ წამოვედით, მე სადღაც, რუსთავის გზაზე აღმოვჩნდი.

უკვე მოვდიოდით, როცა შემოვიდნენ ბომბდამშენები. ხალხი გზაზე მოდიოდა, არც მანქანა, არც არაფერი, ეგრე, ფეხით. მაგრამ ხალხს კი არ გვესროდნენ ის ბომბდამშენები, არამედ ჯარისკაცებს, ვისაც დაინახავდნენ ფორმიანს, იმას ესროდნენ. ამიტომ, ჯარისკაცები გახდილები გამორბოდნენ.

დღესაც თვალებიდან და გონებიდან ვერ ამომდის... გორში ფეხით შემოვედით. მერე მანქანა დაგვეწია, დიდი მანქანა და იმაზე დავსხედით. გორის შესასვლელში რომ ხიდია, იქ ორი დაჭრილი ბიჭი იყო და გვთხოვეს, წაგვიყვანეთო, მაგრამ ბომბდამშენი მოგვდევდა და ვერანაირად გააჩერა მძღოლმა მანქანა იმათ ასაყვანად. ასე დავტოვეთ...

მე წამოვედი 9 აგვისტოს – ომი დაწყებული იყო უკვე. ჯგუფს გამოვყევი, მოხუცები წამოვიყვანეთ და გამოვედით. ფეხით მოვდიოდი. თბილისში ჩამოვედი და ცოტა ხანში ისევ დავბრუნდი. ოქტომბერში დაბრუნების პერიოდი ხომ იყო? 10 ოქტომბერი მახსოვს კარგად, მაშინვე წავედი. ჩემი სახლი ვნახე, ცეცხლი ბიჭებს ჩაექროთ და კედლები ისევ ისე იყო.

ცხოვრება ომის შემდეგ

დევნილობა ძალიან, ძალიან რთული აღმოჩნდა. ჩემი სოფელი ისე ძალიან მენატრება, ის ყოველღამე გაჭირვება მირჩევნია. მოყოლით ძალიან შორს წავალ. მეუფე გვყავს ძალიან კარგი, ისაია, და ის შემოდიოდა ხოლმე ჩვენთან. ხო რთული იყო, ხო ძალიან მწარე, უზომოდ მძიმე, გაჭირვება ყველანაირად, მაგრამ მაინც სულ სხვა იყო იქ. მენატრება ყოველი. თბილისიდან 5 საათზე გადიოდა ხოლმე სამარშრუტო ტაქსი... დღესაც კი 5 საათის მოახლოებისას თავში მაქვს ჩადებული, რომ მაგვიანდება, რომ უნდა წავიდე. ვერანაირად ვერ გადავივიწყე...

აქ რომ ჩამოვედით, კოდაში, ჯერ ადგილობრივ მოსახლეობასთან იყო დაპირისპირებები, ჩხუბები. ეგონათ, რომ ჩვენი მოსვლით რაღაცას ვართმევდით. შეგუების პოლიტიკა, ინტეგრაცია იყო ძალიან რთული. გაორებულები ვიყავით, მაგრამ თავშესაფარი მაინც რომ მოგვცეს, ხმას ვერ ვიღებდით. „ზონდერები“ დადიოდნენ – აბა, ხმა ამოგვეღო რამეზე! სამუშაოები არ იყო. რამდენიმე ქალი შევიკრიბეთ და იაღლუჯის მთაზე დავდიოდით, ვტეხდით ცოცხებს, მეეზოვის ცოცხები რომ არის, იმას და თითო ცოცხს 80 თეთრად ვაბარებდით. მთელი ერთი წელი იქ ვიარე, რომ ჩემი შვილებისთვის ფინანსურად ხელი შემეწყო – სტუდენტები იყვნენ და უსახსრობის გამო სწავლისთვის თავი არ დაენებებინათ.

2010 წელს DVV international-მა გახსნა კოდის სათემო განათლების ცენტრი.

ერთხელაც, დილით სამუშაოზე მიმავალმა ვნახე სათემო განათლების ცენტრში გამოკრული განცხადება, რომელშიც ეწერა: ბიზნესის ხელშეწყობის კურსები, ტრენერი... წავიკითხე და ვიფიქრე – მოდი, ვცდი, მით უმეტეს, რომ ფინანსებში კარგად ვერკვევი. ჯერ ბიზნესის კურსზე შევალ და მერე იქნებ ტრენერადაც გავიდე-მეთქი. დავწერე განცხადება, დამიბარეს, გამესაუბრნენ და ამიყვანეს ოფის-მენეჯერად. არ იდარდო, ყველაფერს შეგასწავლითო. გავიარე ბიზნეს-კონსულტირების ტრენინგიც, ვარ ტრენერი და კურსი მაქვს გახსნილი.

ძალიან მადლიერი ვარ, რომ DVV- International-ის მიერ გახსნილ კოდის სათემო განათლების ცენტრში დავიწყე მუშაობა. ასე რომ არა, იმ ნერვიულობის და რთული პერიოდის შემდეგ, შეიძლება, დღეს ცოცხალიც არ დავრჩენილიყავი. არც კი მეგონა, რომ ჩემი მეუღლის გარეშე თუნდაც ერთ დღეს გავძლებდი, იმიტომ, რომ ჩვენ სხვა ურთიერთობა გვქონდა, სულ სხვანაირი ურთიერთობა. გარეთ რომ გავდიოდით, ვერავინ ხვდებოდა, რომ მეუღლეები ვიყავით, რადგან ამასთან ერთად, ჩვენ კარგი მეგობრებიც ვიყავით.

ჰოდა, დავიწყე აქ მუშაობა, სათემო განათლების ცენტრში, კოდაში. პარალელურად, აქტიურად ვმუშაობდი შაუმიანში – 3 დღე აქ ვიყავი, 3 დღე იქ, რადგან ხალხს უკვე ვიცნობდი და არ მიჭირდა მობილიზება.

სიმსივნე დამემართა, თან ავთვისებიანი, მესამე სტადია. ოპერაცია გავიკეთე. ალბათ, ღმერთის წყალობით, ვთქვი, რომ უნდა ვიცოცხლო და გადავლახე უკვე 10 წელია. ცენტრში მუშაობისას იმდენი რაღაც გავაკეთეთ, რომ უკვე ფიქრის დროც აღარ მრჩებოდა ჩემი ცხოვრების განვლილ ცუდ, რთულ პერიოდზე და ვთქვი, რომ ამაზე აღარ უნდა ვილაპარაკო, წინ უნდა გავიხედო. აი, აქ ჩემი ქალები რომ მოდიან ხოლმე, ამბობენ, შენ რომ გხედავთ, შენ რომ გიცქერით, როგორი იყავი და ახლა როგორი ხარ, მოტივაცია ისე გვეზრდება, ის ცუდი თითქოს სულ გვავიწყდება ხოლმეო. მართალიც არის! ჩემს თანამშრომლებს ვეუბნები: ყველას გვაქვს რაღაცა პრობლემა, გაჭირვება, მაგრამ დატოვეთ იქით; აქ როცა შემოვდივართ, არავის ვაგრძნობინოთ, პირიქით – ყველას გავუცინოთ, გავუღიმოთ. ჩვენ თუ ერთმანეთს გვერდში არ დავუდგებოდით და არ ვაგრძნობინებდით ამ ყველაფერს, ჩვენ ვერ მოვიდოდით აქამდე. ამ ცენტრმა ბევრი რამე გააკეთა, არა მარტო ჩემთვის. მე დღესაც მაგას ვამბობ – მე რომ ცოცხალი ვარ, აქ მუშაობით, ამ ხალხთან ურთიერთობით

ვარ გადარჩენილი. ასევე, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი დასახლებისთვის. პირველი პროექტი გვქონდა ადგილობრივი დევნილი მოსახლეობის ინტეგრაციის თემაზე, რომელიც ევროკავშირმა დაგვიფინანსა. მერე უკვე როგორც დამოუკიდებელი ცენტრი, ისე დავრეგისტრირდით და დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით დავიწყეთ მუშაობა. ისეთ კურსებს ვხსნით, რომელიც ჩვენს ხალხს ხელს შეუწყობს დასაქმებაში ან თვითდასაქმებაში. სულ ჩართული ვარ. თუკი სადმე ვინმე დამიძახებს მივდივარ. ახალ უნარებს რომ შევიძენ, ამათაც გადავცემ. სულ ვეუბნები, რომ სწავლა არასოდეს არის გვიანი.

გამკლავება

ძალიან ბევრი კარგი მომცა ჩემმა რთულმა გამოცდილებამ. ძალიან ძნელი იყო, მაგრამ მაინც უფრო მყარად დავდექი ფეხზე, გავძლიერდი, უფრო სხვანაირად დავიწყე ხედვა მომავლისკენ. ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ოცნება, იმედი, არის დაბრუნება, ტერიტორიული მთლიანობა. ამაზე ვფიქრობ სულ. ჩვენ ვერც დავბრუნდებით, ვერც გავძლიერდებით, თუ თვითონ არ ვიქნებით ჩვენს თავში დარწმუნებულები. ნამდვილად კარგი ახალგაზრდობა გვყავს. ამათ უნდათ კარგი ხელშეწყობა ჩვენი საქართველო რომ ერთიანი, ძლიერი და ლამაზი იყოს. ტრადიციები, ისტორია... ეს ყველაფერი არ უნდა დავავიწყოთ.

ბოლოსკენ მინდოდა მეთქვა, რომ ქართველმა ხალხმა უნდა გავუგოთ ერთმანეთს, ერთმანეთის გვერდით დავდგეთ. ყველას უყვარს საქართველო, ყველას თავისებურად უყვარს. მოდი, ერთი მიზნისთვის გავაერთიანოთ, რომ სხვას არ ვათქმევინოთ ცუდი. ყველა უნდა დავდგეთ ჩვენი ქვეყნის სადარაჯოზე და ძლიერი უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა ერთიანი, განუყოფელი. ძალიან მიხარია რომ კარგი ახალგაზრდობა გვყავს. უფრო და უფრო მეტი უნდა იმუშაონ თავის თავზე იმიტომ, მათზეა ბევრად დამოკიდებული, თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა და ხვალინდელი დღე.

ანონიმი რესპონდენტი

ინტერვიუს თარიღი: 8 ნოემბერი, 2024

ცხოვრება აგვისტოს ომამდე

სკოლას რომ ვამთავრებდი (ეს იყო 1990 წელი), მაშინ დაიწყო ყველაფერი... ზვიად გამსახურდიას ცხინვალში ჩამოსვლის შემდეგ სულ სხვანაირი ეტაპი დადგა სამაჩაბლოელი ხალხის ცხოვრებაში.

მე ვარ ცხინვალის რაიონიდან, სოფელ ქურთიდან. ჩვენს სკოლაში რუსული სექტორიც იყო და ქართულიც. ზვიად გამსახურდია ცხინვალში რომ ჩამოვიდა, იმ დროს მე ქართულ სკოლაში ვსწავლობდი, მე-10 კლასში. იმ პერიოდში ოსებმა ქართველი პოლიციელი მოკლეს. 16 წლისა პატარა აღარ არის და მე და ჩემი კლასელები სამშობლოს თემამ უფრო მეტად სწორედ მაშინ დაგვაფიქრა. ოსი ბავშვები ჩვენ მიმართ ძალიან აგრესიულები გახდნენ, რაც ორმა სიტყვამ – „დამოუკიდებელი საქართველო“ – ერთად გაიჟღერა. ცხინვალში ვითარება თანდათან მწვავდებოდა. სროლები ჯერ არა, მაგრამ ჩუმი დაძაბულობა იყო. მეზობლებს შორისაც გაცივდა ურთიერთობა. აქცენტი უკვე კეთდებოდა: „ოსები“, „ქართველები“... ისინი გვეუბნებოდნენ: „ეს ოსების მიწაა“... არ ვიხდი ბოდიშს!

უმრავლესობა „ჯაყო“ იყო და პრეტენზიები სწორედ იმ სოფელში გაუჩნდათ, სადაც მაჩაბლების უძველესი სახლი იდგა. „ნეტა, რატომ ვცხოვრობდით ჩვენ ქართველები იქ, რა გვინდოდა?“

სკოლის დამთავრებისთანავე ჩავაბარე ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც ახალგაზრდებს შორის კონფლიქტები გახშირდა, ურთიერთობა დაიძაბა და ერთმანეთს ფიზიკურადაც უსწორდებოდნენ. პირველ სემესტრს რომ ვამთავრებდი, ცხინვალის შესასვლელი ოსებმა გადაკეტეს და აღარ შემოუშვეს ქართველები, გვეუბნებოდნენ „ეს თქვენი მიწა არ არის, წადით თქვენს მიწაზე თბილისში“ და „მცხეთამდე ჩვენია, დიახაც, ჩვენია“.

ცხინვალის ინსტიტუტიც იძულებული გახდა, რომ შეეწყვიტა სწავლის პროცესი, რადგან უკვე სერიოზულ კონფლიქტებში გადაიზარდა ახალგაზრდების ურთიერთობა. მანამდე კი კარგი მეგობრები ვინც იყვნენ, სუფთად რომ საუბრობდნენ ოსურად ცხინვალელი ბიჭები, მახსოვს, როგორ აშველებდნენ ინსტიტუტის წინ ერთმანეთს... იქ აღარ დაედგომებოდათ ქართველებს და ოჯახები იძულების წესით წამოვიდნენ, მათ შორის, ცხინვალის ინსტიტუტიც. მე და ჩემი დაც გამოვყევით ამ ნაკადს. ჩემს მშობლებს უზომოდ გაუჭირდათ სახლიდან შვილების გაშვება, რადგან ისევ ბავშვებად გვთვლიდნენ.

3 თვის მერე უკვე ითქვა, რომ გორში უნდა გაგვეგრძელებინა სწავლა, იქ კი არავინ გვყავდა. დეიდა ცხოვრობდა სოფელ შინდისში და იქიდან [გორში] ავტობუსით მომიწია სიარული. იქ სწავლისას მე და ჩემი და ერთ ოთახში ვცხოვრობდით, რთულ პირობებში. ამას ჩემი მშობლები საშინლად განიცდიდნენ. სტუდენტობის პერიოდში მხოლოდ 2-3 თვეში ერთხელ მიწევდა სახლში წასვლა. როცა სახლში მივდიოდით, დედაჩემისთვის ზეიმი იყო. ჩემი ძმა ჩემზე 4 წლით პატარაა და ის ჯერ იქ ჰყავდათ, სახლში.

90-იანებიდან დაიწყო ეს ყველაფერი. ხან ისეთი არეულობა იყო... ცხინვალში ქართველებს რომ აღარ ატარებდნენ, ჩვენმა მოსახლეობამ ხეითიდან ერედვამდე მთა მძიმე ტექნიკით გაჭრა, რათა დიდი ლიახვის ხეობა დაჰკავშირებოდა პატარა ლიახვის ხეობას.

ამ გზით, ზურგჩანთამოკიდებული მშობლები მოდიოდნენ ხან ფეხით, ხან მანქანით. იქ ისე დიდი ლაფი იყო, ხან მანქანა ეფლობოდა, პატარა მანქანები კი ვერც მოძრაობდნენ. რადგან მაშინ მობილური ტელეფონი არ იყო, ფეხით უნდა ჩასულიყვნენ ხეობაში და ვიღაცისთვის დიდი მანქანა და დახმარება ეთხოვათ.

აი, ასეთი ტანჯვა-წამება გაიარა ჩვენი ხეობის მოსახლეობამ.

ვითარება ხშირად ირეოდა, ცხინვალში ვიღაცას დახვდებოდნენ, სცემდნენ, ხან – კლავდნენ კიდეც. გორში დაქირავებულ ეზოში სხვადასხვა ოთახში სამაჩაბლოდან დევნილი 10 გოგო ვცხოვრობდით და ტელევიზორიდან ვისმენდით ახალ ამბებს. დიასახლისი დაგვიძახებდა ხოლმე „გოგოებო, ამოდით, ამოდით, აი, თქვენზეა, თქვენზე გადაცემაო“. ჩვენც ავდიოდით და დაძაბულები ვუსმენდით ინფორმაციას.

მას მერე, დროდადრო დამშვიდდებოდა ვითარება, შემდგომ ისევ დაიწყებოდა – ოსი თუ მოკლავდა ქართველს, მერე მათზე ჯავრს მეორე მხარე იყრიდა. საშინელება იყო, საშინელება! რამდენი ახალგაზრდა, რამდენი ადამიანი შეიწირა იმ კონფლიქტმა, ღმერთო!

ქართული სოფლები თავს იცავდნენ თავდასხმისგან. 1990 წლიდან პიკეტები იყო, მამაკაცები მორიგეობით ათევდნენ ღამეს და ამისთვის ზოგან ჯიხურები ჩადგეს, მიტოვებულ სახლებსაც იყენებდნენ.

ორი მხრიდან მთა იყო, ჩრდილოეთიდან – კავკასიონი და ამ მთებს შორის იყო ეს 9 სოფელი შეფენილი. იმ მთების იქით „ისინი“ ცხოვრობდნენ და იქიდან ქართულ სოფლებს ესროდნენ.

კაცების ნაწილმა თავდაცვის მიზნით იარაღი შეიძინა. ზოგს რკინის წვეტიანი ისრები ჰქონდა მომარაგებული თავდასხმის შემთხვევაში გამოსაყენებლად – ვინმე რომ სახლში შევარდნოდათ, თავი დაეცვათ.

კონფლიქტი თითქმის 18 წელი – 1990 წლიდან 2008 წლამდე გაგრძელდა.

ლიახვის ხეობაში სწავლის შემდგომ დავბრუნდი, როცა ინსტიტუტი დავამთავრე. ქურთაში საბავშვო ბაღში ვიმუშავე ერთი-ორი წელიწადი, მაგრამ სხვა გეგმა მქონდა... საბავშვო ბაღის მასწავლებელი ჩემგან არ შედგა და თბილისში, სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტში ჩავაბარე ასპირანტურაში ფსიქოლოგიის სპეციალობაზე. ახლობლებს მიაჩნდათ, რომ არ იყო საჭირო სწავლის გაგრძელება, რადგან მაშინ ლექტორებს ხელფასი მგონი 20-30 კუპონი ჰქონდათ. ბევრი ვიშრომე, სასწავლებელი დავამთავრე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვეღარ გავაგრძელე კარიერა ამ გზით. ძალიან გული მწყდება და ვნერვიულობ...

იმ დროს გორის ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა. როდესაც ასეთი კონფლიქტური ვითარება შეიქმნებოდა ხოლმე, ინტერესით გავრბოდი ხეობაში. ყველაზე მეტი ახლობელი იქ მყავდა, ამიტომ, ჩემი ინტერესი და განცდა სულ სხვა იყო. იქ მხოლოდ იმიტომ არ მივდიოდი, რომ ინფორმაცია მიმეწოდებინა მსმენელისთვის... მთელი სანათესავო, სამეგობრო, კლასელები, ნაცნობ-მეგობრები და მთელი ლიახვის ხეობა მედარდებოდა...

ტელევიზიაში მუშაობის მერე ვიმუშავე გორის თეატრში პიარ-მენეჯერად. შემდგომ ისევ ლიახვის ხეობაში: ჯერ – გამგეობაში, მერე – საბავშვო ბაღების გაერთიანებაში.

2007 წელს გამოვიდა გაზეთი „ლიახვის ხეობა“, რომელმაც მერე ჟურნალის სახე მიიღო – დიდი და პატარა ლიახვის ამბებს ვაშუქებდით. მაშინ ჩვენი ხალხისთვის ეს დიდი საქმე იყო. 2007 წლიდან, სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, ლიახვის ხეობის სურათი მკვეთრად შეიცვალა – რომ იტყვიან, იქაურობა აყვავდა. გაიხსნა საზოგადოებრივი ცენტრები, არაჩვეულებრივი კინო-თეატრი... ბრწყინავდა ცხინვალის საზღვართან მდებარე სოფელი თამარაშენი...

შეიქმნა ქართულ-ოსური მთავრობა, სადაც ქართველებთან ერთად ოსებიც დაასაქმეს. ჯობდა არ შექმნილიყო, მაგრამ, ალბათ, ხელისუფლებას სჯეროდა, რომ ასე უკეთესი იქნებოდა ქართველი და ოსი ერის შესარიგებლად. მაგრამ...

2007-2008 წლებში პერიოდულად ისევ იყო დაძაბულობა – ისევ იჭერდნენ ვიღაცას, მის გასათავისუფლებლად ისევ სანაცნობოს ჩარევდნენ, თუმცა, ყველა საქმე სასურველი შედეგით არ სრულდებოდა.

აგვისტოს ომი

6 აგვისტოს ქურთის გამგეობაში ვარ. რაღაც უცნაური დღეა – სწრაფი ნაბიჯებით შემოდიან და გადიან თანამშრომლები, აფორიაქებულები მობილურებზე რეკავენ და ხვდები, რაღაც ამბავია... „რა ხდება ბიჭებო?“ – ვიკითხე, რაზეც არაფერი მიპასუხეს. გამგეობა თანამშრომლებმა სულ რაღაც ერთ საათში რომ დატოვეს, მეც გავიქეცი სახლში. ჩემი ძმა წამოწოლილი ტელევიზორს უყურებს, დედა კი საოჯახო საქმეს აკეთებს. ვეუბნები, გამგეობიდან ყველა წავიდა, რაღაცა ხდება, მანქანები გიჟებივით დარბიან გზაზე, მაგრამ ჩვენამდე ინფორმაცია ვერ მოვიდა და გორისკენ წავიდეთ-მეთქი. ადგილობრივ მთავრობაში ვმუშაობდი, მაგრამ არ ვიცოდი, რა გველოდა.

ძალზე მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ 5 დღე და ღამე გამაყრუებელი სროლის ხმა ისმოდა ფრონის ხეობიდან ჩვენ მხარეში. ფრონის ხეობაში უკვე დაწყებული იყო ომი და უბედურება. დაახლოებით, 2 აგვისტოდან დაიწყო ბათქი-ბუთქი. რა ვიცი, ანგრევდნენ იქაურობას. იმ კილომეტრებზე ჩვენთან გადმოდიოდა ხმა და შეწუხებულები ვიყავით, მაგრამ 6 აგვისტოს უკვე ისე დაიძაბა... არ ისვენებდნენ ოსები, არ ისვენებდნენ... დააწიოკეს ავნევი და ნული, მაგრამ ის ორი სოფელი მაინც არ იცლებოდა ქართველებისგან, მაინც არ მოდიოდა ხალხი. ღმერთო, იქ გაჩერება ანკი როგორ გაბედეს?! კილომეტრების იქიდან აფეთქებების გამაყრუებელი ხმა 5 დღე გვესმოდა და ვდარდობდით – რა ამბავია, 18 წლის მანძილზე კონფლიქტი ასე დიდხანს არ გაგრძელებულა და ეს რა ხდებაო...

დედაჩემმა და ძმამ გაიკვირვეს – სად უნდა გადაგიყვანოთ, სად მიდიხარ, აქაობა როგორ დავტოვოთ და როგორ წავიდეთო? მე ავუხსენი, რომ ორ დღეში სამუშაოდ მივდიოდი ერთ საზაფხულო ბანაკში, ხვალ-ზეგ რომ ტყის გზა დაკეტილიყო და ვეღარ გადავსულიყავი, მერე რა მექნა? ასე ვაიძულე ჩემი ძმა შინდისში წავეყვანე.

ჩემს ბავშვობაში (მაშინ საბჭოთა დრო იყო) იუგოსლავიური ხალიჩები იყიდებოდა. მამაჩემის მიერ შეძენილი შალის ორი ხალიჩა დედაჩემმა სასწრაფოდ დაკეცა, გამოიტანა და მანქანაში ჩავდეთ. ერთი წყვილი ლეიბი, საბანი და ცოტა თეთრეულიც წამოვიღე. ის საბანი აგერ ახლაც გვახურავს... ოქროული ბევრი არაფერი გვქონდა, მაგრამ მხოლოდ ორი ბეჭედი წამოვიღე, დანარჩენი სახლში დავტოვე – დავბრუნდებით და იმედია, მანამდე არავინ მოიპარავს-მეთქი...

ჩემმა ძმამ შინდისიდან დარეკა დიცისკენ და ერედვისკენ. იქიდან უთხრეს, რომ ვეღარავინ გადავიდოდა ლიახვის ხეობაში. გაბ-

რაზებული მსაყვედურობდა – შენ წამომიყვანე, შენ იძულებით წამომიყვანე, დედა სახლში დავტოვეთ და ახლა როგორღა შევიდეო... არადა, ვითარება ისე დაიძაბა, ისეთი ამბავია, იქ დაბრუნებაზე საუბარი აღარ შეიძლებოდა. ვდგავარ შინდისში და ცრემლებს ვეღარ ვიკავებ. ჩემი თვალით ვხედავ გზა მძიმე ტექნიკით სავსეა. ხალხი ქუჩის პირას შეფენილა. ეს ქართველი ბიჭები დროშებით ხელში ნიქოზში წავიდნენ. საცოდავები... ძალიან შემართებით და შეძახილებით „ჩვენ გავიმარჯვებთ! ცხინვალი ჩვენია!“ „ნუ გეშინიათ!“ მე კი ვდგავარ და ვტირი, ვაიმე! გულში ვფიქრობ „ცხინვალი თქვენი როგორ იქნება? ვეშაპს ებრძვით და როგორ იმარჯვებთ თქვე საცოდავებო? სასაკლაოზე მიდიხართ!“

იმ ღამეს არავის დაუძინია, რა თქმა უნდა. ზრიალი გაუდიოდა სახლს, კინაღამ დაინგრა შინდისი. მეორე დღესაც იგივე. აღარ შეწყდა სროლები. დარჩა დედაჩემი ქურთაში მარტო. დედაზე არაა მხოლოდ საუბარი, ლიახვის ხეობაზეა. კავშირი არ იყო, ტელეფონი არ იჭერდა, დენი გათიშული ყოფილა, ხალხი კი „პადვლებში“ დამალულა... ჩვენ დიდი სახლი გვქონდა კაპიტალური „პადვლით“ (მაშინ სარდაფს არავინ ეძახდა ჩვენში), რკინა-ბეტონში იყო სულ ჩასმული. ჩემს ბიძებსაც ისეთი მყარი სახლები ჰქონდათ, ტანკსაც რომ გადაევლო, ვერ დაანგრევდა.

„პადვალში“[7] დამალულა ჩემი ბიცოლა ნორაც, ბიძაშვილიც და მისი ცოლიც. მათ შესახებ ვერაფერს ვიგებდით. მერე შინდისიდან გორში გამოვიქეცით და ნათესავები ერთად შევიკრიბეთ.

შინდისიდან ბიძაშვილის ბავშვი გამომაყოლეს, 10-12 წლის, მისი მშობლები სოფელში დარჩნენ. ამ ბავშვზე მიკიდია ხელი და ქუჩაში ტაქსის ვეძებ, რომ სამშვიდობოს თბილისში გავაქციო. ამ დროს ჩამოვარდა რაღაცა წმინდაწყლის უბანში და ბავშვი დაწიოკდა. ეტყობა, ეს უნებლიე რეაქცია იყო – ვეჩხუბები, რა გაკივლებს და რა გატირებს-მეთქი... მამამისი ჯარში მუშაობდა და „ვაიმე მამიკოო!“... დაბნეულია ბავშვი, აფექტში ვართ და ამ ბავშვს ისევ ვეჩხუბები. მე ხომ დიდი ვარ, მაგრამ მეც დაბნეული ვარ. იქვე ახლოს ჩამოვარდა, ცეცხლი ანათებს ცაზე და ჩვენ კი ვდგავართ ღია ცის ქვეშ... ნაცნობმა მანქანა გააჩერა. „შენ ჭკუა გაქვს? სადა ხარ გამოსული, სად მიგყავს ბავშვი?“ – მკაცრად მისაყვედურა და შედარებით მშვიდობიან ადგილას წაგვიყვანა.

აი, ასეთი დღეები გამოვიარეთ, საშინელება... დედაჩემს ვერ ვუკავშირდებით, ნათესავებს ვერ ვუკავშირდებით. ჩვენ ისევ წმინდაწყალზე ვართ გორში გაჩერებულები და მოულოდნელად 11 თუ 10

7 სარდაფი (რუს.)

რიცხვი იყო, დედაჩემი მოგვადგა. გაგვიკვირდა, რადგან თავის დისშვილის მისამართი არ იცოდა. მთელი ცხოვრება სოფელში ცხოვრობდა და, მით უმეტეს, იმ არეულობაში როგორ უნდა გახსოვდეს მისამართი?! არ გემახსოვრება არც ქუჩა, არც ადგილი... ნათესავმა მოიყვანა. ვხედავთ, საბანი უკავია ერთ ხელში, მეორეში კი ხალათი. სოფელში რომ ჰქონდა, ის საბანია და იცინის. ვიცინით მე და ჩემი ძმაც და ვეკითხებით, საიდან ან როგორ მოვიდა. რა ვიცი...

დედა გვიყვება: იქ რომ გაუსაძლისი გახდა, ჩემმა მაზლიშვილმა თქვა, აბა, ეხლა ჩქარაო და „ტრანგალეტკებზე“[8] დაგვსვა მე და ბიცოლაშენიო. მერე ტყის გზაზე ბენზინი გამოელია და გადაგვსხა სხვის „ტრანგალეტკაში“. ისეთი სისწრაფით მოდიოდა ტყეზე, რო ისიც ამობრუნდაო... ხო უსწორმასწორო გზაა და მძღოლი თან სვამდა, შეიძლება ნაყლაპშიც იყოო.

ტყე ჩეჩნებს ჰქონდათ დაკავებული. მაშინ უკვე აჩერებდნენ და ეკითხებოდნენ, ვინ სად მიდიოდა. ოღონდ ჯავრს არ იღებდნენ ქართველებზე – წადით მშვიდობიანადო. ეუბნებოდნენ, თუ არაყი გაქვს მომეცი, დამიტოვეო და ეს რომ ჩვენს ხალხში გახმაურდა, ყველას მოჰქონდა სახლიდან არაყი – ოღონდ არაფერი დაეშავებინათ იმ ჩეჩნებს. ესე სიცილ-ღიმილით აცილებდნენ ისინი ჩვენს ხალხს. ზოგი ფეხით, ზოგი ტრანსპორტით, ზოგი ავტობუსით, ზოგი მანქანით გადმოდიოდა... ეუბნებოდნენ „წადით დაცალეთ ხეობა თუ

8 სამბორბლიანი მოტოროლერი

სიცოცხლე გინდათ“. ასე დაიცალა ხეობა და მოგვადგა დედაჩემიც. იქაურობა კი „იმათ“ დარჩათ. ამ უბედურებამ ბევრი იმსხვერპლა.

ახალგორის საკითხი სულ სხვაა. ლიახვის ხეობისგან განსხვავებით, ახალგორში მგონი ტანკი არც უნახავთ, იქ ომი არ ყოფილა, არავის სახლი არ დანგრეულა, მშვიდობიანად დაიცალა და დღემდე შეუძლიათ შესვლა. ჩვენთან კი ჩიტი ვერ გადაფრინდება. ჩვენი მხრიდან ცხინვალში ვერავინ შევა, ვერც ერთი ქართველი... თბილისიდან თუ წეროვნიდან ახალგორში როცა უნდათ, მაშინ მიდიან. თვეში სამჯერ აქვთ შესვლის უფლება მათ, ვისაც ის დოკუმენტი აქვს, რასაც ოსური მხარე ითხოვს.

ერთ-ერთი ახალგორელი მობილურში ფოტოებით ამასწინათაც თავს იწონებდა: „აი ჩვენი სახლი ახალგორში, ის ულამაზესი სახლი, კარგად არის შენახული – არც დანგრეული, არც ნალესი ჩამოცვენილი, თუმცა, ეზოში ბალახებია“. ჩვენთან კი ვეღარ გაარჩევ, სად იყო სახლი. არაფერი აღარ არის, მხოლოდ ნანგრევებია აქა-იქ.

ცხინვალიდან კი ხმა გამოდის, რომ საერთოდ ვერ ვიცნობთ ლიახვის ხეობას. ის ბაღები, ჰექტრები, რომელიც ოდესღაც კოლექტივმა გააშენა, გადამხმარია და იქაურობა ტყედაა ქცეული. ვერ იცნობთ, ვერც იპოვით ჩვენს სახლებს. არც ახალია რაიმე აშენებული. პოლიგონი უნდა აეშენებინათ თამარაშენში და რატომ არ ააშენეს, არ ვიცი...

დროებითი საცხოვრებელი

12 აგვისტო იყო, ჩვენ და სხვებიც წამოვედით თბილისში და დავიკავეთ დროებით საცხოვრებლად რუსთაველზე ის შენობა, ადრე რომ გამომცემლობა იყო. ტელეფონებით ვერ ვუკავშირდებოდით და ვეღარ ვპოულობდით მე, დედაჩემი და ჩემი ძმა ერთმანეთს.

იცით, რა სიტუაცია იყო? რომელი ოჯახი სად შეასწრებდა, თავშესაფარი რომ ეპოვა...თუ წყნარად ვერ მოგვარდებოდა, ჩემს მეგობარ ქალს შეეძლო ეყვირა, ეჩხუბა და რაღაცა ეპოვა. წამიყვანა და ერთ-ერთ ოთახზე მიმითითა „ეს შენი იყოს, შედი და დაიკავეო“. თვითონ დაიკავა თავის შვილებთან ერთად სხვა ოთახები. ერთი სიტყვით, თავშესაფარი ვიპოვე გამომცემლობაში. ჩემი ძმა და დედაჩემი სხვებთან ერთად წასულან თემქაზე და ერთ-ერთ საბავშვო ბაღში შესახლებულან ბიცოლასა და ბიძაშვილთან ერთად. მათ რამდენიმე დღის მერე დავეკონტაქტე.

ერთმანეთს ვეძებდით ხალხი, ვეკითხებოდით, ვინ სად იყო შესახლებული, ვინ სკოლაში, ვინ საბავშვო ბაღში, ვინ გამომცემლობაში...რამდენიმე თვე რუსთაველზე ვიცხოვრე.

შესახლება წეროვანში

მერე წამოვედი წეროვანში. ძალიან მალე აშენდა წეროვნის ეს კოტეჯები, უსწრაფესი ტემპით. ხარისხზე არ ვამახვილებ ახლა ყურადღებას – რაც შეძლო მაშინ ქვეყანამ, სახელმწიფომ თუ დონორებმა, ისაა.

საბედნიეროდ, ჩვენი ჟურნალის რედაქციამ ფუნქციონირება არ შეწყვიტა. ისიც ქურთის გამგეობასთან ერთად თბილისში დევნილად იქცა.

ერთხელაც მოვდივარ სამუშაოდან. უკვე შებინდდა. ზამთრის ღამე მოგეხსენებათ... ახალი დასახლებულები ვართ. ყველა კოტეჯი ერთნაირია, ყველა ქუჩა ერთნაირია. მხოლოდ დანომრეს და დაარქვეს: პირველი, მეორე, მეთერთმეტე რიგი. და შემეშალა... ესე იგი, ჩამოვედი, მივდივარ და ვეღარ ვაგნებ ახლა დედაჩემის და ჩემი ძმის სახლს. ჩავუყევი ბოლომდე, ჩავედი და მინდვრებს მივადექი... ვაიმე, მოვტრიალდი, ღამეა, გარეთ არავინ არის. მივედი და ერთი კოტეჯის კარზე დავაკაკუნე – მე-7 რიგს ვეძებ-მეთქი. არაო, გენაცვალე, წეროვნის შემოსასვლელში ხარ, მეორე რიგშიო...

აქ ცოტა უცნაურადაა – რომ შემოდიხართ წეროვანში, იქიდანაც არის პირველი-მეორე რიგი, მერე რაღაცა ბაღებია, იმ ბაღებს გამოსცდები და იქიდან ისევ იწყება ათვლა. ამ ახალი ათვლიდან ვართ მე-11. ჰოდა, მოვდივარ, ღამეა და ვნატრობ, ღმერთო, ნაცნობი მაინც შემხვდეს-მეთქი... აბსოლუტურად ერთნაირია ყველაფერი. მაშინ ისეთი უცნაური იყო ჩემთვის ეს დასახლება და რა ვიცი, როგორღაც მივაგენი... მერე მეზობლებმა მირჩიეს, რომ ორიენტაცია უნდა ამეღო დიდი ხით. ის დიდი ხე ახლა მოჭრილია. მას მერე, როცა მიკროავტობუსით ვმგზავრობ ღამის საათებში, სულ ვიყურები – მოვედით ხესთან თუ არა. ამით ვაგნებ 16 წელია და წელს კი მოჭრეს ის ხე თუ თავისით გახმა, არ ვიცი...

ერთხელ, დიდი დრო არ არის გასული წეროვანში დასახლებიდან და ჩავირბინე ჩემს შესახვევში. ისევ შეუღობავია ყველაფერი, ერთნაირია კოტეჯები... ჰოდა, შევდივარ და ვხედავ, რაღაცა, ბევრი უცხო ფეხსაცმელია კარის წინ. უი, სტუმრები ყავთ-მეთქი ჩვენებს. შევაღე კარები და... მეზობლებთან აღმოვჩნდი. სიცილით მითხრეს, მობრძანდი, მობრძანდიო. ჩვენი კარის მეზობლებთან შევსულვარ.

ფასადები ერთნაირი იყო, შეღებილი ერთნაირ ფერში, სახურავები ერთნაირი, რით უნდა გაარჩიო? სამი საფეხური ყველას შესასვლელში, განსხვავება – არანაირი... მერე, თანდათან ხალხმა მიაშენ-მოაშენა, შეღობა, გააკეთა, ეცადა – ხომ იცით, სიცოცხლე გრძელდება...

გამკლავება

რაც მოხდა, ნამდვილად არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ ხაზის გადასმა არ შეიძლება. ჰუმანიტარული დახმარებებიც იყო...

აქ სამშობლოზეა საუბარი, მხოლოდ იმაზე კი არა, რომ ჩემი სახლი დიდი სახლი იყო, ჩემი სახლი ლამაზი იყო, რომ მამამ საშვილიშვილოდ ააშენა, კაპიტალურად... მას მერე შემოვედით ამ ფარღალალა კოტეჯებში. მამა-პაპისეულ ფუძეს ვერ შეედრება, თუმცა, მადლობა ღმერთს იმისთვის, რომ ცოცხლები ვართ, ვარსებობთ, ვმუშაობთ, ორი ხელი გვაქვს, ორი ფეხი გვაქვს, საუბარი შეგვიძლია, აზროვნება შეგვიძლია. იმისთვის მადლობა, რომ შვილი მყავს. მდიდარი არ ვარ ოჯახის წევრებით, მაგრამ ნათესავები ბევრი მყავს და ვლოცულობ მათი ჯანმრთელობისთვის, არსებობისთვის, სიცოცხლისთვის.

მეც, ჩემი მეზობლებიც და ნათესავებიც მადლობლები ვართ ღვთისა ბევრი რამის გამო. ჩვენ ყველანი ხან ვხარობთ, ხან – ვწუხვართ... ძალიან გვაწუხებს ის ამბავი, რომ ჯერ შანსი არ არის ჩვენი ხეობაში დაბრუნებისა, რომ ულამაზესი და მდიდარი ხეობა დავტოვეთ, რომ აქ ყველაფერს ჭია უჩნდება, თუ არ შეწამლე. იქ არ ვიცოდით, ხახვიც თუ იწამლებოდა, აქ გავიგეთ. იქ სულ სხვა იყო მოსავლიანობა, აქ სულ სხვაა. იქ ხალხის დამოკიდებულებაც სულ სხვანაირი იყო, არ მეჩვენება, სხვა ფერებში კი არ ვხედავ შორიდან, იქ ასე იყო, აქ სულ სხვა ვითარებაა... აქ გაცივდნენ ადამიანები, აქ ერთობა აღარ არის, აქ მატერიალურზე აქვთ აქცენტი, ოღონდ მატერიალურად უზრუნველყოფილი იყოს ეს კედლები... რა ვიცი, მე არ მაინტერესებს ეს სიმდიდრე და მატერიალური. ფუფუნების საგნებზე წინ სხვა რამე დგას – სულიერება, კულტურა, განათლება, რამაც უნდა გადაარჩინოს ეს ქვეყანა, თორემ უარესად დავიმსხვრევით!

მთავარი და აუცილებელი პირობა ადაპტაციისთვის იმ პერიოდში სამსახური იყო. სამსახური არის ის ფაქტორი, რომელიც გაუსაძლისიდან გამოიყვანს ადამიანს, საკუთარ თავში ჩაკეტილობას და იმ სირთულეებს დააძლევინებს, რომელიც დგას იმ მომენტში ადამიანის წინაშე.

დიდი მადლობა იმ ორგანიზაციებს, ვინც თუნდაც პატარა საქმე გააკეთა დევნილი ხალხისთვის. დიდი მადლობა ყველა იმ დონორს, ვინც თითო აგური მაინც დადო ჩვენი მატერიალური, ფიზიკური თუ სულიერი გადარჩენისთვის. უამრავი დახმარება იყო. ამ ხალხის დასაქმებისთვის მთავრობაც მუშაობდა და არასამთავრობო სექტორიც.

არასამთავრობოს ინიციატივით ერთი პროექტი მე და ჩემმა გუნდმაც განვახორციელეთ – დევნილი ქალებისთვის ინტერნეტის, კომპიუტერის და ბუღალტერიის უფასო სწავლება. ასევე მათი დახმარებით გავხსენი სამკერვალო. მაშინ, იმ წლებში, რაც შემეძლო, ვშრომობდი, რადგან ჟურნალის ხელფასი მწირი იყო და რაღაც სხვა საქმეც უნდა მეკეთებინა...

არ შემეძლო სულ სახლში გამოვკეტილიყავი და ამიტომ სხვადასხვა პროექტში ჩავერთე. ბოლო დროს საკუთარ თავს ძალიან ვემდური – გავზარმაცდი. ეს, ეტყობა, ასაკის შედეგია – უკვე შუახნის ვარ. თუმცა, ყოველთვის ვცდილობ, რომ სხვას ხელი გავუმართო. დროდადრო თბილისის ტელევიზიებიდან რესპონდენტების მოძიებაში დახმარებას მთხოვენ და მეც სიხარულით ვთანხმდები. ეს ჩემთვის ერთგვარი თერაპიაა. როცა სხვას ვეხმარები, იმ დღეს ბედნიერი ვარ.

ჩემ გარშემო არიან ადამიანები, ვინც გაძლიერდა, ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა და აქტიურად საქმიანობს. მე ვერც ფიზიკურად და ვერც ფსიქოლოგიურად ვერ აღმოვჩნდი მათნაირი... გული ძალიან გამიტყდა და თითქოს სხვა ადამიანად ვიქეცი. ახლანდელი ხასიათი აბსოლუტურად არ შეესაბამება ძველისას. ახლობლებიც მსაყვედურობენ, სხვანაირი რომ გავხდი. ნეტავ იცოდნენ, სტრესებმა, ბევრმა უსამართლობამ და იმედების გაუმართლებლობამ როგორ დამამსხვრია... მაგრამ თავს აღარ შეგაწყენთ და ბევრს არ ვიწუწუნებ.

სვეტა მელაძე

ინტერვიუს თარიღი: 25 ოქტომბერი, 2024

ცხოვრება აგვისტოს ომამდე

დავიბადე ქარელის რაიონში, იქ გავიზარდე. სკოლაში შორს გვიწევდა სიარული. მე ნაბოლარა შვილი ვარ ჩემი მშობლებისა და გამანებივრეს – იმ შორ გზაზე არ მატარეს. ჩემი და იყო დვანში გათხოვილი, მასთან წავედი და დვანში დავამთავრე სკოლა. დვანით მთავრდებოდა ქართლი და იქით უკვე ოსეთის ტერიტორია იწყებოდა. იქ იყო ჩვენი სოფელიც – ავნევი, და, ასე თუ ისე, ოსეთთან კავშირი გვქონდა. ავნევი და ნული ოსურ სოფლებს შორის იყო მოქცეული. მდინარე ფრონის მიმდებარე ადგილებს ჭალებს ეძახდნენ, იქ დავდიოდით ხოლმე ჩემი და ჩემი დის ამხანაგები.

ერთი სიტყვით, ბავშვობიდანვე მქონდა კავშირი იქით. სწავლა ცხინვალში გავაგრძელე. სამედიცინო სასწავლებელი იქ დავამთავრე და ჩემი მეუღლეც იქ გავიცანი. [რომ გავთხოვდი], მერე წამოვედი ავნევში – სხვათა შორის, ჩუმადა ვარ გაპარული. აბა, აბაა...

მე რო ავნევში მივედი, სამოცდათოთხმეტი წლის თებერვალი იყო. ავნევი იყო ერთ-ერთი ძლიერი სოფელი ზნაურის რაიონში, საკმაოდ მდიდარი. არ არსებობდა პროფესია, რომ იმ პროფესიის ადამიანს ავნევში არ ეცხოვრა. სწავლას ძალიან ექცეოდა ყურადღება. კარგი სკოლა იყო, ხელი ეწყობოდათ კარგ მოსწავლეებს, თუმცა, ქართველები უმცირესობაში იყვნენ. ერთი სიტყვით, კარგი სოფელი იყო: კულტურის სახლი, ფოსტა, ამბულატორია, საავადმყოფო, სოფლის პირობაზე რაც კი საჭირო იყო – ყველაფერი ჰქონდა. დიდი სოფელი იყო, ზნაურის რაიონში ყველაზე დიდი სოფელი. ცხინვალიდან იყო 9 კილომეტრში. ცხინვალთან ჰქონდა ყველანაირი კავშირი და ურთიერთობა.

ერთი სიტყვით, ავნევში დუღდა ცხოვრება. შემოსავალი ბევრი ჰქონდა ხალხს, კოლმეურნეობა ძლიერი იყო, ხელი ეწყობოდათ ყველანაირად: კინო, თეატრი... ყველაფერი ხელმისაწვდომი იყო.

მწვანე იყო დაბლობში, გარშემო სულ სერები და მაღლობები ერტყა. ჩემ სოფელში ოდნავ შემაღლებულ ბორცვსაც ვერ დაინახავთ, მარა იქ მთაგორიანი იყო, მდინარე ჩამოუდიოდა. ფრონე ხო ჩამოდიოდა და გარდა ამისა, ლიახვი რწყავდა ჩვენს მინდვრებს.

ეხლაც დავთვლით ხოლმე – ავნევში თითქმის 80 ან მეტი ოსი რძალი იყო მოსული, ოჯახი ჰქონდათ შექმნილი და დიდი ნათესაური ურთიერთობა იყო, თანაცხოვრება. გარდა ამ ოჯახებისა, [იყო] ნათლიობა და ასე... არავინ არჩევდა, ვინ ოსი იყო, ვინ – ქართველი.

ესეთი არ ხდებოდა. მეზობლურად [იყო] ყველაფერი, ასე, 1990 წლამდე, სანამ ის არ დაიწყო... რას ეძახდნენ მაშინ გარბაჩოვი რომ მოვიდა? ჰო, სანამ გარდაქმნა („პერესტროიკა“) არ დაიწყო. ესე იგი, იქიდან დაიწყო, იმ 1985-88 წლებიდან რაღაც... რაღაცა... და ჩაეყარა საფუძველი ამ არეულობას.

მივედი ამ სოფელში და დიდი ოჯახი დამხვდა. ჩემი დედამთილი იყო საავადმყოფოს მთავარი ექიმი. მამამთილი ჩემ დროს დირექტორი აღარ იყო, მაგრამ სკოლაში ისტორიას ასწავლიდა. დამხვდა ორი მაზლი. ერთი თბილისში ცხოვრობდა. უცოლო უფროსი მაზლი აგრონომი იყო, და მეორე – ჩემი ქმრის ტყუპისცალი. დედამთილი, მამამთილი, უცოლო მაზლი, ცოლიანი, მოხუცი ბებია, მე, ჩემი ქმარი – ვიყავით ათნი. მერე ბავშვები მოგვემატნენ. ერთი სიტყვით, ამ დიდ ოჯახში 12 ვიყავით.

ცხინვალში მუშაობდა ჩემი ქმარიც და მაზლიც (ქმრის ტყუპისცალი). მერე ჩვენც ცხინვალში გადავედით. [ავნევში] რომ მოვდიოდით – შაბათ-კვირას, არდადეგებზე, თუ დღესასწაულებზე – ყველა მაინც იმ დიდ ოჯახში ვიკრიბებოდით, მიუხედავად იმისა, რომ ცალკე ბინა აგვიშენა მამამთილმა. ცხინვალში პირველი არეულობა რომ დაიწყო, ჩემი ბიჭი მეცხრე კლასში იყო და გოგო – მეთერთმეტეში. ცხინვალში იყო ორი ქართული სკოლა: პირველი და მეოთხე. ჩემი მაზლიშვილები პირველში სწავლობდნენ. ისინი ქალაქის თავში ცხოვრობდნენ, ჩვენ – ბოლოში.

კომენდანტის საათი რომ გამოცხადდა ცხინვალში, ერთი ეგ მახსოვს, რომ ვიღაცა იყო, გვარად ურიდია, ის მოკლეს. ხოდა, მეორე დილით გადმოვიდა ჩემი მამამთილი და გვითხრა, რო წამოიყვანეთ შვილო ბავშვებიო, აქ სწავლა აღარ იქნებაო, წამოიყვანეთ და გადმოდით ავნევშიო. მე ავნევში ვმუშაობდი, ჩემი ქმარი ცხინვალში, ბავშვებიც ცხინვალში სწავლობდნენ. წამოვედით. წამოვედით და დიდი ხანი ესენი სკოლაში აღარ მიმიყვანია, სად მიმეყვანა? ავნევში კი იყო სწავლა, მარა მაშინ რაღაცნაირად უნდა გადავრთულიყავით ბოლომდე.

გასროლის მეორე დილასვე წამოვედით და იმის მერე [ცხინვალის] სახლში აღარ დამიძინია. ჩემი ქმარი კი დადიოდა სამუშაოდ, მარა იმ სახლში აღარ რჩებოდა, მოდიოდა ავნევში. 9 კილომეტრი იყო ჩვენამდე, ტრანსპორტი იყო და დადიოდა.

ჩემმა მამამთილმა მითხრა, სვეტაო, მოდი, მაინც თქვენებთან წაიყვანე ბავშვებიო, ცოტახნით მაინცო. ჩემი მაზლის ცოლი ავნეველია და იმაზე მითხრა – ის კი ვერსად წავა, მისი მშობლები აქ ცხოვრობენო. დავთანხმდი...

[ავნევიდან] უნდა ჩავსულიყავით დვანში, სადაც ჩემი და ცხოვრობდა და სადაც მე გავიზარდე ბოლო წლებში, როცა სკოლაში დავდიოდი. მერე იქიდან უნდა წამოვსულიყავით ქართლისკენ, ჩემს სოფელში. ცხინვალის ავტობუსი აღარ დადიოდა. [ადრე] ჩამოდიოდა ხოლმე დვანამდე. დვანიდან ცხინვალისკენ უნდა გაევლო: მუგუთი, დიდმუხა, მერე ავნევი და მერე უკვე ცხინვალისკენ წასულიყო. უკვე არასასიამოვნო იყო ავტობუსით ამ ორი [ოსური] სოფლის გავლა – დიდმუხის და მუგუთის.

ხოდა, ამ ბავშვებს ეშინიათ. მე ვუთხარი, შვილო, ნუ გეშინიათ, როცა ჩემთანა ხართ, მაგისი ნუ გეშინიათ. ეხლა ამ დიდმუხაშიც, მუგუთშიც არეულობაა და ყველას ეშინია. ოსებს არ ეშინოდათ? ყველას ეშინოდა! დედაო, მერე არაფერი გვითხრანო. ნუ გეშინიათ, მე აქა ბევრს ვიცნობ-მეთქი. ჩემს ექიმ დედამთილსაც დიდი დამსახურება ჰქონდა, იმდენს მუშაობდა ამ სოფლებში. თუ იცნობ, მაშინ მიესალმეო. მივესალმები-მეთქი. მართლაც მცნობდნენ და ასე ამბობდნენ „აა, კოლაიჩინჩ თამარაიჩინჯ“. „ჩინჯ“ რძალია ოსურად, ანუ თამარის რძალიაო. მეც ვესალმებოდი „სალამ, სალამ“. კაციშვილს ჩვენთვის ზედმეტი არ უთქვამს. ჩამოვედით დვანში, ქარელის ავტობუსიც მოვიდა და წავედით ძლევიჯვარში.

ცოტახნით ვიყავით იქა. ცოტა ჩამშვიდდა, ჩაწყნარდა ეს სუყველაფერი. მერე 1990-ში ისევ დავბრუნდით, ისევ დავიწყეთ იქ სწავლა და 1991 წელი რომ დაიწყო, მორჩა, დამთავრდა, უკვე წამოვედით და წამოვედით, იქით აღარ მიგვიხედია...

ამ ჩემმა შვილებმა ჩემს სოფელში დაამთავრეს სკოლა, ბიჭმა მე-9 კლასი, გოგომ – მე-11. მერე, თუ გახსოვთ (ან გაგეგონებათ მაინც), ჩვენთან 1991 წლის 29 აპრილს მიწისძვრა მოხდა. დაინგრა სახლები, სკოლა დაინგრა... ვაგონებში დაამთავრა ჩემმა ბიჭმა სკოლა. გოგოს უკვე დამთავრებული ჰქონდა. ცხინვალის ინსტიტუტი გორში იყო უკვე გადატანილი და იქ აბარებდა გამოცდებს. გასიევს აქ რა უნდაო – აღარ იღებდნენ. შემდეგ ვიღაცა მიეხმარა – სხვების თანდასწრებით მხოლოდ სახელით მიმართავდა. ასე წვალებ-წვალებით ჩააბარა. მერე ინსტიტუტშიც ბევრი შეურაცხყოფა შეხვდა ამ გვარის გამო.

ბიჭს გამოვუცვალეთ გვარი, გოგო ისევ გასიევი იყო. [ინსტიტუტში] გასიევით შევიდა და გარსიძედ დაამთავრა. ის ისევ გარსიძეა და ბიჭმა კი დაიბრუნა – დედა, მე ჩემი გვარი უნდა დავიბრუნოო – მე არა ვარ, შვილო, წინააღმდეგი-მეთქი. მე რო მაგის წინააღმდეგი ვყოფილიყავი, ხომ ვიცოდი, რო მამაშენი გასიევი იყო და ცოლად ხომ გავყევი-მეთქი. ერთხელ, მესამე კლასში იყო ბიჭი და, დედაო, დღესაო მეოთხე სკოლამ და მეორე სკოლამ ვიჩხუბეთო,

ოსებმა და ქართველებმაო. მე ვუთხარი, შენ ოსი არა ხარ-მეთქი და არაო, მეო ოსი ვარო. ბავშვებმა კი არ იციანო, რო მე ოსი ვარო. ესე იგი, არც იცოდნენ, გასიევი ოსი იყო თუ ქართველი. აი ესეთი ამბავი არ უნდა მომხდარიყო. ჩვენა ვართ ამ პოლიტიკის მსხვერპლი. და ეგრე გამოვიდა, რომ ჩვენ ავნევში ოსები ვიყავით, ცხინვალში – ქართველები.

[ცხინვალში] ჩვენ 54-ბინიან კორპუსში ვცხოვრობდით. 8 წელიწადი ვიცხოვრე იმ კორპუსში და ჩემთვის 8 სიტყვა არავის წამოუძახებია, თქვენ ქართველი ოჯახი ხართო. ყველა ოჯახში საპატიო სტუმარი ვიყავი. მერე სწყინდათ, რატომ წავიდნენო გასიევებიო, რატომ წავიდნენო ავნევშიო, ჩვენ ხომ არ გაგვიგდიაო... მაგრამ ჩვენს იქ ყოფნას აზრი აღარა ჰქონდა. ამხელა ბავშვები იყვნენ, ჩემმა ქმარმა ოსური არ იცოდა, მე – მითუმეტეს. ეხლა უფრო ბევრი ოსური სიტყვები ვიცი, მაშინ საერთოდ არ ვიცოდი. ხოდა, იძულებული გავხდით, რომ წამოვსულიყავით. ვიცხოვრეთ, შვილო, 18 წელიწადი ავნევში. ევროკავშირიდან რომ ჩამოდიოდნენ ხოლმე დამკვირვებლები, უკვირდათ – რანაირი ხალხი ხართო, ღამე ერთმანეთს ებრძვით და დღე ერთმანეთის გვერდით სხედხართო. ქორწილი იყო, ჭირი იყო თუ ლხინი იყო, ერთიანი იყო მაინც.

ერგნეთის ბაზრობა

ეს არეულობა 1991 წლიდან 2004 წლამდე გრძელდებოდა. მერე ეს ერგნეთის ვაჭრობა დაიწყო და ამ ვაჭრობამ დააახლოვა ეს ხალხი, მიუხედავად იმისა, რომ ის პირველი არეულობა ისეთი იყო, იცოდნენ, ვინ ვინ მოკლა. 2008 წლის ომი კი მართლა ომი იყო – ვისი გასროლილი ტყვია ვის მოხვდა და რა მოხდა, არავინ იცის. ეს ნამდვილი ომი იყო და ის კი იყო პიროვნული: იმან იმას დაუშავა, ამან ამას დაუშავა, ვინ ხელში ვის ჩაიგდებდა და...

[პირველი არეულობების] შემდეგ ხალხი შერიგდა. აი, ეგეთი ომი იყო, მარა მაინც შერიგდნენ – ერთმანეთს აპატიეს, ისევ გააგრძელეს, ისევ მეზობლობდნენ, ისევ ურთიერთობა ჰქონდათ. ერგნეთის ბაზარი იყო გამაერთიანებელი. ეხლა პოლიტიკოსებიც ამბობენ მაგას. ერგნეთის ბაზრობამ შეკრა ხალხი. მერე 2004-დან მოყოლებული უკვე ნელა-ნელა დაიძაბა, დაიძაბა და მოვედით 2008 წლამდე. არაფერი საშველი აღარ იყო, პირიქით – უფრო გამწვავდა, უფრო გაღრმავდა და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: 2008 წლის ომი.

შემოვლითი გზა გაკეთდა ტყეზე – პირდაპირ აღარ მიდიოდა ცხინვალზე. შედიოდა ტირძნისში, დიცში, ერედვში და მერე ადიოდა ტყეში. აი, იქ მოხდა 2008 წელში იმ გზის გარშემო ომი.

აგვისტოს ომი

2008 წლის 6 აგვისტოს... ხორბალი ჰქონდა დათესილი ჩემს შვილს 10 ჰექტარ მიწაზე. აიღო ის ხორბალი, 20 ტონა მოიტანა და ეზოში ლურჯ „პალატკებზე“ გაშალა. 20 ტონას სად დავტევდით, იმას მოვლა უნდოდა. თვითონ ამ ჩემს შვილს ჰქონდა მეტალოპლასტ-მასის დიდი „ცეხი“, ძირითადად ცხინვალში ვაჭრობდა. ბიზნესი ჰქონდა, ერთი სიტყვით. იღებდა შეკვეთებს, უკეთებდა, მიჰქონდა ავნევშიც, მაგრამ ძირითადად – ცხინვალში.

ჰოდა, 6 აგვისტოს ისევ მინდორში იყო და ხორბალს იღებდა. სროლა იყო, მაგრამ კომბაინი მუშაობდა და კომბაინერს ვერ გავა-გებინეთ, წინ დავუდექიო. ერთი სიტყვით, გავაჩერეთო. სარწყავ „ლატოკებს“ ეძახდნენ (ბეტონის არხებია) – შიგ ჩავწექით მერეო. ხო ბეტონია და სროლა ზევიდან თუ არ იქნებოდა, გადარჩებოდნენ. როგორც იყო, შეწყდა სროლაო და ჩამოიტანა ნაწილი ხორბლისა. მე როგორც ვახსენე, ძლევიჯვრელი ვარ, და აი ამ მინდვრებთან ჩემი სოფელი უფრო ახლოა, ვიდრე ავნევი. ვუთხარი – შვილო, მაინც ხო სხვაგან უნდა გაყიდო, მოდი და ძიასთან წაიღე-მეთქი. ჩემს ძმას დიდი კარ-მიდამო აქვს, გარაჟში შეიტანს, დიდი „პადვლები“ აქვს... დედა, რათაო? რამე იქნებაო? არა-მეთქი, არაფერი იქნება, მაგრამ... აი, დაჯერებაც არ მინდოდა... არ წაიღო და მთელი საღამო ციკანს ეძებდა, უნდა ეყიდა – ხორბალი რომ აიღო, უნდა ექეიფათ.

ამ სირბილ-სირბილში ბენზინიც დახარჯა და 7 [აგვისტო] რო გათენდა და უკვე რომ 7-შიც ისეთი გაუსაძლისი მდგომარეობა იყო – ბიჭზე იყო ორსულად რძალი, 7 თვის ორსული იყო – ის და პატარები ჩასხა და წაიყვანა თბილისში.

ჩვენ დავრჩით (მე და ჩემი მეუღლე) – აბა, მე სამსახურს ხო ვერ დავტოვებდი?! ჩვენ ორნი დავრჩით, ესენი წამოვიდნენ. სიძეც დარჩა, ამ [პატარების] მამა. ჩემი ბიჭი უკან უნდა ჩამოსულიყო, მარა ვეღარ შემოვიდა. ვეღარ შემოვიდა და დავრჩით უბენზინოდ. ერთი მანქანით თვითონ წავიდა, მეორე მანქანაცა გვქონდა და იმ მანქანაში ბენზინი აღარ იყო – ციკნის ძებნაში დახარჯულიყო...

დავრჩით ჩვენი ამბულატორია ომის დროს სოფელში, ჩვენი ექთნები – 6 თუ 8. [სოფელ] ნულშიც იყვნენ ჩვენი ექთნები, ჩვენ გვე-ბარებოდნენ; ის საფერშლო პუნქტი იყო და ჩვენ ვიყავით ამბულა-ტორია. ამბულატორია იყო და საავადმყოფოც 25-ადგილიანი. მე რომ მუშაობა დავიწყე, იმდენი ავადმყოფები იყვნენ, რომ დერეფანში ეძინათ.

ჰოდა, ესე იგი, 2008-ში ის ამბები რო იყო, საიდან არ მოყავდათ დაჭრილები. ჩვენ ვიყავით იმათი ბატონ-პატრონები. ნარკოტიკიც[9]

9 იგულისხმება გამაყუჩებელი საშუალება

არა გვქონდა. ამოღებული გვქონდა შპრიცებში დიმედროლი და ანალგინი. ბინტები რო აღარა გვყოფნიდა, დიდი მარლის თოფები დაგვიჭრა ჩვენმა ექიმმა.

ერთ შესვლაზეც მარტო ვიყავი ამბულატორიაში. ბიჭი ზის, საცოდავი, მწვანე, მიწის ფერია. მეთქი, ვინ მოგიყვანა შვილო, რა გინდა. ჯარისკაცი იყო. თავიც აღარა ჰქონდა ლაპარაკის და თვალები დახარა... დავხედე და ნაწლავები უჩანდა გვერდიდან. ესე იგი, ჭრილობა იმხელა ჰქონდა, ღია ჭრილობა, რო ნაწლავები ჰქონდა გარეთ გადმოყრილი! შემოვახვიე ეს მარლა. არავინ არ იყო იმ წუთში ჩემთან ერთად. გამოვედი მერე აივანზე. ჩვენ გვერდზე პოლიციის შენობა იყო და დავიყვირე – ხალხო, ბიჭია დაჭრილი, არ დატოვოთ, აქ არ დატოვოთ! და, რა ვიცი, გაიგონეს მერე ბიჭებმა, ხელები შეკრეს ორმა, დაისვეს ზედ და გამოიყვანეს. მერე წამოიყვანეს. ნეტა თუ გადარჩა? ვაი იმის დედასა...

და მანამდე, აი, იმ გორას რო ვახსენებდი, იქ თურმე ის ქონდათ ამოთხრილი, „აკოფებს“[10] რო ეძახიან. ხოდა ეგ მაღლობი ადგილია და ავნევი, ხო გითხარით, დაბლობშია. გარშემო სხვა სოფლებიც სუ მაღლაა. დიდმუხა და მუგუთი დაბლობშია – ჩვენ დონეზე. სხვა სოფელი – წუნარს ეძახდნენ – ცხინვალთან ახლო იყო. იქიდან გამოსროლილი ტყვია აქ მოხვდა საცოდავ ბიჭს და ჩამოიყვანეს ეგრე... ერთიც მკვდარი ჩამოიყვანეს – გურული, ტრაპაიძე იყო და ესა გორელი იყო, კირბალელი ტიელიძე ყოფილა, ზედ ეწერა და წავიკითხე მერე. იქნება, რამე ვუშველოთო. შვილო, მკვდარია უკვე... იმას ნემსი მე გავუკეთე, მაგრამ რა ნემსი უშველიდა – თავში ქონდა მორტყმული. ის არ ეფარაო თურმე, მუზარადი თუ რა ქვია. ჰო, რო ამოუყვია თავი, სნაიპერს უსვრია და მოუხვედრია და იმ საცოდავს ჩვენ დავუხუჭეთ თვალები... მე დავუხუჭე, უფრო სწორად. გარშემო დავდექით ჩვენი ექთნები და ჩვენ ვიტირეთ პირველი. წლების მერე ჩემი შვილი გორში ქორწილში მოხვდა. იქ ვიღაცას უთქვამს, ჩემი ძმა 2008 წელს იბრძოდაო. ვინაო? ტიელიძეო. ტიელიძეო? დედაჩემმა დაუხუჭა შენს ძმას თვალებიო...

ესე იგი 2008 წლის 7 აგვისტო ესე დაღამდა და მთელი ღამე არ დაგვიძინია. როგორ დაგვეძინებოდა?! ჩვენი ბაღის მომიჯნავეები იყვნენ – ეხლა ზევით დაბლა კორპუსში ცხოვრობენ ჭიღლაძეები – იმათ ქონდათ მიწისძვრის დროს აშენებული სახლი ორმაგი სინკარებით, მაშინ ეგრე აუშენეს. ისაო საიმედოაო და ჩვენი ამბულატორია და ჩვენი ექთნები, ვინც ვიყავით, იქ გადავედით.

10 სანგარი



ხოდა, 8 აგვისტოს დილაა და ზევითაც იყვნენ ჩვენი ექთნები. ჩვენი ექიმი ბირჟასთან ცხოვრობდა ავნევის შემოსასვლელში და იქ იყო ცენტრი. აი, ამ ჩვენი შეიარაღების სულ ყველაფერი იქიდან შევიდა – ეს ტრანსპორტი, ტექნიკა, სულ ყველაფერი... ერთი ოსი გვარის კაცი იყო, საწყალი – დაგვიძახეს, რო ქოქოევი შოთა დაიჭრაო. გულთან ქონდა მოხვედრილი, იქ ქონდა ჭრილობა, ოღონდ, ღრმა არ იყო. ჩვენ სასწრაფო მანქანა გვქონდა „უაზი“. სადღაც ეგრე კედელ-კედელ აგვიყვანა იმ მძღოლმა, რო არაფერი მოგვხვედროდა. ავედით, შევუხვიეთ [ჭრილობა] იმას, წამოვედით, და აი წუნარს რო ვახსენებ, მაგ სოფლიდან ვიღაცა ბიჭი ჩამოსულა. არ ვიცი, ვინ იყო. „გავრცელდა ეგ ხმა და ტყუილი არ იქნება: ავნევი უნდა დაბომბონ და გაფრთხილდითო“. ესე იგი, იქაური ჩამოსულა და გაფრთხილდითო. და მაშინ გადავედით იმ ბინაში – რო რაღაცა მოხდეს, მაინც ისეთი ადგილი იყო, ხელისგულივით ჩანდა ამბულატორია. პოლიცია წითელი შენობა იყო, ბრმაც დაინახავდა იმასა და იცოდნენ, რო პოლიციის გვერდით ამბულატორია იყო. ამბულატორიის დაბომბვა კიდე არ შეიძლებოდა. ჰოდა, გადავედით იქ და ვიყავით იმათ „პადვალში“ მეზობლის ქალები. ბავშვები არ იყვნენ. კაცები, ჯარისკაცები, პოლიცია იყო...

ორნი ჩამოვიდნენ ზევითა მხრიდანა – ჯარისკაცსა კონტუზია აქო. ერთი ჩვენი მამაო იყო (ჩემ ბიჭზე ერთი წლით პატარაა) და ერთიც აქა ცხოვრობს, ჩვენივე მეზობელია, ავნეველი. მე და ეს ჩვენი

ექიმი და სანიტარი წამოვედით, რო ის კონტუზიიანი ბიჭი გვენახა და უცებ დაიწყო დაბომბვა. ჩვენ ორღობეში მოვდიოდით. [იქვე] მაღალი, ორსართულიანი სახლი იდგა. მამაომ დაგვიყვირა, დაწექითო. თვითონ ჯარ-მოვლილი იყო. დაწექით და ჯვრის ფორმა მიიღეთო: ასე გაშალეთო ხელები და ღმერთი გადაგარჩენთო. ეკლები შეგვერჭო, მარა ვინ დაეძებდა იმ ეკლებს. ერთი სიტყვით, იმ მაღალმა შენობამ დაგვიფარა. წინა შენობას დაეცა და ტალღა ჩვენზე აღარ გავრცელდა, თორე ან ტალღა გვიზამდა რამეს ან [რაიმე] მოგვხვდებოდა. ერთი სიტყვით, გადავრჩით, მაგრამ [წინ] ვეღარ წავედით. მერე უკვე დაბომბვა გაგრძელდა, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, არავინ მომკვდარა იმ დაბომბვის დროსა. არ ვიცი, ეგრე რას ისროდნენ, ეგრე სად ისროდნენ... ღმერთმა დაგვიფარა! ავნევში ცუდი არაფერი მომხდარა, არავინ მოუკლავთ, არც უწამებიათ. ავნეველებს არაფერი გაუფუჭებიათ. არ ვიცი, ღმერთმა დაგვიფარა. ერთი მკვიდრი ავნეველი დაიჭრა (საწყალი, ჯავახიშვილი, ეხლა ხაშურში ცხოვრობს და ვერ არისო კარგად). ერთ ჯარისკაცს, ჩვენებურს, რაღაცა ჭრილობა ჰქონდა და ისიც გადარჩა. და ის კონტუზიანი ბიჭიც, რა ვიცი, წაიყვანეს მერე და, ალბათ, გადარჩა ისიც.

გაგიკვირდებათ ხალხო და ისე წამოვედით ჩვენა იქიდანა რო... აი, წუნარს რო ვახსენებ (ოსების სოფელს), სანამ ზემო ნიქოზში ჩავიდოდით, მანამდე იყო ეს სოფელი. იმ გზაზე შეეძლოთ იმ წუნარელებს, რო ერთი მანქანაც არ გამოეშვათ. აი ადვილად, როგორც ორჯერ ორი ოთხია, ისე შეეძლოთ, რო არ გამოეშვათ, მაგრამ გამოგვიშვეს. გამოგვიშვეს. დაგვინდეს. მაინც მეზობლები იყვნენ... ის კაციც ხო ჩამოვიდა [გასაფრთხილებლად], დაბომბვა იქნებაო, არ დარჩეთო. რა ვიცი...

ჩვენი ჯარისკაცები, თურმე, ეგრე რო შეიყვანეს, ქაოსურად... ეგ ამბები ხო იცით, რაც მოხდა მაშინ, და აქ ტაშფანდურა იყო, იქ კიდე ჩვენი საცოდავი დაჭრილი ჯარისკაცები ყროლდებოდნენ... ეგ ხო ტყუილს არ ვამბობ, ეგ ხო ტელევიზიაშიც იყო. ჩვენი ჯარისკაცები თურმე იქ წუნარში დარბოდნენ და ხალხს ეხვეწებოდნენ, სამოქალაქო ფორმა მოგვეცითო....

8-ში დავტოვეთ ავნევი. [7-ში] საღამოს დავრჩით. პირველმა დაბომბვამ რო გადაიარა, ჩემმა ქმარმა მითხრა – სვეტაო, შენ წადიო და მე დავრჩებიო. მე ვუთხარი: „სად უნდა წავიდე? აქაურობა ვის დავუტოვო? შენ ვისთან დაგტოვო? შენ შვილებს რა პასუხი გავცე? როგორ უნდა ვუთხრა, მე წამოვედი და მამაშენი იქ დარჩა?“ არა! საცა შენ იქნები, მეც იქ ვიქნები-მეთქი, ვუთხარი.

ესე იგი, 8-ში რო წამოვედით, ვიღაცას უთქვია შეცდომით ჩემი შვილისთვის, დედაშენი დაბომბვაში მოყვაო და თურმე გორის ჰოსპიტალში მეძებდა. [ამ დროს] ორსული ცოლი დატოვა და თავისი დაც გორში. ჩემ [გოგოს], როცა გამოაცხადეს დილით, რო გორი იბომბებაო, დაუჭერია ტაქსი და გამოქცეულა, ჩამოსულა თბილისში. [მერე მიყვებოდა]: ტაქსისტს უნდა მივეყვანეთ თემქაზე და დაურეკეს გორიდანაო, რო გორი იბომბებაო. შოფერმა მითხრა, პატარა შვილები მყავსო. წადი, ვუთხარი, მე უკვე თბილისში ვარ და თემქაზე ჩემით წავალ-თქო. ფასიც იმდენი გადავუხადე, რაცა მთხოვა და მერე ჩვენ უკვე სხვა ტაქსით დიდუბიდან თემქაზე გავედითო.

ჰოდა, ეს ჩემი შვილი დაგვეძებს, თურმე, ჩვენა. უნდა წავიდეთო – [ქმარი] მეუბნება. ვუთხარი, რითი წავიდეთ? მანქანაში ბენზინი არ არის. ჩვენი სასწრაფოს შოფერი ამოდიოდა (ამ კიბრავას რო ვამბობ), ამოყავდა ჩვენი ხალხი, გადმოსხამდა მინდორში და უშვებდა ესე. მერე კიდე ამოყავდა და ეგრე... [ამ მძღოლმა] მითხრა, 2 ლიტრიანი ბოთლითა მაქვს ბენზინი და მოგცემთო, ნიქოზამდე გადახვალ, მერე იქ იშოვი ბენზინსაო.

ჩაასხა ეს ბენზინი. ჩვენა გამოღმა ვცხოვრობდით – ბულვარს ეძახდნენ, შუაგზა იყო. აქით ჩემი მამამთილის ძველი სახლი იყო, სადაც მე ახალგაზრდობა გავატარე და მერე აქით გადმოვსახლდით ჩვენცა. რო წამოვედით, აქით კი არ წამოვედით, იქით ჩაუხვია ჩემმა ქმარმა. სად მიდიხარ-მეთქი, და ჩემი ძმა და მისი ცოლი არ წავიყვანოთო? მე ისინი აღარ გამახსენდა. იმასაც უფროსი ბიჭი პატარა ყავდა, თვეებისა და ცოლი ორსულათა ყავდა მეორეზე. ჰოდა, ჩამოვედით იქა და ეს ჩემი რძალი და მაზლი დაგვხვდნენ ეზოს კარებში. ჩქარა, ჩქარაო და, ჩვენ საბუთები მაინც წამოვიღეთ, ისინი უსაბუთოდ წამოვიყვანეთ – მაგის დრო აღარ იყო. კარებზე ერთი ქალი შეგვხვდა, ღვიძლში რომ იყო დაჭრილი, იმისი და. წამიყვანეთ მეცაო, [ჩემი ძმა] დაჭრილია და შეიძლება ცოცხალი ვეღარც ვნახოო.

ჩვენ შეგვხვდა საწყალი [ქალის] წამოყვანა. ჩვენ წამოვიყვანეთ მერე ჩვენი ექიმიც. წამოვედით ეგრე. ჩამოვედით. ტელეფონები გათიშულია. „მაგთის“ ანტენა იყო იქით, იმ გორაზე, მაგრამ რაღაცა მოხვდა იქ და გაითიშა და უკვე ტელეფონები აღარ იჭერს ავნევში. აქით იჭერდა, გორის სოფლებში რო გადმოვედით.

გზები სავსე იყო. მინდვრის გზაზე მოვდიოდით, [მტვრის] ჯანღი იდგა. ეგრე წამოვიდნენ – ვის რითაც შეეძლო, ტრაქტორით, ფეხით, მანქანებით, „გრუზავიკი“ – დახურული, ღია...

ჩემი ბიჭი თურმე ურეკავს [ჩემი გოგოს] ქმარს, სადა ხარო? ამას უთქვია, მოვდივარო მინდვრებშიო, ფეხითა, მარა რა ადგილზე ვარ,

რა სოფელია, არ ვიციო. ჰოდა, ამას უთქვია, სადმე გზაზე იქნება გამოხვიდე, მე მოვალ იქა და წამოგიყვანო. დედაჩემი და ისინი სად არიანო, უკითხია. იმან – რა ვიციო. ჩვენ ამ დროს უკვე გორში ვართ, ჩავედით გორში, ამ ჩემ მაზლიშვილთან მივედით და ამან გვითხრა რო [ჩემი გოგო] წასულა თბილისში. ჩვენც შევიკრიბეთ ამათთან სახლში. ამ ჩემმა შვილმა რო ვერ მომძებნა, ჩემ სოფელში ჩასულა – იქნებ იქ ჩავიდნენო, მაგრამ იქაც არ ვიყავით და [სოფლის ხალხიც] გამოქცეულები იყვნენ. სადღაც გორის იქითა მხრიდან, ვარიანთან, ხიდია და ეს ჩემი სიძე იმ ხიდის ქვეშ ყოფილა. საიდან მოვხვდი მანდაო, ეხლაც არ ახსოვს. ჩემმა შვილმა მითხრა მეორე დღესა – დედა, ჩვენ თუ ხვალ ავნევში არ შევედით, ჩათვალე რო ყველაფერი დაკარგული გვაქვსო.

2008 წლამდე მოვუნდით [ავნევში] ჩვენი ახალი სახლის გამართვას, გარემონტებას, დამთავრებასა და გასაღებიც მაქვს ეხლა აქ. დედა, მაგრად შეინახეო – შვილმა მითხრა... ისევ შენახული მაქვს მე ის გასაღები. ფანჯრები გაღებული დახვედრია. ჩვენი სახლის წინ ბომბი დასცემია მეზობლის მანქანას და დამწვარაო. ჩვენა გვქონდა „ზაბორი“[11] გაკეთებული მეტალოპლასმასისგან, „ნერჟავიკა“[12] ჩასვა „უგოლნიკებში“[13] ჩემმა შვილმა და ცემენტზე დააშენა. ერთი ცალი „ზაბორი“ აღარ დარჩენილა... სად წავიდა, რო ვერც გამდნარი ვნახე, ვერც დამტვრეული ვნახე, ესე იგი, იმ [აფეთქების] ტალღამ გაადნოო... რა ქნა, არ ვიცი, მარტო ცემენტი დარჩა, მეტი არაფერი.

აი, ისეთი რაღაცა იყო და გადავრჩით, არავინ მომკვდარა. არ ვიცი აი, სასწაული იყო, ჩვენი პატიება იყო ღმერთისგანა, რო ავნეველებს არაფერი დაუშავებიათ. არ ვიცი, რა იყო. თქვენ რაც გინდათ, ის დაარქვით, რო გადავრჩით შვილო და სიცოცხლე შევინარჩუნეთ.

დროებითი საცხოვრებელი

წავედით თბილისში. 6 თვე ვიცხოვრეთ – ეხლა რომ გამოცდების ეროვნული ცენტრია, ზემოთ სატყეო დეპარტამენტი ყოფილა და იქ, იმ შენობაში ვცხოვრობდით. ახლოს იყო და აქაც ისვრიანო, ბავშვები ღამე ვერ იძინებდნენ. ეხლა რა იყო, იცით? იყო ძალიან ძნელი. შეიძლება მოყოლილი მაქვს: „ბაბო, ჩაი ცხელიაო. მოურიე-მეთქი და კოვზი რო არა მაქვს, რითიო, რითი მოვურიოო?“. ჩვენ კიდე ნათესავებთან ვიყავით, მარა ყველას ხო არა ჰყავდა. ეს ჩემი გოგო თავის მაზლთან იყო. ჰო, მერე ისინი ჩამოვიდნენ... ზღვაზე იყვნენ და თბილისში ჩამოსასვლელად სამხრეთ საქართველო მოიარეს, ისე მოვიდნენ, [აქეთა] გზები ხომ ჩაკეტილი იყო?!

11 ღობე (რუს.)

12 უჟანგავი ფოლადი (რუს.)

13 რკინის კუთხოვანა

შესახლება წინამძღვრიანთკარში

აღარ იყო იმედი უკან დაბრუნების. ყოველ შემთხვევაში, აქ რო მოვედით, მაშინ უფრო იყო, მარა მერე დღითიდღე მიილია. არაა იმედი, მაგრამ 16 წელიწადი თუ გავიდოდა, მაგას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით... რას წარმოვიდგენდით?! მერე აქ მოგვიყვანეს დასახლებაში და რამდენიმე წელიწადი ვიყავით დაუმტკიცებელ ბინაში. იყო ჩვენზე [ლაპარაკი] – აი გადაიყვანენ, აი გადმოიყვანენ და ვიყავით ამ გაუბედურებულ ბინაში... აქ რა იყო, იცი? აქ [შემორჩა] კიდე ისეთი ბინები. ეს ჩვენმა გამგეობამ მერე აყარა და გაგვიკეთა, მარა სხვა ლიახვის ხეობის ხალხს აღარ გაუკეთა. ზოგისა კარგი გარემონტებული იყო – ლამინატი ეგო. მერე ჩემმა შვილმა გააკეთა სულ ყველაფერი. ეხლა თავს არ ვიქებ, მაგრამ ნორმალურად ვცხოვრობთ. საცხოვრებელი პირობები არ იყო, უხარისხოდ გაკეთებული იყო, თორე დანარჩენი რა – ვცხოვრობდით სოფელში ქალაქური ტიპის ბინებში. ჰო, გათბობა იყო აქ – „კარმა“ გვქონდა, გაზი იყო, ტუალეტები შიგნით გვქონდა, წყალი იყო... ეგ პირობები გვქონდა. გადმოვედით ეგრე, მაგრამ უხარისხოდ გაკეთებულ ბინებში ფანჯრები იყო ისეთი, რო გრიალ-გრიალით შემოდიოდა ქარი და ჩემმა შვილმა გამოცვალა. მერე სხვებს თვითონ გამოუცვალეს და ჩვენ კი შეგვრჩა ის ჩვენი დანახარჯი.

ჩვენ აქ 40 ოჯახი მოვედით. ყველაზე ბევრი რიცხობრივად ავნეველები ვართ. ესე იგი, აქა ცხოვრობენ აჩაბეთელი, ქურთელი, კეხველი, ერედველი, ვანათელი, აწრისხეველი, კიდე რა, არაფერი გამომრჩეს... მაგრამ ყველაზე ბევრი ჩვენა ვართ – 13 ოჯახი ვართ ჩვენ.

ვიწყებთ ხელახლა ცხოვრებას. აი, არ ვიცი, რაღაცა განგება გაძლევს ალბათ, რაღაცა გაძლევს იმ ძალას, თორე მე მესამედ დავიწყე ცხოვრება. მესამედ დავიწყე ცხოვრება... დავიწყე ქილების ყიდვა. ხო, ერთი ავნევში მქონდა. მერე ცხინვალში გადავედით – იქ დავიწყე ყიდვა. ჩემები რამეს რო მომიტანდნენ, ან მურაბას ან კამპოტს, ბანკებს არ ვატანდი ხოლმე, მე არა მაქვს-მეთქი. გაგვატანეო და არ ვატანდი, ვაგროვებდი. ეგრე დავტოვე ცხინვალში. ცხინვალიდან წამოვედით ავნევში და ხელახლა დავიწყე. აქ ჩამოვედით და აი გაგეცინებათ, რო ის მინდოდა, ხორცის საჭრელი, ცოტა მაგარი ცულივითა, ოღონდ კულტურული ცული... აქა თონეები მოგვცეს, მერე ფქვილს გვირიგებდნენ და ამ ფქვილში რაღაცა ერია – ყვითელი მარცვლები. და ჩვენი ხალხი, იცი, როგორ გასუქდნენ? ეტყობა, რაღაცა ვიტამინები ერია. თონეებიც მოგვიტანეს, ჩვენ თვითონ ვაცხობდით პურს. მე იქაც სულ ვაცხობდი და აქაც ვაცხობდი. [ახლა] ხელები ორივე დამტვრეული მაქვს მე, მეტალები მაქ და თონეებში რო ჩავყო, მიცხელდება და ვეღარ ვაცხობ, აგერა, 6 წელიწადია.

აი, ამ 16 წელიწადში მოვყევით, მოვყევით ჩანგლიდან დაწყებული, როდინი, ცული თუ ნაჯახი თუ თოხი თუ რაც იყო – შევაგროვეთ. შევაგროვეთ, დავფუძნდით და ვცხოვრობთ. 16 წელიწადია, მე აქა ვცხოვრობ, ექიმთანაც მივდივარ, ბანკშიც მივდივარ, [მაგრამ] რო მეკითხებიან, მე არასოდეს მითქვია, რო წინამძღვრიანთკარელი ვარ. მე წინამძღვრიანთკარში ვცხოვრობ – აი, ასე ვამბობ.

მერე, თავისთავად, დაბადების დღეც და ლხინიც მოდის, ახალი წელიც მოდის, ძველით ახალი წელიც მოდის და ქართველების ამბავი ხო იცით, არა? ერთხელ, ჩემი ბიჭის დაბადების დღეზე, შუა დერეფანში გავშალეთ სუფრა, დერეფნის სისტემა იყო. მეზობლებმა, ვისაც რა ქონდა, გამოვიტანეთ და აღვნიშნეთ ეს დაბადების დღე... სხვაგან გაზრდილი ძმისშვილი მეუბნება – პაპიდა, რა მხიარული ხალხი ხართო თქვენაო, ჩვენები რო ყოფილიყვნენ, თავებს დაიხოცავდნენ, ამდენი რამე რო დაკარგესო. მე ვუთხარი – შვილო, დავიხოცოთ? რა გამოვა მაგით? სიცოცხლე შევინარჩუნეთ-მეთქი, ეს არის მთავარი!

ძალიან ძნელია ეხლაც კი... აი, ცოტა რო ღრმად ჩავუფიქრდები – როგორ შევეგუეთ ამდენ დანაკარგს, როგორ შევეგუეთ, რაც გვეცვა, იმითი წამოვედით, როგორ გავუძელით, როგორ შევძელით, როგორ დავდექით ფეხზე... ჩვენი ცოდო დაიდეს. დიდი ცოდო დაიდეს რო ჩვენი ხალხი სად არა მარხიან. ვინც ამ საერთო სასაფლაოზე არ დამარხა შვილი, სოფელში დამარხა, დის სოფელში დამარხა, ძმის სოფელში დამარხა. ეგა არის ჩვენთვისა ძალიან დიდი ტრაგედია, დიდი ტკივილი.

ერთი რა გამახსენდება ხოლმე, იცი? „ბაშიაჩუკში“ როა, რო შემოესევიან და „ჩვენ რა ძალა გვაქო, რა შეგვიძლიაო“ – ის მოხუცები რო ამბობენ. იქ რა შეგვეძლო და აქ რა შეგვეძლო – შევძლებდით? იქ რა შეგვეძლო რა, ვის გავუწიეთ წინააღმდეგობა? ვერავის! ვერც ოსებს გავუწიეთ, ვერც რუსებს და ვერც ჩვენ მთავრობასა. აქ რა შეგვეძლო...

ადამიანია, ალბათ, ბევრის გამძლე და ბევრი შეუძლია. აი, ალბათ ისა, რო ცოცხლები ვიყავით და სხვა გამოსავალი აღარა გვქონდა, ბავშვები გვყავს და ბავშვებს ცხოვრება უნდათ!

თამარ (ლალი) ნიკორაშვილი

ინტერვიუს თარიღი: 8 ნოემბერი, 2024

ცხოვრება აგვისტოს ომამდე

ჩემი სახელია თამარ ნიკორაშვილი. დავიბადე 1946 წლის 15 ივნისს. ეს გვარი არის ცხინვალის რაიონის სოფელ ფრისიდან, იქ გავიზარდე. მე-18 წელში ვიყავი, რომ გავთხოვდი. ულამაზესი ქმარი მყავდა. დამინახა და აღარ გამიშვა ხელიდანა. სიყვარულით შევქმენი ოჯახი. კარგი კაცი იყო, კულტურული ადამიანი, ქალის დაჩაგვრა არ უყვარდა. ესმოდა, მე ვინ ვიყავი, მიცნობდა კარგად და კარგი ოჯახი გვქონდა. ოჯახიც კარგი ჰყავდა – დედამთილი კარგი, მამამთილი კარგი. საბჭოთა თავმჯდომარედ მუშაობდა. კარგი ბინები დაგვიდგა, ორსართულიანი – ხუთი ოთახი დაბლა, ხუთი ოთახი მაღლა მოგვცა ჩვენა. მერე ჩვენ გავმართეთ ჩვენ ნებაზე და კარგად ვიყავით. გათხოვილი ვიყავი, როცა სწავლა დავიწყე, საშუალო და სამედიცინო ტეხნიკუმი ცხინვალში დავამთავრე. სიძე მუშაობდა „ორკომში"[14] და ესე ესეო, მყავს უფროსი, მოგაწყობო შენაო სამედიცინო ტეხნიკუმშიო და მომაწყვეს. შემინახეს ბავშვებიც – მხოლოდ შუადღისით წავიდოდი და საღამოთი მოვიდოდი სახლში. არც მეუღლემ შემიშალა ხელი და ასე დავამთავრე. მერე სამუშაოც სიძემ მიშოვა იქა. ოსეთში გავედი სამსახურში პირველად. ეს პროფესია იმიტომ ავირჩიე რომ, მამა გამიხდა ავად. კიბო ჰქონდა კუჭზე, 13 წლისა ვიყავი მაშინ. დედა მშრომელი გლეხის ქალი იყო, თვითონ არ იცოდა, დამყავდა ექთანი და იმან მასწავლა ნემსის გაკეთება. რადგან თვითონ გათხოვილი იყო და არა ჰქონდა საშუალება რო ყოველთვის მოსულიყო და გაეკეთებინა მამისთვის ნემსი, ამიტომ მე ვუკეთებდი. რკინის ჯამში ვხარშავდი შპრიცსა და ნემსსა და მამას ისე ვუკეთებდი გამაყუჩებლებს.

როდესაც საქართველოში აირია ეს ამბები, რა თქმა უნდა, ჩვენ ავ დღეში ვიყავით. სამხრეთ ოსეთში ვცხოვრობდით იქ, ოს მოსახლეობასთან ერთად. მე პირადად ვმუშაობდი სოფელ ქსუისის 35-საწოლიან საავადმყოფოში. ნახევარი ოსები ცხოვრობდნენ, ნახევარი ქართველები და ორივეს საავადმყოფო იყო. მეტი წილი ოსები მუშაობდნენ და ნაწილიც – ქართველები. მე ჯერ დავიწყე უბნის ექთნად მუშაობა, მერე, რადგან დამსახურებული უფასო დონორი ვიყავი, ნუ, საერთოდ აქტიურობა მიყვარს ყველაფერში, გადამიყვანეს უფროს ექთნად. ყოველდღიურად მიხდებოდა უთანხმოება, იმიტომ, რომ ისინი იძახდნენ, ოსების ტერიტორიაა საქართველო და ჩვენიაო. თანამშრომლებთან ერთად, ახლა რო დავჯდებოდით, სუფრა იყო

14 ორგკომი – ორგანიზაციული კომიტეტი

თუ ისე, უთანხმოება უკვე ხდებოდა. უკვე დაიწყო გატეხვა ხალხისა, არევა, ერთმანეთის წაქეზება და ერთმანეთის რაღაცები. მე ჩემს ტერიტორიას ვიცავდი, ჩემს სამშობლოს ვიცავდი, ჩემს ოჯახს ვიცავდი, რა თქმა უნდა. იქ ომის არევამდე ბევრი ძალიან კარგი ხალხი მყავდა ოსები. არ ვიტყვი, რომ მე ისინი ცუდად მყავდნენ, ძალიან კარგად ვიყავით ერთმანეთში, ყველაფერი, მაგრამ მაინც მოხდა ომი. მანამდე დაიწყო ეს უბედურებები, მკვლელობები დაიწყო ოსებისა და ქართველებისაი, იქით ხეობაშიც და აქით ხეობაშიც. ორი ხეობა იყო: დიდი ლიახვის ხეობა და პატარა ლიახვის ხეობა. აქ უკვე ნელ-ნელა, ნელ-ნელა მოემზადნენ ჩვენებიც, ისინიც. გამსახურდიამ ხო გამოაცხადა, რომ ოსები უნდა გავრეკოთ და გადავაცილოთ „ტუნელსაო“[15], არა? ამათ უკვე ჩაიდეს გულში ეს უბედურება, რო ქართველებმა ჩვენ უნდა გაგვასახლონო აქედან. მერე უკვე ღამის მორიგეობები შემოვიდა, მერე ეს მკვლეობებიც დაიწყო. ვირო (ვიროს ეძახდნენ) მოკლეს – იქით ხეობის წარჩინებული ადამიანი, ძაან ძლიერი ვაჟკაცი იყო. ისიც საქართველოს იცავდა. ერთმანეთს რო გადაეკიდნენ ოსები და ქართველები, მერე ხდებოდა ეგეთი რაღაცები. უკვე 2004 წელში იყო ეს ამბები. 2004 წელში ნელა-ნელა დაიწყო არეულობა. უკვე დაკავებული ქონდათ ოსური სოფლები იმათ სამხედროებსა, ოსებსა. ხოდა მე მაინც იქით დავდიოდი, საითაც მოკლე გზა იყო. მითხრეს გოგოებმა, ჩემმა თანამშრომელმა ოსებმა რო „ლალიო, ჩვენ ვერ გიშველითო, სნაიპერები სხედანო ხეებზეო და რო ჩამოივლიო, რო გესროლონო და მოგკლანო, არ გვემეტებიო სასიკვდილოთაო და აღარ წამოხვიდე მაგ გზითაო.“ ტირძნისის რაიონში არის სოფელი მერეთი და მერე მანდეთ დავიწყეთ სიარული. მეც იქიდან შევდიოდი. იქ ჩვენი კედლები უკვე აღარ იყო, დაანგრიეს ის საავადმყოფოი. მერე, თანიაშვილი მუშაობდა უფროსად გორის ჯანდაცვაში და იმანა ვაგონები მომცა. უფროსი ექთანი ვიყავი და ძაან აქტიური ქალიც ვიყავი. წამალი იყო, თუ რაც იყო, ყველაფერი მიმქონდა მოსახლეობაში. ვაგონები დამიდგა, ერთი სამი ვაგონი და ისიცა გვქონდა, რო ავადმყოფი, ან დაჭრილი გადაგვერჩინა, ან ხალხისთვის კიდეც გვემკურნალა – მხოლოდ, ქართველები [იყვნენ], ვინც დარჩნენ. ოსები ჩვენ გაგვეთიშა უკვე, აღარავინ მოდიოდა იქა.

მერე გვესმოდა, რო ჯავაში იყო რუსის ჯარი შემოსული, პატარა რაღაცა მოხდებოდა და დაიწყებოდა ომი. რა თქმა უნდა, ახლა, შვილებს ყველა უფრთხილდება და მორიგეობები შემოიღეს, იარაღი დაურიგეს ხალხსა, სოფლებს ვიცავდით რომ არ დაგვსხმოდნენ თავზე ოსები. კაცები რო დაიღლებოდნენ, ჩვენც ვიდექით ხანდახან,

15 იგულისხმება როკის გვირაბი

ქალებიც, კოცონს ვანთებდით და ქმარ-შვილს ვანაცვლებდით მორიგეობაზე. აბა, რა გვექნა? რო შემოვიდოდნენ ისინი, მერე ჩვენ გავაღვიძებდით ჩვენ კაცებს – ქალები ხო არ დავხვდებოდით?! მაგრამ იარაღით უკვე მომზადებულები ვიყავით, რო ოჯახები დაგვეცვა ქალებსაც.

შიშს რო იგრძნობ, ძალა გემატება. მერე ის შიში ძალას გიმატებს, რო შენ თავი უნდა დაიცვა. არ უნდა დავარდე რა, ერთი სიტყვითა.

აგვისტოს ომი

მერე მოხდა ისე, რომ დაიწყო ეს 2008 წლის ომი. ესე იგი, პირველ დღეს რო დაიწყო, არ გვეგონა რო მართლა ომი დაიწყო. მეორე დღეს და მესამე დღეს უკვე ჩამოყარეს ბომბები. აბა, ბომბები რო ჩამოყარეს, აიზილ-დაიზილა... სამხედროები იყვნენ ქვეყნისა, საქართველოდან შემოსულები. წვერიახოს ვეძახით, იქ იყო ჩვენი ჯარი. იქვე, დიდი ლიახვის ხეობაშიც იყვნენ გაფენილები. მაგრამ, როცა უკვე ბომბები ჩამოცვინდა, ჯარიც წამოვიდა და მოსახლეობაც გამოვიდა სულა.

საღამო არის და არავინ ჩემ ოჯახში არ არის. გოგო ცალკე უბანში ცხოვრობდა, გათხოვილი, ოჯახი ჰქონდა. ჩემი შვილი, ბიჭი, ჩემთან ცხოვრობდა. ბავშვები ყავდა პატარები. „დედა, ამათაო წავიყვან, ტირძნისში ჩავიყვანო (ჩემი ძმა ცხოვრობს სოფელ ტირძნისში), ჰოდა, ამოვალო“. მაგრამ როცა დაიმძაფრა, უკვე თბილისში წაიყვანა ცოლ-შვილი, იმიტომ, რო ახლო იყო ტირძნისი და არ მოხდესო იქაც რამეო, არ მოხდესო.

მე დავრჩი სახლში, ზუსტად 8-ში. მეუღლე არა მყავდა უკვე, 2000 წელში დამეღუპა. და ეს საქონელი, ღორი, ქათამი, ეს მოსავალი – ყველაფერი სახლში მაქვს მე და ეხლა ვფიქრობ, რო არ დავანებებ თავსა, მაგრამ რო ჩამოვარდა ბომბი, დაჰკრა ფანჯრებსა და სულ მთლად ჩამოცვინდა სახლისაი, „პადვალში“ დავიმალე ცოტა ხანი. მერე ვიფიქრე რო, აბა გავალ სამეზობლოში, რა ხდება-მეთქი და რო გავედი, კაციშვილმა ხმა არ გამცა. აქით უბანში მაზლი ცხოვრობდა და იქ გადმოვედი. შევედი ამ დალაგებულში: სახლი, კარი, ავეჯი – ყველაფერია და არავინ არის სახლში. მერე გზაზე ჩამოვედი – ტელეფონი, ქოშები, ჩითის კაბაი... აბა, 8 აგვისტოს ცხელოდა. რო ჩამოვედი, ეს ჯარი უკვე გარბის. მიდის ჯარი და ვხედავ, „ვილისზე“ ზის ბიჭი, სოფელ არგვიციდან – „ლალი ბაბო, რათა დგეხარ აქაო, სოფელი დაიცალა, წავიდაო და შენ რაღასა აკეთებ აქაო? წამოდიო, დიცამდე ჩაგიყვანო და მერეო, კი ბატონოო, საითაც გინდა, იქით

წადიო“. ისედაც, მერე შვილმა დამირეკა „დედა რას შვრებიო“ და რა ვიცი შვილო, აი, გზაზე ვდგევარ და რა გავაკეთო, არ ვიცი-მეთქი. „გამოდი და წამოდი, აღარ გაჩერდეო, სახლს აღარ იმასაქნაო, ომი დაიწყოო.“ მე უბრალოდ გამოვედი, რას ვიზავდი ეხა?! შვილისა არ გამიგია – გოგოი წავა თუ არ წავა – ვეღარ მივბრუნდი მე. გამოვედი და წამოვედი. წავყე ამ ბიჭსა. დიცში მყავდა ნათესავები, ჩამოვედი იმ დიცშია. ჩვენი გზა უკვე მანდ გადაიჭრა ცხინვალიდან. რო ვეღარ მივდიოდით სოფელში, დიცზე გაიჭრა ტრასაი და იქიდან შევდიოდით და გავდიოდით. ნათესავთან რო ჩავედი, ცოტა ხანი, სანამ ლაპარაკს დავამთავრებდი, რო ომი დაიწყო ესე და ესე, დეიდაშვილს ვეუბნები: შვილო მეთქი, იქა კარგი ბურვაკები მყავს და მენანება-მეთქი; ადი ხვალა შენა და ჩამოიყვანე აქა და გინდა შენ დაგრჩეს, ჩვენ რომც მოვბრუნდეთ-მეთქი. და, აი, იმ ნახევარ-ერთ საათში ხო ვლაპარაკობ ნათესავთან და იქაცა თქვეს, რო ამაღამ დიცს უნდა დეესხნენ თავსაო. აბა, ატყდა ალიაქოთი. ამათაც დაიჭირეს ღამე დიდი მანქანაი და წამოვედით სადღაც კარალეთში[16] ის დიცის სამეზობლოი (მარტო მე ვარ უცხოი) და ჩამოვედით იქა. ერთ კარგ ოჯახში მიგვიყვანა – დაგვაპურეს, დაგვაძინეს იმ ღამესა. მაგრამ ისე დაიძინოს თქვენმა მტერმა – გაჰქონდა ცხინვალს ზანზარი, გაწითლებული იყო ცა. ეს ჩვენი ჯარი შევიდა, ესენი აქეთ „ბეტეერებით“ დარბიან, და დაიწყო უბედურებაი.

9 აგვისტო უკვე გათენდა. ჰოდა, აი ამ ცხრისა და რვის ღამეს არის დიდი უბედურებაი. ეხლა, არც ფული მაქვს, არც არაფერი... აბა, ეგრე გამოვედი, წამოვედი რო არც ფული მაქვს, არც არაფერი. ერთი ნათესავი ცხოვრობდა იქვე კუნჭულში, იმ სოფლისაი; მივედი და ვუთხარი: შენი ჭირიმე, თბილისში მივდივარ და ერთი 5 ლარი მომეცი-მეთქი. „უიო, ლალი დეიდა, როგორ გეკადრებაო“ და 10-ლარიანი გამომიტანა. ეგრე ჩამოვედი თბილისში. იქ დამთავრდა ჩემი სახლი, კარი, შვილი, მიბრუნება-მობრუნება... არაფერი! მე იქით აღარ მიმიხედნია...

მთელი საქართველოს ვაჟკაცები იყვნენ გორის მერიასთან შეკრებილები. სამხედროები და გამზადებულები, რო უნდა შევიდნენ ეს ვაჟკაცები ცხინვალში. თბილისისკენ აღარაფერი აღარ გამოდის, მაგრამ მაინც ვიღაცამ რაღაცა გააჩერა და იმ ხუთ ლარში წამომიყვანა. მერე შვილი დამხვდა თბილისში და მიმიყვანა, სადაც თვითონ იყო. მივედით და იმის მერე არ გამიხედია იმ ოჯახისკენ. სულ ყველაფერი დავტოვე – სახლი, კარი, საქონელი დამწყვრეული[17], ღორი

16 სოფელი ცხინვალი-გორის გზაზე

17 დამწყვდეული

დამწყვრეული, ქათმები ეგრე გაუბედურებული. მოსავალი მოვიდა, მოსავალი მოვიდა რომა, ეგრე სცოდნია თურმე ომსა. კარტოფილი, ლობიო, პამიდორი – დაბრაწული, მოსაკრეფი უკვე, სუ დაბრაწული ახალი ლობიო, აი, სულ ყველაფერი! ძველი ხალხიდან ეგრე სცოდნია და ეგრეცა ყოფილა, თითქოს სისხლსა სთხოულობს მიწა და, ესე იგი, უნდა ბევრი ხალხი დაიხოცოს. ესე რო გაგიჟდა ეს მოსავალი, ალბათ იქაო, ესე იტყოდნენ ხოლმე მოხუცები, რო ნაომარი ადგილები იყო და იმ სისხლმა გაიღვიძა და ძალა მისცა მოსავალსაო. და მართლა რა, არ დაიხოცა ცხინვალში? ბევრი ხალხი დაიხოცა, ძალიან ბევრი, ძალიანა...

ქალიშვილიც მერე გამოსულა თავისი მეუღლით, თავისი ოჯახით, რა თქმა უნდა. მაგრამ მე იქ წავშალე ყველაფერი. ცხოვრება, ქონებაზე აღარაა – გადავიტანე ომიდან ეს უბედურება, რადგან ჩემი შვილები და შვილიშვილები [უვნებლად] გამოვიდნენ.

დროებითი საცხოვრებელი

თბილისში რომ ჩავედი, ჯერ ნათესავთან მივედით. ორი კვირა შეგვინახა. ორ კვირაში მე მარჯანიშვილზე ვიშოვე საბავშვო ბაღში ოთახი, შვილები – დიღომში იყო რაღაცა ლაბორატორიული შენობა[18] და იქ შეასახლეს. მე მეტი წილი ახლა მაინც შვილებთან და შვილიშვილებთან ვიყავი, მარა მარჯანიშვილზე მქონდა ჩემი ოთახიც და ყველაფერი – განაწილება თუ რამე იყო, ყველაფერი მოჰქონდათ იქა.

ნუ, ძალიან ავ დღეში ვიყავით. ნათესავთან არა გვიშავდა რა, მაგრამ მარჯანიშვილზე რო გადავედით, არც აბანო გვქონდა, არც ეს, არც ის, არც ქვაბი, არც ტაშტი, არც ლოგინი – არაფერი! ამ ნათესავებმა ძალიან შემიწყეს ხელი, ვენაცვალე იმათა! იმიტომ, რომ სოფელში რო მოდიოდნენ (საშუალო ოჯახი ვიყავით, არ გვიჭირდა ჩვენ არაფერი), თხებს ვუკლავდით, ცხვრებს ვუკლავდით, მიგვყავდა მთაში. ეს ქალაქელები ხო იცი, როგორ უყვართ სოფლის ნობათები, რაღაცები და ახალი წელიც მაგათი იყო. იმათმაც მერე მე გადამიხადეს, ძალიან – ბავშვისთვის ხალიჩები მომცეს, არ გაგიცივდესო, ქვაბებიც მომცეს, ჭურჭელიც მომცეს, კიდევ რაღაცები და მერე აი მაშინ გამეხსნა სურვილი, რო მე იმ ქვაბებში შემეძლო უკვე საჭმლის გაკეთებაი. ლოგინიც არა გვქონდა. ლოგინიც მომცეს. ძალიან სუფთა ვიყავი და მერე ის ხალისიც მომეცა, რო ის ლოგინები და რამე სულ დავშალე იქა. წყალი მოდიოდა, ხელით დავრეცხე ის „ჩიხოლები“. სუ, სუ ახლებში ჩავაწვინე ჩემი თოთო ბავშვები, სულ ახლებში. იქვე კაი ქალები იყვნენ – ერთად მოვხვდით ჩვენი სოფლის ერთი ათი ოჯახი –

18 მიონის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შენობა

ღამე ვისხედით, ვწეწავდით, ვკერავდით და ვაფარებდით შვილებსა. მერე მთავრობაც დაგვეხმარა – ცოდო არ მინდა. საჭმელ-სასმელი უკვე მთავრობამაც მოგვცა. მერე მოვიდნენ არასამთავრობოდანაც. მე ცხინვალშიც ვიყავი მაგ საქმეში ჩართული.

საერთოდ, თბილისი მიყვარს ძალიან. შეგნებული ხალხია. აი, იქ, მარჯანიშვილზე მოდიოდნენ მდიდარი ხალხი და ვახშამს გვაჭმევდნენ. დიდი „სტოლები“[19] გააკეთეს ბაღის ეზოში, იქ მოჰქონდათ გაკეთებული საჭმელი და გვაჭმევდნენ საღამოთი ერთი ჯერისას. დიდი რამე იყო ჩვენთვის. ღმერთმა გაახაროთ! კაი ხალხი გვიცოცხლოს საქართველოში ღმერთმა, კაი ხალხი!

ერთხელ მარშუტკაში ვიჯექით მე და ჩემი რძალი (ძმის ცოლი) და ვლაპარაკობდით, ვტიროდით, გვენანებოდა ჩვენი ამოდენა ნაწვალ-ნაზარდი. ერთმა ქალბატონმა ამოიღო და 50-50 ლარი გვაჩუქა: „თქვენაო ცხინვალის დევნილები ყოფილხართო და პატარა რაღაცით დაგეხმაროთო“. არ ვიღებდით ჩვენა. არა, არ გვინდაო და „როგორ გეკადრებათო, რას ამბობთ, ეს სასირცხვილო არ არიო“. მე ტირილი მომინდა. მე რაც ცოცხალი ვარ, აგერა, 79-ე წელში ვარ და ხელი არ გამიშვერია – მშრომელი ადამიანი ვიყა, ჩემ თავს მე თვითონ ვარჩენდი, ოჯახს ვარჩენდი, ყველაფერს ვაკეთებდი. თუ მე არ ვაჩუქებდი, სხვისი მე საჩუქებელი არაფერი არა მჭირდა. იმიტომ, რო ძლიერი ოჯახი მქონდა, ძლიერი როგორ – ვშრომობდით სულა და გვქონდა. ჰოდა ვიუკადრისე რა, ესე რატო გამიხდა საქმეი მე მეთქი. ვიუკადრისე... არა, მე მისი, რა თქმა უნდა, დიდი მადლობელი გავხდი, რა თქმა უნდა, მაგრამ მე არ უნდა გამხდომოდა, მე კი არა მარტო, ხალხს არ უნდა გაგვხდომოდა ესე საქმეი.

სადაც ვცხოვრობდით, იქა, აბანო გვენატრებოდა ძალიანა. მერე ამ ჩემმა ბიჭმა (ინჟინერია) მოიტანა რაღაც – იმეებს რო ეძახიან, რო დააყენებ და რო გაცხელდება ჰო, „ატმორი“[20] მოიტანა. წყალი გაიყვანა, ეს „ატმორი“ დააყენა და მთელი ჩვენი სამეზობლო, ყველანი იქ ბანაობდნენ.

ძალიან შეღავათი იყო ის , რომ ერთად ვიყავით სამეზობლოი. რა თქმა უნდა, ხალხს დიდი მნიშვნელობა აქვს – ერთმანეთის წახედულობით, რომ ის ითმენს, იმანაც მოითმინა, იმან დაკარგა, იმან ესა ქნა და ესე დიდი ძალა მოგვეცა, მაინც. ადამიანებში ესაა მთავარი, რო ვიღაცა გაგიქარწყლებს, ვიღაცას გაუქარწყლებ და გადაიტან.

19 მაგიდები (რუს.)

20 წყლის ელექტროგამაცხელებელი

შესახლება წეროვანში

აგვისტოში ხო გამოვედი, ესე იგი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი და იანვრის ოთხში შემოგვიყვანეს ამ სახლში. სხვათა შორის, ძალიან დააშურეს, რო ჩვენთვის ეს ბინები მოეცათ და იმის უფლებაც მოგვცა ჩვენმა მთავრობამა, რომ შერჩევაში შევსულიყავით – ვის სად გვინდოდა. მე თბილისში ხშირად ვმოძრაობდი და რო მოვდიოდი ამ მხარესა, ეს ადგილი მომწონდა ძალიანა, იმიტომ, რო მე თოვლი არ მიყვარს და აქ თოვლი არ იცის. სოფელიც არ მიყვარს, რო სიმართლე ვთქვა, არადა, სულ სოფელში არ ვცხოვრობდი? ხოდა, რო გადმოვიხედებოდი ხოლმე მარშუტკიდან სოფლიდან მგზავრობისას – დავტოვე დიდი თოვლი ხო? აქ კი მშვენიერი მშრალი ადგილია! რამდენჯერ ვინატრე, ნეტა აქა ვცხოვრობდე მეთქი. ამისრულა ღმერთმა ეს ნატვრაი.

აქ რო დაიწყო მშენებლობაი სახლებისა, მერე ჩვენა წავედით სუყველგან სანახავად. მანქანა გვყავდა. ვნახეით ადგილები, უკვე აშენებული იყო, გამზადებული იყო ყველაფერი. და აი, ეს ფანჯარა და ის ფანჯარა რო ერთმანეთს უყურებდა, ძალიან მომეწონა. თან, ახალი ნათელი ბინა იყო. ხვიჩას, ჩემს შვილს ვუთხარი – ამის გარდა, მე არსად არ წავალ-მეთქი.

ახლა აქ ფიზიკურად კი მარტო ვცხოვრობ, მაგრამ შვილები, შვილიშვილები აქვე ცხოვრობენ ყველანი. მე ეგეთი ადამიანი ვარ – თავისუფლად უნდა ვიცხოვრო, არც რძალი მინდა, არც სიძე მინდა, არც არავინ. [იმათთან] შევალ, გავერთობი, შევჭამ, დავლევ, დავისვენებ და მოვალ ჩემს სახლში. მინდა დავისვენებ, მინდა ვითამაშებ, რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. არ მინდა რა არავისთან ერთად ცხოვრება, არ მინდა! კარგად არა ვცხოვრობ, მაგრამ ჩემთვის მინდა ყოფნა.

ბევრი ვიწვალე მე, აქაც ბევრი ვიწვალე, ნერვიული სისტემა დაზიანებული მაქვს, ძალიან ბევრი გადავიტანე ცხოვრებაში, ეხლა, ყველაფერს ხო არ მოვყვებით, არა? მეუღლე მოქეიფე მყავდა, ხალხი უყვარდა და შემოჰყავდა სულა. აულაგე, გაურეცხე, გაუშალე... ჰოდა შრომა დიდი მქონდა.

კარებდაკეტილში ვერა ვძლებ. სახლიდან რო მივდივარ, ხო ვკეტავ კარებს, არა? აი, ჩემმა ტვინმა ჩაიდო, რო უკან დაბრუნებისას რო გავაღებ, „ეს ჩემი სახლი არ არი!“ – ესე მპასუხობს გონება, აი ეგრე მკარნახობს ტვინი... ეს შენი სახლი არ არის! იმიტომ, რო ის სახლი, ის გარემო, ის ყველაფერი სხვა იყო ჩემთვის.

რადგან არა, არ არსებობს დავიწყება, არ არსებობს, არ არსებობს! ძალიან რთულია ყველაფერი.

ეჰ, ძაან მწარე იყო, ძალიან!

მწარე იყო ძალიან, ძალიან...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, აი, მანანა მებუკემ (არასამთავრობოში მუშაობდა) ბაქოში წაგვიყვანა – ერთი თვის გამოსულები ვიყავით ჯერაც. ჰოდა, კაი სუფრა გააკეთეს, რამე, აქეთ-იქითა... გადმოვიდნენ ისინი და ცეკვავენ, ჰქონდათ ერთი ამბავი. ხოდა, გადავედი მეცა. „დავაი"-მეთქი – ნაზოა, კარგი ქალი და იმას ვუთხარი – ამათ ჩვენ როგორ უნდა გვაჯობონ?! სახლიცა გვაქვს, კარიცა გვაქვს-მეთქი და კარგად ვიცეკვეთ, კაი დრო გავატარეთ. ეხლაც კი იცინიან ხოლმე: „ლალი, გახსოვს, როგორ იცეკვე იქაო?" ვიცეკვე, მა! მხოლოდ, მთავარი ეგ არის, შვილები და შვილიშვილები რო გადამირჩა, რძალი და ოჯახები რო გადამირჩა, პირველი ეგაა!

აქაც მერე მთავრობამაც შეგვიწყო ხელი. ეხლა, სააკაშვილი იყო, ევროკავშირი იყო, პეტრე იყო თუ პავლე იყო, ვინც გააკეთა, ღმერთმა გაუმარჯოს, დიდი მადლობლები ვართ. დასავლეთის ხალხი[21] დღესაც ქირით არიან ისევა და ჩვენა სადა გვქონდა იმის საშუალება რო ქირით გავსულიყავით? [წეროვანში] რო მოვედით, საწოლები ლოგინები, „შკაფები"[22], მაგიდა, ცული, თოხი, ბარი, ჭურჭელი, ფქვილი, მაკარონი, ვერმიშელი – ყველაფერი დაგვხვდა. ესე იგი, ოთხი წელიწადი [ფული] არა გვქონდა ისე, რომ ხილიც გვეყიდა. შემოდიოდნენ კახეთიდან, შემოჰქონდათ ხილი, რამეი და ვუცვლიდით ვერმიშელში, პროდუქტებში, იმაში, ამაში და ხილსა ვყიდულობდით და ვჭამდით. იმიტო, რო აქ სხვა აბსოლუტურად არაფერი იყო; მარტო აკოკოლავებული გორები იყო – გზებს რო აკეთებდნენ. კიდე, სიცივეც იყო ძალიანა. მერე ისინიც დაგვირიგეს, ბატარიები, ჩართეთო და თბილად იყავითო.

მერე მე გამოვიჩინე ენერგია. ნათესავებთან წავიდოდი, დავიჭერდი ტაქსსა, გამომივსებდნენ ისინი: ბოთლი, „ბანკა"[23], რა ვიცი აი, ეს „ლუსტრაც"[24] იმათი ნაჩუქარი არის; კარგია თუ ცუდია, მე ხო ვიყენებ, არა? ჰოდა, რავი, ზოგი სკამს მაძლევდა, ზოგი ლოგინს მაძლევდა, კიდე ქვაბსა, რაღაცას, რაღაცას და ამასობაში [მოგროვდა]. მერე კიდე, აქ რო მოვედით, მეორად ჭურჭელს ვყიდულობდი, ბანკებსა – ტომატი გვინდოდა, კამპოტი გვინდოდა, რამეი... რო მოვიტანდი, ჯერ ხო დავხეხავდი იმ ბანკებსა, მერე სტერილიზაციებს ვუკეთებდი სულა – რა ვიცი, ვისი ნახმარია-მეთქი. მერე ჩავყრიდი და ისე გავაკეთებდი ხილსა – ამანაც გადაგვარჩინა. სოფელშიც აქტიური ვიყავი მე, მაგრამ აქაც, რა თქმა უნდა, სხვა ძალა არა მქონდა.

---

21 იგულისხმება აფხაზეთიდან დევნილები

22 კარადები (რუს.)

23 ქილა (რუს.)

24 ჭაღი (რუს.)

მერე აქ რო მოვედით, გვითხრეს, რო აი, ეს სამ-სამი მეასედი მიწა აქ თითო კოტეჯსა. ცოტა იყო ესა და იქითკენა სხვა მიწებიც იყო. ნავთობბაზის მიწა იყო და იმათგან მეთვალყურე დადიოდა ხოლმე. დილითა გაივლის-გამოივლის, ათვალიერებს აქა. ხოდა იმას ვუთხარი, აქა მიწაი რო მოვხნა, რა იქნება-მეთქი და „არ ვიციო, ბაბოო, აბა შევეკითხო უფროსსაო". მერე მომიტანა ამბავი: „ბაბო, ეგრე მითხრაო, დართეო ხალხსაო ნებაი, რო მოხნანო, მარა დარგვით არაფერი არ დარგონ ხეხილი, რო „ტრუბაზე"[25] რო გაგვიფუჭდეს რამეი და ამოვთხაროთო, მერე ეგ ხალხი ცოდონია, ის ნარგავები გაუფუჭდეთო. ხოდა, ნებართვის მერე, ოცი მეასედი ჩემთვის მოვიხანი, ოცი მეასედი გოგოს მოვუხანი და დღესაც ეგ ბაღი გვარჩენს. კარტოფილი სახლში მომყავს, ხახვი სახლში მომყავს, პამიდორი სახლში მომყავს და ყველაფერი. აი ასე ვიწვალე სულ. ვიცოდი, რომ მიწა გადაგვარჩენდა. ეს ორი წელი ვეღარა ვძლებ, [მაგრამ] ეხლა შვილებიც დაინტერესდნენ. მე მაინც ჩავყარე ხილიცა, რავი, რაღაცები და ამათაც ენანებათ ეხა – მაინც სულ სხვა გემო აქვს ყველაფერს შენ მოყვანილს. ის ნაყიდი ისეთი არ არის, ვერ... იქ, სოფელში, როგორც ვიყავი დაჩვეული, ისე ავუწყე ამათა ყველაფერი. ვაზიც გავაშენეთ. სათავსოდ ჩემმა ძმამ მაჩუქა მანქანის „კუზაო"[26] და ღორი ვზარდე შიგა, მე ვუვლიდი სულ. ეს ერთი წელიწადია, ვეღარ შვძელი, თორემ მუდამ წელიწადს ღორსა ვკლავდით ახალწელზე. მერე ოთახიც გავაკეთეთ და გვაქვს „პადვლათა". ღვინოა, ხილია თუ კამპოტია, თუ რაც არის, სულ ყველაფერი მანდა გვაქვს შენახული და ასე გავუძელით.

გამკლავება

ადამიანმა თუ თავის თავი თვითონ არ აიყვანა ხელში, ავ დღეში ჩავარდება. ათასი ფიქრია, ათასი ნერვიულობაა. სახლი არა გაქ, კარი არა გაქ, ფული არა გაქ, საჭმელი... ეს ტიტველა, თოთო ბავშვები გყავს ხელზე. რა უნდა ქნა? საშინელებაა, საშინელება! მაგ დროს სულ შენ თავს ელაპარაკები – აი, რა მეშველება? როგორ მოვიქცე? ეგ არის, რომ შენი სიძლიერე უნდა გამოავლინო, არ უნდა დაეცე, თორე ოჯახი სულ მთლად დაეცემა. ამ დროს რო შენ კიდე დაეცე, ჩათვალე, რო შენი ოჯახი მორჩა! თავიდან კი მინდოდა თბილისში ცხოვრება, მარა აღარ – რა მინდოდა იმ კორპუსებში? იმიტო, რო ბუნებასთან კავშირიც ძალიან დამხმარეა ჩემთვის, ძალიან. მე რო ავდგები, აი, რო გავივლი ბაღში, ვაზსაც ვეფერები, ჩემ დარგულ ხესაც ვეფერები, ჩიტებსაც ვეფერები. აი, გარემო ძაან მიყვარს და ღმერთს ვეხვეწები, რო ეს შენი ლამაზი გარემო მომეცი ღმერთო, რო ვუყურო და გავძ-

25 მილი (რუს.)

26 ძარა (რუს.)

ღე ამ ქვეყნის ცქერით. ჯანმრთელად იყვნენ ხალხი, კარგად იყვნენ ახალგაზრდები, საქართველო დაიფარე – ჩემი ლოცვა ეგ არის, ერთიანად ვლოცულობ ყველაზე.

მე, მაგალითად, რო ვყოფილიყავი ისეთი მშობელი, რო შვილისთვის მეთქვა: „არა, ჩემ არემარეს იმათ არ დავუთმობ! წადი, დაიჭირე მანქანა, დაალაგე ის, რაცა გვაქვს, ჩამოიტანე სახლიდან“... ესენი მე ყველაფერი დავთმე, ვფიქრობდი, რო გავგზავნო შვილი, იქ რუსები დახვდნენ და მომიკლან, იმისი ფასი რა არი-მეთქი? ყველაფერი უნდა გადააფასო. აბა, რა არის ისა, მე თუკი შვილზე გავმწარდებოდი, სიცოცხლე რაღას მენდომებოდა? რა შავ ჭირად მინდოდა ის ქონება და ცხოვრებაი, რათ მინდოდა? ამიტომ, განა ადვილია?! ბევრი იყო, რო შებრუნდენ, დახოცეს... ერთი ქალი იყო, ნათელა ოზგებიშვილი, არ გამოვიდა და ჩაკლეს შიგა, ჩაკლეს... ჩემ სოფელში ცხოვრობდა, მაგარი მშრომელი ქალი იყო. მართლა მაგარი ოჯახი ჰქონდა და დაენანა, რო ამათ ჩემ არემარეს არ მივცემო. არ დატოვა თავისი სახლ-კარი. მაგარი ქალი იყო, იმას ვენაცვალე, იმის სულსა, რა ვაჟკაცური ქალი იყო! შვილები ისედაც წამოსულები იყვნენ, ცოლი და ქმარი ცხოვრობდნენ თვითონა. ჰოდა, ქმარიც წამოვიდა, საწყალი. ამან გარისკა, არ წამოვიდა, აქ უნდა ვიყოო. რო შევიდნენ, უკვე ზიდავდნენ ამ ქალის ნაწვალ-ნადაგსა და ეს შეეპასუხა. მერე ხო დაიარეს და სულ გაძარცვეს ეს სახლები და თან იგინებოდნენ თურმე – ესენი რა მაცხოვრებლები ყოფილან, ხედავ ამათაო?! მართალიც იყო, კარგად ვცხოვრობდით.

სავსე ოჯახები წავიდა, გაიხიზნა. იმათ კი დაანგრიეს, დალეწეს და გააუბედურეს იქაურობა. ახლა ხალხი იმიტომაა გამწარებული, ხელისუფლება[27] რომ ამბობს, რუსეთს ბოდიში მოვუხადოთო. პოლიტიკურად ეს სიტყვა ძალიან მწარეა ჩვენთვის. ასე არ შეიძლება! არც ომი შეიძლება, მაგრამ არც ბოდიში შეიძლება. ვისაც იქ შვილები დაეხოცა, როგორია იმისთვის? ბოდიშის მოხდას მე სიკვდილი მირჩევნია, მაგალითად. მე ვაჟკაცური ბუნების ვარ, არც ციხისა მეშინია, არც არაფრის. სახლი დამათმობინა, კარი დამათმობინა, რამდენი უბედურება გამომატარა და მე კიდევ ბოდიში უნდა მოვიხადო? იცი, რამდენი ესე მომაწვება ხოლმე სიბრაზე, მინდება, გავიდე და ვთქვა. მე არც მიკროფონში მიჭირს ლაპარაკი და არც საზოგადოებაში. გამსახურდიას დროიდან სულ ქუჩაში ვიყავით, მიტინგებზე დავდიოდით და გმირულად ვიდექით ჩვენი სოფლის ხალხი საქართველოსთვის!

27 იგულისხმება ბოდიშის მოხდის მოწოდება 2024 წლის 14 სექტემბერს ქართული ოცნების დამფუძნებლის, ბ. ივანიშვილის გორში სიტყვით გამოსვლისას, რომ „აუცილებლად გამოძებნიან საკუთარ თავში ძალას, რათა ბოდიში მოიხადონ იმის გამო, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ 2008 წელს ცეცხლის ალში გახვია ოსი დები და ძმები“

ზოგზოგიერთებისთვის კი არა – საქართველოსთვის, რომ წარმატებები მიგვეღო. და რა მივიღეთ? უარესობა!



ჯერ მარტო, ოთხი ძვირფასი ხალიჩა დავტოვე, ცამეტი ხელი ლოგინი, ჭურჭელი... ისეთი სერვიზები მქონდა მინსკიდან ჩამოტანილი... დავდიოდი, ვვაჭრობდი 10 წელიწადი. შვილი რომ სწავლობდა იქ, ასე ვარჩენდი. ჯარისკაცის მამასავით, რუსული არ ვიცოდი. „დავაი, ვოტ ეტი[28]“ ვეტყოდი გამყიდველს და ისიც მაძლევდა, რაზეც ხელს დავადებდი. ფულს ვაკოწიწებდი, ზოგჯერ ვსესხულობდი. რასაც ბიჭს ჩამოვუტანდი, იმასვე გოგოსაც – არ ვასხვავებდი, იმიტომ, რომ ეგ ორი შვილი მყავს. როგორც გოგოს გავატანე ოცი ხელი ლოგინი თავისი დაქარგული „პროსტინებით“[29], ისე ბიჭსა. ერთი დიდი, სავსე ჩემოდანი დავტოვე იმ სახლში. ამას ყოველთვის ვიხსენებ ხოლმე ჟურნალისტებთან საუბრისას. „გენანებაო?“ – მეკითხებიან ხოლმე. განსაკუთრებულად მენანება, იმიტომ, რომ განსაკუთრებული თეთრეული იყო, ყველაფერი დაქარგული და თან, თეთრები. ახლაც სულ თეთრები მიყვარს – გამოხარშული, დაუთოებული... მენანება ის ჩემი ნაწვალებ-ნადაგი. ის ხალისიც აღარა მაქვს, ადრე რომ ლამფის შუშით დავილოცებოდი; თამადობისას უნდა გენახეთ!

28 ესენი მომეცი

29 ზეწარი

აი, ასე ვიწვალე, ჩემით შევქმენი ყველაფერი და ხომ ცოდო ვარ, არა? ვერ გავიხარე, ვერა, იმ ჩემი სერვიზებით, მაგრამ მაინც არ უნდა მივტიროდე იმას. არაფერი გამომიტანია – მხოლოდ ტელეფონი და ჩითის კაბა (რაც ზედ მეცვა)... სხვა იქ დარჩა ყველაფერი. არც მივტირი. ჩემი შვილების დანახვა მილიარდი მიღირს, ღმერთს მადლობა ესენი რო შემინარჩუნა. არც ის ძონძები მინდა, ჭურჭელიც შევიძინე, ქვაბიც შევიძინე, ტაშტიც შევიძინე. რძალსაც ყველაფერი ვუყიდე თანდათან – ელექტრო წვენსაწური, მიქსერი, ბევრი სხვა ტექნიკა. ჩემს გოგოსაც დაბადების დღეზე მივუტან ხოლმე, ვეუბნები „ჩემეულად გაცვითე!"

გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო. ამ დროს ტვინი იხსნება, ყველაფერს ეგუება ადამიანი – ციხესაც, ქორწილსაც, ჭირსაც, ლხინსაც და ყველაფერს. მე ისეთი მეუღლე გარდამეცვალა, ის თუ მოკვდებოდა და მე ცოცხალი დავრჩებოდი, არ მეგონა, მაგრამ მშვენივრად ვგრძნობ უკვე თავს. ნუ, მშვენივრად არა – იმას მე ვერ დავივიწყებ, მაგრამ, სულ რომ იმაზე ვიფიქრო და ჩემი შვილები უყურადღებოდ დამრჩნენ, დავჯდე და არიქა გურამი მამიკვდა და ეგრე უნდა ვიჯდე-მეთქი, ეგრე სად არის?! უნდა გადაერთო, აუცილებელია.

ცხოვრება გრძელდება! უნდა გააგრძელონ ადამიანებმა ცხოვრება აუცილებლად, თორემ თვითონ დაავადდებიან, ფსიქიკურად დაავადდებიან. ერთი და იგივე იფიქრო სულ და წარმატება არაფერი არა ჰქონდეს ტვინს, ეგრე არ შეიძლება. გადალახვა უნდა შეგეძლოს. აი, გავიფიქრებ „ცუდათა ვარ". „არა, არა ვარ ცუდათ, კარგადა ვარ!" – საწინააღმდეგოს ვეუბნები თავს. ასე რომ არ მოვიქცე, დამძლევს, ჩამითრევს ლოგინში და ვეღარ ავდგები ზეზე, ეგრეა! ეგეთი მომენტი ბევრი ყოფილა, ბევრი... მაგრამ არ ვვარდები. მე სიბერესაც ვებრძვი. ახლა თქვენგან რომ წავალ, კარგად დავიბან, თმას შევიღებავ, სამსახურში „გამოვიჩესტები" და მტერსა და მოყვარეს დავხვდები ვაჟკაცურად. ყველა მეუბნება, არა გაქ ეგ ხნოვანება, რასაც შენ ამბობ, არა ხარ 79 წლისაო. არადა, ვარ ქალო, გაიგე და დაიჯერე, როგორ არა ვარ?! ისე ენერგიული ვარ, „შაკას" მეძახის შვილიშვილი, რადგან შაკა არის ძლიერი ადამიანი, რომელსაც არაფრის ეშინია და ცხოვრებაში წინ მიდის.

მაინც უპირველესი ისაა (ღმერთო ჯვარი დაგვწერე ყველას), მე რომ რამე შემმთხვეოდა, ეს ადამიანი აღარ ვიქნებოდი, რაც ამჟამად ვარ. ძალიან მგრძნობიარე ადამიანი ვარ, ძალიან სათუთად დავზარდე ჩემი შვილები და რომელიმეს რამე რომ მოსვლოდა, ვერ გადავიტანდი. ღმერთო მადლობა, ღმერთო მადლობა, ღმერთო მადლობა ყველაფრისთვის!

მხოლოდ ის მინდა, რომ მარტო საქართველოში კი არა, მთელს მსოფლიოში იყოს მშვიდობა! თუ გვინდა, რომ ოჯახები დალაგდეს, ყველა ერები კარგად იყვნენ, ერთმანეთისგან არ უნდა გამოვარჩიოთ ოსი და ქართველი. მე იმდენი საყვარელი ადამიანი მყავს ოსებში, დღესაც მივტირი იმათ. ის ხალხი დავტოვე ცხინვალში და ახლა კავშირი აღარ მაქვს. მშვიდობა უნდა იყოს პირველ რიგში, თუკი გვინდა, რომ ადამიანებს ხალისიც მოუვიდეთ და თავიანთი ოჯახებისთვისაც ჯანმრთელად იშრომონ. მაგაზე უკეთესს ვერაფერს ვუსურვებ ხალხს – მშვიდობა!

მე კი მადლობელი ვარ ყველაფრის. ჩემი თავისაც მადლობელი ვარ. რამხელა ენერგია გავიღე და შევძელი, მე ეს შევძელი, მართლა შევძელი! აი, ის გამწარებული ადამიანი სულ ვმუშაობდი ბაღში, რომ მომეყვანა მოსავალი და მშივრები არ დამრჩენოდნენ ჩემი შვილები და შვილიშვილები. მადლობელი ვარ ნამდვილად, რომ ასეთი ძლიერი ვარ, რომ დავძლიე. მადლობის მეტი სხვა არაფერი დამიმსახურებია.

ასეა ცხოვრება, უნდა გაუმაგრდე, სხვა გზა არაა!

ლიზა ჭულუხაძე და ირაკლი ბერუაშვილი

ინტერვიუს თარიღი: 1 ნოემბერი, 2024

ცხოვრება აგვისტოს ომამდე

მე ლიზა ჭულუხაძე ვარ, დევნილი აჩაბეთიდან. სხვაგან არც მიცხოვრია, იქ დავიბადე, გავიზარდე და ვცხოვრობდი 2008 წლამდე. ბებიაჩემი ოტიაანთ ქალი იყო, მაჩაბლების შთამომავალი.

განათლება დიდი არაფერი მაქვს. პოლიტექნიკური ტექნიკუმი დავამთავრე. ახლა, თუ იცით, პოლიტექნიკური ინსტიტუტი რომაა უშანგი ჩხეიძის ქუჩაზე, ეგ დავამთავრე. მერე სავაჭრო დავამთავრე, მერე საექთნო. მზარეულობაც კი ვიცი.

ვცხოვრობდი მშობლებთან ერთად. მე დედისერთა ვიყავი. მერე ირაკლი, ჩემი მეუღლე მოვიდა ჩემთან და დავიწყეთ ერთად ცხოვრება. იქიდან მოვდევთ და აგერ 50 წელიწადია ერთადა ვცხოვრობთ უკვე.

ირაკლი გამაცნეს – მისმა დეიდამ გამაცნო. რა ვიცი, ასე მეგონა, საქართველოში ამისთანა ლამაზი ბიჭი არ დადიოდა. ჩემი ბედი რო იყო, ალბათ, ასე მეგონა, ირაკლიზე ლამაზი ბიჭი არავინ იყო, ეგეთი თვალით დავინახე. ახალგაზრდები ვიყავით: 18-19 წლისა მე, 23 წლისა ესა. ხოდა, შევუღლდით მერე. სამი შვილი გაგვიჩნდა, პირველი გოგო გვყავს, მარინე, ქარელის რაიონში ცხოვრობს. მეორე ბიჭი გვყავდა, ილია და პატარა – თამრიკო.

ასე მშვიდად ვცხოვრობდით, ვმუშაობდით. ჩავდიოდი ცხინვალში, ჩამქონდა რაღაცები გასაყიდად, თუ მქონდა ხილი, ვაშლი – რაც მომყავდა. ოს ბიჭს ჩემგან 30 ათასი მანეთის ვაშლიც კი წაუღია რუსეთში. ვაშლის ქვეყანა იყო ჩვენი მხარე. სხვადასხვა ჯიშები მქონდა, მაგრამ გასაყიდად ვცდილობდით, ერთი ჯიში გვქონოდა, იმიტომ, რომ ერთი სახეობის ჯიშები ერთად უნდა ჩააწყო კოხტად.

შევარდნაძის დრო რომ იყო, ძალიან უპატრონობა რომ იყო, მაშინ არავის რომ პატრონი არა ყავდა, ჩემი ილია ჯარში წავიდა. ისეთი ბიჭი მყავდა, თვალში რომ ვინმეს ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა. ძალიან კარგი და მოწესრიგებული ადამიანი, 20 წლის იყო და არავინ იტყოდა, ილიამ შეგვაგინა, ან გვცემა და გაგვლანძღაო. ერთი სიტყვით, მიჯერებდა, რასაც ვეტყოდი – სწორი მიმართულებით მიდიოდა. არასწორ მიმართულებას არ იღებდა ბავშვობიდან. არც სიგარეტს ეწეოდა და არც სასმელს ეტანებოდა. წავიდა ჯარში. ვიფიქრეთ, მოიხდის და ჩამოვა, ისწავლის, ააწყობს ცხოვრებას, მაგრამ ეგრე არ მოხდა. იქ რომ იყო, მაღალი დენის ძაბვის ბოძზე ავიდა (თუ ააგზავნეს, არავინ იცის), რაღაცა დანები უნდა ჩამოეხსნა,

კოკსზე ფეხი აუცურდა, ინსტინქტურად მაღლა გადაჭრილ სადენს მოკიდა ხელი, დაარტყა დენმა და დაიღუპა. მომიყვანეს ეს 20 წლის ბიჭი გარდაცვლილი. ხოდა, სანამ იმას ჩაასვენებდნენ, ეგეთი განცდა დამეუფლა, რომ მინდოდა იმ საფლავში მე ჩავმხტარიყავი და ჩემთვის დაეყრიათ მიწა. მაგრამ, მერე გონებაც დაფიქრდა – მე რო აქ ჩავხტე, აქ არავინ დამტოვებს და ჯობია ისევ შევბრუნდე და წავიდე აქედან-თქო. ხოდა, შემოვბრუნდი და წამოვედი. გვერდზე რომ ამომიდგნენ ვიღაცები და მომდევდნენ, ნეტა ვინ არიან-მეთქი, დავინტერესდი. ერთ მხარეს ერთი გოგო მედგა და მეორე მხარეს – მეორე გოგო. მე რომ მოვკვდე, მე რომ თავი მოვიკლა, მე რო რაღაცა ავუტეხო ჩემს თავს, ამათ რაღა ვუყო! ეს ბავშვები ცოდონი არიან, ამათ რა დააშავეს, ამათაც ხომ სჭირდებათ დედა? აბა, რეებს ფიქრობ, ამათ ხო უნდათ პატრონი? და ჩემმა პატარა გოგომ (რომელიც მერე დამეღუპა), იმან მითხრა: დედაო, ნეტაი მე მოვმკვდარიყავიო (ილია ჯერ დასაფლავებული არ გვყავდა), ნეტაი მე მოვმკვდარიყავიო... რათა-მეთქი ვუთხარი, რათა-მეთქი? იმიტომა, რომ გოგო და ბიჭი დაგრჩებოდაო, ახლა ორი გოგო გყავსო. მეთქი, რად მითხარი ეგა, ეგ რად მითხარი-მეთქი? შენ რომ მომკვდარიყავი, რა, არ მეტკინებოდა-თქო? რა მნიშვნელობა ექნებოდა, ილია იქნებოდა თუ შენ? ეგ აღარ გაიმეორო-მეთქი, ვუთხარი და მართლა, იმასაც თავისმა ბედისწერამ უწია, აგერა, მერე ისიც წაიყვანა. ორი ბავშვი დამიტოვა და იმ ბავშვებსა ვზრდი ახლა.

გოგოებმა გადამატანინეს ილიას სიკვდილი. მე მგონი, გოგოებზე მეტად, ყველაზე ძალიან ის მიყვარდა და ალბათ მაგიტომ დავისაჯე-მეთქი. ის მიყვარდა, ალბათ, ერთი ბიჭი რომ იყო. მე ძმა არ მყავდა და ეს ერთი ბიჭი რომ მყავდა, ალბათ, მაგიტომ მიყვარდა მასე ძაან. ილიას დაღუპვის შემდეგ ირაკლი რომ შინ მოვიდოდა ხოლმე, დაიწყებდა ტირილს, მერე მეც ავყვებოდი, ჰოდა, ვიწყებდით ორთავენი ტირილს. მერე ისევ თვითონ დამიწყებდა დამშვიდებას. ასე გადავიტანეთ ეს ცხოვრება.

აგვისტოს ომი

ომი 2008 წელს არ დაწყებულა, ომი დაიწყო 1991 წელს! აი იქიდან, უკვე რო თქვა საქართველომ და გამოაცხადა დამოუკიდებლობა, ყველაფერი იქიდან დაიწყო. სანამ დამოუკიდებლობაზე იქნებოდა ლაპარაკი, ვინ გაარჩევდა, ოსი ვინ იყო, ქართველი ვინ იყო...

ი.ბ. — ძმებივით ვიყავით!

2008 წლის შვიდი აგვისტოს ღამეს, ანუ, რვა სანამ გათენდებოდა, მთელი ღამე სროლა იყო. მთელი ღამე ისროდნენ, მთელი ღამე.

მე ჯარში ვმუშაობდი მზარეულად. დილით ავდექი და ჯარში წავედი. ხოდა, ხუთის ნახევარზე რო მივედი, ჩვენი ბიჭები არხში იყვნენ ჩამალულები.

Ი.ბ. — ხოო, დამალულები, ანკი როგორ გადარჩა ესა?! შორს იყო სავალი სამსახურში. ტყვიებს ისროდნენ, იმ ტყვიებში მაინც მიდიოდა გზაზე.

სდექ, ვინ მოდისო? და ამოვარდნენ არხიდან ბიჭები ავტომატებით. მე ვარ, ვუთხარი, საჭმელი უნდა გაგიკეთოთ-მეთქი და მიმაცილეს ადგილამდე. შევედი და ერთ ნახევარ საათში ჩემი დეიდაშვილი მოვარდა (სასადილოს უფროსი იყო) – არ მინდა ქალები, მარტო კაცები მინდა, შენ წადი სახლშიო. წამოვედი. ჩემი გოგოც მალე მოვიდა ღამის „სმენიდან", ექთანი იყო სასწრაფო დახმარებაში. ვკითხე, როგორა ხართ-მეთქი. შუქები ჩამქრალი გვქონდაო, თქვა, ეგრე დავდიოდით მთელი ღამეო. შუქები არ ავანთეთ, რო არ დავენახეთ და არ ესროლათ ჩვენთვინაო. გამოძახებებზე მთელი ღამე ეგრე ვიარეთო, ხან სად ვიყავითო, ხან სადო... იყო ხოლმე ღამეები, ხანდისხან ორჯერ უხდებოდა წასვლა-წამოსვლა, რო ავადმყოფი გადმოეყვანათ გორში.

Ი.ბ. — ტყეზე, იმხელა ტყეზე დადიოდნენ. ტალახი იყო. ტყეზე იყო გზაი და რა ექნათ?!

ჰო, ჰო, ტყეზე იყო გზა, დადიოდნენ სასწრაფო დახმარების მანქანით, რომ ხალხი გადაეყვანათ-გადმოეყვანათ. თან, ისეთი ნაზი იყო, ისეთი ნაზი გოგო... ალბათ, იმისმა ბუნებამ ამდენს ვერ გაუძლო და მეორე ბავშვი – ლიზი რო გააჩინა, მერე სამ კვირაში დაიღუპა. აქ გათხოვდა, როცა ჩამოვედით.

ის არხში ჩამალული ბიჭები გადარჩნენ. მაგრამ აი, ის ბიჭები, ვინც წინა ბატალიონი იყო, ეჰ... რეზო მამისაშვილი ასმეთაური იყო. ერთად ნარდი რამდენჯერ გვითამაშია... შემოვიდა ერთხელ და ჩემს დეიდაშვილს ეუბნება, ანზორ, მოდი ნარდი მეთამაშეო. არაო, ანზორი ეუბნება, არა მცალიაო. შემოვიდა სერჟანტი. იმასაც უთხრა, მოდი, ნარდი მეთამაშეო. უი, მივდივარო, იმანაც მიაძახა. მერე ვიღაც შემოვიდა კიდე, იმასაც იგივე სთხოვა. ძალიან უნდოდა ნარდის თამაში. პატარა ბიჭი იყო, 24 წლის, ეტყობა, ახალი ნასწავლიც ჰქონდა. რეზო, მე გეთამაშები-მეთქი, ვუთხარი. თქვენ, ლიზი დეიდაო? ხო, მე გეთამაშები-მეთქი. მე სამი ხელი მოვუგე, ერთი – იმან, კარგად მახსოვს. ერთი ხელი მომაგებინე თუ მოგიგეო? არა, შენ მოიგე-მეთქი, ვუთხარი... ძალიან დამენანა, ძალიან კარგი ადამიანი იყო. ეკლესიაში ხშირად შედიოდა, ლოცულობდა, სახარებას კითხულობდა. სხვას გადაეფარა და თვითონ მოკვდა.

ჩემი სახლი და ყველას სახლი დაანგრიეს. ჩვენი სოფელი ლიახვთან ახლოს იყო. სახლები ამ ლიახვის სანაპიროზე დიდი ტრაქტორებით ჩახვეტეს. ჩვენ მაღლა ვცხოვრობდით, ჩვენი სახლები ჯერ დაწვეს. შიგ კი არ შედიოდნენ, რაღაცა ქონდათ, ესროდნენ ფანჯარაში. ეს რაღაც როგორც კი შევარდებოდა, მთელ სახლს ცეცხლი წაეკიდებოდა ხოლმე.

ი.ბ. — ვაჰ!

მერე შემოუვლიდნენ მეორე ფანჯრიდან სხვა სახლს და სხვა ფანჯრიდან ისროდნენ. შეიძლება კიდევაც გაძარცვეს სახლები. მეზობელი ქალი დარჩა იქა და იმან მითხრა, რო ჩემი ხელით ჩამოვუხსენი ფარდები ბაბულასაო – მაინც სხვა წაიღებს, წაიღე, გამოიყენეთქო და გავატანეო.

ჩვენ 8 აგვისტოს ავტობუსით გამოვიქეცით საღამოთი – მე, ჩემი ქმარი, ჩემი ბავშვი. აჩაბეთიდან ერედვში რო გადმოვედით, ავტობუსი სამიზნედ ყავდათ ამოღებული, უნდა დაებომბათ. როგორ იყო იცით, ეს ჩვენი ავტობუსი გაჩერდა, ჩვენმა მძღოლმა უცბად წინ წააყენა მანქანა და ჩვენს ადგილზე „ნივა“ დადგა. ამ „ნივას“ დაარტყეს. ესე იგი, ამოგვიღეს მიზანში და აი, წამებში მოხდა, გამოვედით, ის ჩადგა და დაარტყეს! თორე, ჩვენ იმ ავტობუსში ვინც ვიყავით, სულ ყველა დავიხოცებოდით. იმ „ნივაში“ ორი ადამიანი იყო.

„ნივა“ რომ აფეთქდა, ავტობუსის მგზავრებიდან რომელი რომელს ასწრებდა, არ ვიცი, რა დღეში იყო ხალხი. ვიჯექი და ველოდებოდი, რო ყველა ჩასულიყო. მერე ირაკლი წაიქცა, ზევიდან აბიჯებდნენ და გადადიოდნენ მასზე. ჩემი ბიძაშვილის ბიჭმა, თემომ ააყენა მერე. ყველა გაქცევაზე იყო.

ი.ბ. — აფხაზი იყო ის შოფერი. ხოდა, 10 მეტრით ჩვენს იქით ჩამოაგდეს ბომბი და მძღოლმა, რა ვქნაო. მერე, ერთი კი მააპროწიალა ეს მანქანაი, ავტობუსი და გორამდე ისე ჩამოვედით, რო უკან აღარ მიუხედავს ოდნავ. ძალიან ცუდი ამბავი მოხდა, ძალიან.

ანდაზა ხო იცით – საითაც გავიქეცი, იქით წავიქეციო. ხოდა, ბომბები რომ სკდებოდა, ნამსხვრევები ამ ავტობუსს ეხეთქებოდა. გვესმოდა, როგორ ეხეთქებოდა... გვესმოდა... აი, გატეხილი ბომბის ნამსხვრევები. ჩვენ გადავრჩით.

ჰო, მერე წამოვედით, გამოვიქეცით სხვა ავტობუსით. მერე ყვითელი მარშუტკები მოვიდნენ, ყველა ავცვივდით და გამოვიქეცით ყვითელ ავტობუსით.

აი, როგორც მიმინო წიწილებს რო უვლის გარშემო, თუ გინახავთ, აი ის გამანადგურებლები ეგრე უვლიდა ერედვს გარშემო. ჯარის ბიჭები წავიდნენ და ყანებში დაიმალნენ.

Ი.ბ. — ჯარს ძალიან დასდევდნენ, ყველა ჯარს დასდევდა.

საერთოდ არაფერი წამოგვიღია. ცოტა ფული მქონდა და ისიც კი არ წამომიღია, ისიც კი იქ დამრჩა. არც პირადობა, არც ქორწინების მოწმობა, არაფერი არ წამოგვიღია, აბსოლუტურად.

Ი.ბ. — არაფერი წამოგვიღია, ძლივას გამოვასწარით გამოსვლა.

აპაპაპა! არაფერი წამოგვიღია, არც ფოტო და არც არაფერი.

Ი.ბ. — რთული დრო იყო. იცით, ძალიან ბევრმა ვერ გაუძლო ომის ამბავსა.

ვერ გაუძლეს, იმიტომა, რომ მთელი ღამეები თავიანთ უბნებში პიკეტებს აკეთებდა ხალხი.

Ი.ბ. — სულ სროლები იყო, სულ!

ხალხმა პიკეტები გააკეთეს, მთელი ღამეები ყარაულობდნენ, რო ან აქიდან დაგვეცემიან ან იქიდანო. აქით ცხინვალი იყო, იქით კვაისი, ჯავა.

სულ შიშის კანკალით ვიყავით, სროლას რო გავიგებდით. როცა სროლა წვერიახოზე მოხდებოდა, უკვე ველოდებოდით – ყველა საქმეს ვანებებდით თავს და ველოდებოდით. რო ვიცოდი, ჩემი გოგო „სმენაში“ იყო, პანიკაში ვიყავი – ვფიქრობდი, ვინ იცის, რამდენჯერ გადავა დღეს გორში და გადმოვა... როგორ გადავა და როგორ გადმოვა? სულ ვწუხდი. ეხლა, მედიცინის მუშაკებს მაინც და მაინც ისე არ ერჩოდნენ, მაგრამა...

Ი.ბ. — დიახ, მომწყვდეულები ვიყავით. ეჰ, გასაქანი არ იყო.

ხოდა, აისახა ახალგაზრდებზე ეს ყველაფერი. ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა. ერთ-ერთი ჩემი გოგო და სიძე იყო. ჩემი სიძე საქორწილო რო იყო, მაშინ, თურმე, მთელი ღამეები გარეთ ათენებდა და აღამებდა. ვაჟკაცი ბიჭი იყო, მაგრამ ამდენმა ტვირთმა და ჯაფამ, რა თქმა უნდა, იმის ორგანიზმზეც იმოქმედა და დაიღუპა.

მე არ მინდოდა წამოსვლა, არა, არ მინდოდა. ჩემმა ბიძაშვილმა გადმომძახა და მითხრა, წადიო. ძალიან განათლებული და სერიოზული ადამიანი იყო. თვითონ ბოლო კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო, მამამისი – პირველი თავმჯდომარე. ესე მოხდა. დაიღუპა 65 წლის ასაკში, ვეღარ გაძლო. ხოდა, იმან მითხრა, წადიო. ვუთხარი, დავრჩები-მეთქი და არაო, წადიო. იმან იცოდა ომის კანონები. შენ თამრიკო წაიყვანე და წადი, მე და ირაკლი დავრჩებითო. მაგრამა ირაკლი ჩემზე უწინ ახტა მანქანაში. ამანაც იცოდა ომის კანონები, ეს ჩეკისტი იყო. პირველი ახტა, არც სახლი მინდა, არც კარიო. სად გამოვეშვით ეს უმწეო ქალი და ბავშვი და გამოგყვა ჩვენ, არ დაგვტოვა მარტოკა. სწორადაც მოიქცა, თორე ამასაც წაიყვანდნენ. შეიძლება კიდევაც მოეკლათ იმიტომ, რომ ზოგი ტყვედ წაიყვანეს, ზოგი

დარჩენილი დახვრიტეს. ცოლი და ქმარი დახოცეს, თავები დააჭრეს ჩვენს სოფელში. ვიცნობდით იმათ. იფიქრეს, აქ ვინ რას გვიზამსო, ამდენი ნათლიები გვყავსო, ამდენი სიკეთე გვაქვს გაკეთებულიო, ამდენ ხალხს ვიცნობთო. მარა, განა ის ხალხი კი არ მივიდა, ვისაც იცნობდნენ და ვისაც ქართველების ჯიგარი ჰქონდა – მივიდა ვიღაც სხვა, უცხო.

ერთი ოსი წარმოშობის ბიჭიც მოკლეს. ცოტა ნასვამი ყოფილა, გამოსულა, უკითხავს, რა გინდათო, ეს ქართველების მიწა არიო, ეს თქვენი მიწა არ არისო და გადაჭრეს თურმე ეს ბიჭი... მეორემაც ეგრე თქვა და ისიც ეგრევე დახვრიტეს. ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ვინც მიაწვა, ეს თქვენი არაა, საქართველოს მიწააო, ყველა მოკლეს. განა ირაკლის არაფერს უზამდნენ, რომ ეთქვა რამე. მარა, ეს ისეთი ბრძენი კაცია, იცოდა, არაფერი გამოუვიდოდა და ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

მე კი არ ვიცი, როგორ მოვედი აქამდე. აი გეტყვით, რომ აქ ღმერთის ხელი ურევია. ღმერთმა რაც ჩაიფიქრა ჩემთვის, აი ეგრე წამოვიდა ჩემი ცხოვრებაც. ალბათ, ჩემს პიროვნებასაც, ჩემს შინაგან ადამიანობასაც ამოწმებდა, როგორი დავრჩებოდი ამ ამბების შემდეგ. ახლა პანიკაში აღარა ვარ – არიქა, ცხვარი წაიყვანეს, არიქა ძროხები წაიყვანეს, არიქა წრიახოში ვიღაც მოკლეს, არიქა ის დასწვეს, არიქა მანქანა აფეთქდა, არიქა ეს... პანიკაში აღარა ვარ.

დროებითი საცხოვრებელი

როდესაც გამოვედით, სად წავსულიყავით, ვფიქრობდით და ცხვარიჭამიაში წავედით. ჩემი ბიძაშვილი იქ იყო და ამოდითო, გვითხრა. რომ მივედით იქა, რავი, ვინც იყო ის ბიჭი, ვუთხარი, ბინა მინდა-მეთქი. ხოდა, არ არის სახლიო, გაბრუნდი უკანო. სად წავიდე, მე ვუთხარი, როგორ არ არი თქო? დაკეტილებია სახლებიო. მერე გავიხედე და 3 კაცი მოვიდა, ერთ-ერთი იყო „დეფაქტოს“ ხელმძღვანელი, ჩემი გოგოს ნაცნობი, მეორე იყო ჩემი ბიძაშვილის ნაცნობი, ხოლო ერთიც კი იყო ირაკლის ნაცნობი. აიო, მითხრეს ქალებმა, აი ესენი სამივე უფროსები არიანო და მიდიო. მივედი ამ ბიჭებთან, კაცებთან და ვუთხარი:

— თავშესაფარს ვითხოვ

— სადაური ხარ?

— აჩაბეთელი ვარ და თავშესაფარს ვითხოვ

— რა გვარის ხარ?

— ჭულუხაძე ვარ

— რეზო ჭულუხაძე რა არის შენი?

— ძმათა შვილები ვართ მე და რეზო

— მე რეზოს ძმაკაცი ვარ (ამ ბიჭმა მითხრა).

მეორეს ირაკლი ელაპარაკებოდა. ეს თურმე ირაკლის ნაცნობი აღმოჩენილა, რომელთანაც ერთად უქეიფია, ერთად პური უჭამიათ. ჩემი გოგო კი მივიდა მესამესთან, რომელიც მისი ნაცნობი იყო და მიესალმა, როგორა ხართო? ჯანმრთელობა როგორ არის თქვენიო? თურმე, ის კაცი ცუდად რომ იყო, ჩემს გოგოს გაუკეთებია გადასხმები და გადაურჩენია.

მივიდნენ ეს კაცები ერთ სახლთან, გადაჯაჭვული იყო მავთულებით, გააღეს და მკითხეს, გეყოფათ ეს სახლიო? მე ვუთხარი, ცხრა საწოლია და ჩვენ სამნი ვართ-თქო. შედითო, თქვენია ეს ოთახიო და შეგვიშვეს. ერთი სამი-ოთხი დღე ვიყავით იქა.

მერე ჩემს გოგოს დაურეკეს, რო ჩამოდი, გვასაქმებენო. სასწრაფო დახმარების განყოფილებაში დაასაქმეს დიდ დიღომში. ამიტომ, თბილისში წამოვედით და სტამბის შენობაში შეგვასახლეს კოსტავას ქუჩაზე. შევედით იმ ცარიელა სახლში მე და თამრიკო, გავშალეთ ქაღალდები, გაზეთები და იმ გაზეთებზე დავწექით. თამრიკომ რომ მიიხედ-მოიხედა, მითხრა, დედა რა ღარიბები ვართო. გაჩუმდი, მე ვუთხარი, მთავარია ჯანმრთელები ვიყოთ, ცოცხლებიც გადავრჩით-მეთქი. ამასობაში, წეროვანში ჩვენი საავადმყოფოც რო ააშენეს, მთავარმა ექიმმა იცოდა, რომ ჩემი გოგო თამრიკო კარგი ექთანი იყო – ბუნებითაც, გონებითაც, ადამიანობითაც... ბინაც გამოგვიყვეს და წამოვედით აქ, წეროვანში.

შესახლება წეროვანში

ძალიან რთული იყო, ადვილი არ ყოფილა. სავსე ბაღები დავტოვეთ, სავსე ბაღები, სავსე მარნები... უკვე დაწყებული მქონდა სამზადისი: 7 კილო საზამთროს მურაბა მქონდა დაწყებული, კიტრის კონსერვები მქონდა, მერე და მერე მოდიოდა სხვა დანარჩენი – ორი ლიტრი „სმაროძინა“[30] მქონდა გაკეთებული, ერთი წითელი, ერთი შავი – „ბანკებში“ დალაგებული.

ჰოდა, წამოხვიდე იქიდან, ადვილი არაა. მოვედი ამ სახლში, რა გავაკეთო, ვიყურები აქეთ-იქით. ჰო, 3 „მეშოკი“ ფქვილი დამხვდა, თითო ადამიანზე თითო „მეშოკი“ დამახვედრეს. მარტო ფქვილი მეყოფა? მაკარონიც მქონდა, მაგრამ მარტო ფქვილი და ზეთი მეყოფა? სხვა არაფერი მინდა? ან შამპუნი არ მინდა, ან საპონი არ მინდა, ან ის არ მინდა, ან ეს არ მინდა, როგორ, რანაირად გავაკეთო?

30 მოცხარი (რუს.)

მერე, ვიღაცას მომვლელი უნდოდა, იმასთან ვიყავი, იმას დავუწყე მოვლა და ცოტა კაპიკებს მაძლევდნენ, 150 ლარს. თითქოს ამ 150 ლარმა სული მომათქმევინა, თორე, რო ჩამოვედით 200-200 ლარი კი მოგვცეს, მაგრამ ის 200 ლარი სადამდე გაგვწვდებოდა, კაცო! ცარიელ-ტარიელი ხალხი გამოვედით იქიდან... ტრიალი მინდორი იყო ეს ადგილი. მე ტრაქტორი მოვიყვანე, ამ ადგილს მოვხნავ მეთქი. ქვა და ღორღი ეყარა ძირს. ალბათ, სახლებს რომ აშენებდნენ, მოქონდათ ღორღი და მანდა ყრიდნენ. სულ ირაკლის ხელმა გაზიდა ის ქვა და ღობედ აქცია. ჩავყარეთ ხეები, მარწყვი დავრგეთ, ვაშლები, ატმები, კაკლები, „სმაროძინები“... ირაკლიმ გააშენა ყველაფერი.



მე თონე მქონდა იქა. რომ ჩამოვედი, თონეც ჩავაგდე, ლავაშებს ვაკეთებდი. ლავაშები ვიცოდი და ლიკანი. ლიკანს ვეძახდით, იცი, რას? მთელი პურიდან ამოიღებ გუნდას, გაათხელებ, შუაზე გაჭრი და იმ ნახევარს ლიკანი ქვია, ზოგი შოთებს ეძახის. ეს ტრადიცია შემოგვრჩა აქ, სხვა ყველაფერი დარჩა იქ. ის იქ იყო, გემრიელი, იქ იყო კარგი. დედაჩემი სახლის ანგელოზის რიტუალსაც აკეთებდა, მე – არა.

ჩემი გოგოც მუშაობდა მაგ დროს და რაღაც-რაღაცებს აკეთებდა ხოლმე, ყიდულობდა, ვეხმარებოდით ერთმანეთს. მერე გათხოვდა. ჩემს სიძეს ორწელიწადნახევარი უყვარდა ჩემი გოგო, ჩვენ არ ვატანდით. სამჯერ მოვიდა სახლში. წადი, შვილო-თქო, მე ვუთხარი,

წადი, შენ მიხედე შენს დედას და მე ჩემმა შვილმა მომხედოს, ვერ გაგატან შენა თამრიკოსა, მე აქ უნდა მყავდეს-მეთქი. მარა, ბედი რომ იყო და ბედისწერა, მაინც იმისი ცოლი გახდა.

ორი ბავშვი გააჩინეს და ეს ჩემი გოგო კი დაიღუპა, 32 წლის გოგო... ბავშვი რო ამოიყვანეს მუცლიდან, სიმსივნე ქონდა თურმე მუცელში და დაიღუპა. თუმცა, არაფერი არ ტკიებია საერთოდ. თვალიდან წამოვიდა ეს სიმსივნე, მუცლიდან წამოვიდა, საიდან წამოვიდა, ვერაფერი ვერ გავიგეთო – ექიმმა მითხრა. ვიცოდი უკვე, რაც იყო და როგორ, ექიმებმა – ქიმიებიც ვერ უშველისო, ძაან რთული მდგომარეობაა. ვიცოდი, რო ჩემი გოგოს დღეები უკვე დათვლილი იყო.

ი.ბ. — ვაჰ, იცოდი შენა?

ჰოო. ხოდა, ლიზის თვითონ დაარქვა ჩემმა გოგომ სახელი და რო არქმევდა ლიზის, მე ვუთხარი, მოდი ლიზი არ დავარქვათ, თამთა დაარქვი-თქო. მე არ მიყვარს ჩემი სახელი. ვფიქრობდი, თამთას რო დავარქმევთ, თამრიკოსთან თამთა ახლოა და თამრიკოს სახელი დამრჩება მეთქი. თამრიკომ არაო, ლიზი მომწონს მე ძალიანო და ლიზი უნდა დავარქვაო. ხოდა ლიზი დაარქვა.

ხუთი დღისა გამოვიყვანე საავადმყოფოდან ბავშვი. მე და ჩემმა მძახალმა გავზარდეთ. ერთი წელი ისიც მხარში მედგა – ძალიან კარგი ადამიანი იყო. ერთი წლის მერე წავიდა კოდაში და მალევე დაიღუპა. ჩემ სიძეს ერთი დღეც კი არ მიუტოვებია ბავშვები, მოდიოდა-მიდიოდა, მოდიოდა-მიდიოდა ბავშვებთან. ბავშვები ორთავენი ჩემთან იზრდებოდნენ, მაგრამ იმას არ დაუტოვებია ბავშვები. ერთხელ, ამ ამბიდან ოთხი წლის მერე, ეზოში რაღაცას ვაკეთებდით და უცებ ცუდად გახდა ეს ბიჭი, თავის ფეხით შემოვიდა, ჩაიცვა ტანსაცმელი, ჩაჯდა სასწრაფო დახმარების მანქანაში და გადავიყვანეთ მცხეთაში. თრომბი მოწყდა და აი, თრომბმა დაღუპა ჩემი სიძეც. ზოგადად, იცით, ძალიან ბევრი ახალგაზრდა დაიღუპა ომის შემდეგ ჩვენი ხეობიდან, ახალგაზრდებიც და ასაკიანებიც – ვერ გაუძლეს.

თამრიკოს და კახას სიკვდილი ამ პატარებმა გადამატანინეს. კაი, ჰა, ჩავვარდი დეპრესიაში, ვფიქრობდი, ავყევი ნერვებს, მოვკვდი, რაღაცა გავაკეთე – ამათ რა ქნან, ამათ ხო ვიღაცა უნდათ? დღეს ჩემი ლიზი რომ მოვიდა, აქ ვიყავი სამზარეულოში, კარტოფილს ვუწვავდი. მოვიდა, მომეხუტა, ჩამეხუტა, მაკოცა, 10 ქულა მივიღე „კომპლექსურშიო“, 10 მივიღე ბუნებაშიო. მერე საბა შემოვიდა – ბაბო, დღეს ქართულში 10 მივიღეო. ამ ბავშვებს საფუძველი მე მივეცი. საბა პირველ კლასში იყო, „ვეფხისტყაოსანი“ რო წავუკითხე და პერიფრაზებს ვუკეთებდი ხოლმე. ასე იყო...

გამკლავება

სულ მესიზმრება, სულ მესიზმრება იქაურობა. ვითომ შევდივარ. ვიცი, რომ მტერი სადღაც უნდა იყოს ჩასაფრებული, მარა მე ჩემი სახლის ნახვა მინდა. სიზმარში მივალ და ვნახავ ხოლმე ჩემს სახლს. ეზოში რომ შევდივარ, ზოგჯერ კარებში მამაჩემი მხვდება – ნატოს სახლის გადმოსწვრივ დგა, რაღაცებს აკეთებს, თეთრი ტანსაცმელი აცვია. მივდივარ ისევ სახლში, შევდივარ და კარებში დედაჩემი მეგებება. ავდივარ მაღალა და აი, რაც მქონდა ის, ყველაფერი თავის ადგილზეა. აბა, მეთქი, რო იძახდნენ, რო ყველაფერი დაანგრიეს თქო, როგორ დაანგრიეს? სიზმარში ყველაფერი თავის ადგილზეა და მერე მეღვიძება ამ განცდებში.

ძალიან დამეხმარა, რომ ბავშვობიდან ვწერდი ლექსებს. იქაც დამრჩა დაწერილი ლექსები. მარტო ლექსებს არა, ჩანახატებსაც ვაკეთებდი, მოთხრობებსაც ვწერდი. შემიძლია რომანიც დავწერო, მაგრამ აღარ, აღარ, არ ვცდილობ. რომანს ისე ვერ დავწერ, დრო უნდა, ბავშვებს ყურადღება უნდათ. ლექსი ადვილია, ღამე დავჯდები, დავწერ და ეგ არის.

იცი როგორა ვგრძნობ თავს, ხანდისხან მინდა ხოლმე, რომ მოვკვდე. მინდა ხოლმე მოვკვდე და წავიდე, წავიდე, მაგრამ მერე რომ დავფიქრდები, ეს ბავშვები პატარები არიან და ჯერ პატრონი სჭირდებათ. მერე ვეტყვი ხოლმე, არა, ღმერთო, არა შველის საქმესა სიკვდილი, თორე...

ერთი ლექსიც მაქვს ასეთი:

„ისეთ სიკვდილით გამიშვი, რომ ტვირთად არვის დავაწვე,
ამქვეყნიური ჯახირით, ვის რაში უნდა წავადგე,
მაგრამ ჯერ არა უფალო, აქ საქმე ისევ ბევრია,
რომ ჩამაბარე ბავშვები, ჯერ ისევ გასაწვრთნელია.
სიბრძნე და გონიერება ჯერ კიდევ უნდა მასწავლო,
არ მინდა, რომ დედამიწა უგუნურებით დავღალო,
მასწავლე, მათაც ვასწავლო, რომ სიკეთის გზით იარონ,
ჭეშმარიტება შეიცნონ, მადლში არ დაიგვიანონ“.

ასეთი განცდები მაქვს და ვწერ.

ბევრი ახლობელი ადამიანი დავკარგე. ხოდა, მამიდაჩემი გონიერი ადამიანი იყო და რო მოვიდოდა გასვენების დროსა, ასე ამბობდა ხოლმე: „მწუხარესაო, ანგელოზები ზურგზე კენჭებს აყრიანო; ასე გამაგრდეს შენი გული, ასე გამაგრდეს შენი გულიო“.

ძალიან რთული იყო ომის შემდეგ და ბავშვებიც რო დაობლდნენ, მაშინაც. მერე ხალხიც დაგვეხმარა, ვიღაცამ წიგნი გვაჩუქა, ვი-

ღაცამ მაგიდა გვაჩუქა, ვიღაცამ რაღაცა და აი, აქიდან. თორე, ჩვენ ახლა ასაკოვანები ვართ, ჩვენ რა უნდა გაგვეკეთებინა?! საქართველოში იმდენი კარგი, კეთილი ადამიანი ყოფილა, რომ ხალხი დაგვეხმარა. ცოტა მოვითქვით სული იმითი, თორე, ხალხი რომ არ დაგვხმარებოდა, ჩვენით ვერაფერს გავაკეთებდით. თუ რამე სამუშაო გამოჩნდებოდა, ირაკლიც მიდიოდა და მუშაობდა, მარა ახლა ვეღარ გადის უკვე, 70 წელს გადასცდა, თან ოპერაციები გაიკეთა თვალებზე და აღარც უნდა იმუშაოს მძიმე სამუშაოზე.

რა ვისწავლე იცით, ადამიანმა სიკეთე უნდა აკეთოს. სხვისი ცუდი არ უნდა გაგიხარდეს და სხვისი კარგი არ უნდა გეწყინოს. სიკეთე უნდა აკეთო და თუ შეგიძლია, შესაძლებლობების ფარგლებში, მადლი უნდა გააკეთო.

მე რა ტვირთის ატანაც არ შემიძლია, ღმერთი იმას არ დამავალებს. მაგრამ, ეს უსინათლო კაცი რომ მიდის აგერ, გზა რომ დაეკარგოს, უნდა მივიდე, ხელი მოვკიდო, მივიყვანო და თავის სკამზე დავსვა – ეგეც გაწეული მადლია; ბავშვი რომ წაიქცეს, ავაყენო და კაბა ან შარვალი ჩამოვუბერტყო – ეგეც მადლია. რისი გაკეთებაც არ შეგვიძლია, იმას უფალი არ დაგვავალებს. მაგრამ, რაც შეგვიძლია, ის უნდა გავაკეთოთ, თვალი არ უნდა მოვხუჭოთ მადლის გაკეთებაზე. აი, ეს დამანახა უფალმა, ეს მასწავლა, რომ სამყაროს უფალი განაგებს. არ გვეგონოს, რომ ეს სამყარო ჩვენია. ჩვენ ვინ გვკითხა დაბადება? არავინ არა გვკითხა, რაც ღმერთს უნდა, ეგრე ხდება ქვეყანაზე. ღმერთის ნებით ხდება სულ ყველაფერი ამ სამყაროში.

ჩემი გულის ნადები ის არის, რომ მშვიდობა იყოს ქვეყანაზე. ომი არ გვინდა. ომი არ გვინდა იმიტომ, რომ ომი საშინელებაა.

ი.ბ. — ჩვენ გვინდა ისევ მშვიდობა იყოს. პირველად გამიძნელდა მეცა, სანამ ხალხს გავიცნობდით. ხან სად დავდიოდით, რო პატარა სამუშაოები გვეშოვა... მერე ეს ბავშვები ზურგით მიმყავდა სკოლაში და ბაღში. ასეა ცხოვრება. ეს რუსეთის ხელმწიფე რომ გვითრევს თავისკენა, რა ნამუსით გვითრევს, ამოგვწყვიტა, იმ ცხოვრებას ვერცერთი კაცი ვერა ნახამთ, რაც ჩვენ დავკარგეთ და კიდევ უნდა, რომ თავის ქვეყანაში მიგვიყვანოს.

ეჰ! აი ამან, ბავშვებთან ურთიერთობამ, ამ მოხუც ადამიანთან ურთიერთობამ გადამარჩინა. ხან რას ვუყვები, ხან რას: ლექსებს ვეუბნები, მოთხრობებს ვუყვები. აი, ეს მატანინებს, რომ აი, ესე, ხალხში, კომუნიკაციები მაქვს; მაგითი ვცოცხლობ, მაგითი ვარსებობ, თორე, მე რომ ან მარტო ვიყო, ან ეს ჩემი შვილიშვილები რო არ იყვნენ ჩემთანა, მე და ირაკლი რო ვიყოთ მარტოკინა, ალბათ, ორივე დავიხოცებოდით.

ვიგენდი ჭულუხაძე

ინტერვიუს თარიღი: 1 ნოემბერი, 2024

ცხოვრება აგვისტოს ომამდე

ვცხოვრობდი ცხინვალის რაიონში, სოფელ ზემო აჩაბეთში. მეუღლე მე არა მყამდა იმ დროსა და რძალთან ერთად ვცხოვრობდი, შვილთან ერთად და შვილიშვილებთან, რა თქმა უნდა...

არა მიშამდა რა. მე ეხლა, საერთოდ, მუშა კაცი ვიყა და არ მიჭირდა ცხოვრებაი. ოთხი წლისამ მამა სამამულო ომში დავკარგე. 7-8 წლიდან ვმუშაობ. მამა არა გვყვანდა და ცეცხლი ხო გვინდოდა?! 4 დედმამიშვილი მყავდა, გამოწრთობილი ვარ შრომაში.

ჩვენი სოფელი კარგი სოფელი იყო – ხალხი ძალიან კარგი ცხოვრობდა. ცოცხალი სოფელი იყო, მუშა ხალხი ცხოვრობდა. იქ ყაჩაღები და ცუდი ადამიანები არავინ იყო. კარგი ბაღი მქონდა. ათ ტონა ვაშლსა ვკრეფამდი – მთელმა სოფელმა იცის! ერთ ტყვილსაც არ გეტყვით. ტყვილა კაცი რა მოხელეა? არაფერი მოხელე არაა!

გვყვანდა პირუტყვი და დაგვყამდა საბალახოდა, რიგ-რიგობითა. ასე, 2005-ში, მე და ჩემმა მეზობელმა, ხეთაგურმა თამაზიმ, წავასხით პირუტყვი საბალახოდა. მოვიდნენ ოსის ყაჩაღები იარაღითა და დაგვეცნენ. წაგვართვეს ძროხა. მე ვიცნობდი მათ, ვიცოდი ვინც იყვნენ – ისინი არ მიცნობდნენ. არ ვაძლევდი, მაგრამ წაგვართვეს ძალით. ავტომატი ჰქონდათ და ჩვენ არა გვქონდა იარაღი – ალალი ხალხი ვიყავთ და ალალად წავასხით და რათ მინდოდა იარაღი? არ ვატანდი, გადუდექი წინა, მაგრამ ავტომატი გადმოიღესა და გაისროლეს – თუ თავს არ გაგვანებებ, მეორეს შენ გესვრითო და გავანებე თავი. წაიყვანეს ეს ძროხა და მოიხმარეს – დაკლეს, შეჭამეს და რა ადგილზეც წაგვართვეს, იმ ადგილზე მოიტანეს ტყავი და დაფინეს, რომ გაიგონ, რომ ის ძროხა დავკალით და შევჭამეთო, რა. ჰოდა, რაღას ვიზამდით, რაღა უნდა გვექნა და შერჩათ ეს ძროხაი. ვერც გადავახდეინეთ და არც არაფერ მოგვცემდნენ. ოსის ყაჩაღები იყვნენ – დაეცემოდნენ ხოლმე როგორც ჩემ სოფელში, ისე ქურთაში, ისე კეხვში და ყველა სოფლებში და ართმევდნენ [საქონელს მოსახლეობას]. სოფელ ძარწემში რო არ გაატანეს, 4 მწყემსი მოკლეს და ის საქონელი მაინც წაასხეს. მერე მეორე თვესა, ორი კვირის შემდეგა, მივიდნენ და რაც ცხვარი იყო, ისიც წაართვეს და წაიყვანეს – ორჯონიკიძეში[31] წაასხეს პირდაპირა ძარწემიდანა და ჩააბარეს „ბოინში“[32] ეს 300 სული ცხვარი. მიყვა პატრონი აქეთ-იქითა და უკვე ჩაბარებული

31 ვლადიკავკაზი

32 სასაკლაო (რუს.)

იყო. აბა, იმ ყაჩაღებს ვინ გასთქვამდა, ესა და ეს გვარიაო, და დაიკარგა ის 300 სული. იმ ძარწემისაი, მთლიანადა რქიანი პირუტყვიც წაიყვანეს და ცხვარიც წაიყვანეს და არც გლეხებსა და არც არავის ერთი კაპიკიც არ დაუბრუნეს, შეჭამეს და შერჩათ. აი ეგ ამბავი იყო. 2008-მდე ასეთი რამეები ხდებოდა.

აგვისტოს ომი

2008 წელში შემოვიდა რუსი ორჯონიკიძის მხრიდან, ჯავის მხრიდანა ჩვენ სოფელში და ხალხმა რო გაიგეს, რუსი შემოდიოდა, წამოვიდნენ; ერედვის ტყეზე წვალებით გადმოვიდნენ და გორში ისე ჩავიდნენ; მერე გორიდან თბილისში გამოვიდნენ. მე არ წამოვედი, არ წამოვედი მე... ჩემებურად კარგი ცხოვრება მქონდა, არაფერი არ მაკლდა. მე ყველა ოსი მიცნობს, არავინ არ მომკლამს, არავინ არაფერს დამიშავებს-მეთქი და დავრჩი. მარტო დავრჩი... ოჯახის წევრები არა მყამდნენ იქა. რო გაიგეს, რო მარტო მე დავრჩი, ვინც ვერ მოასწრო წამოსვლა, იმ მეზობლის ქალები, მოვიდნენ, შემემეხიზნენ მე და ჩემთან ერთად იყვნენ ორი „სუტკაი“[33]. ცხრა აგვისტო იქნებოდა. სხვა სახლებში უფრო ეშინოდათ და მე კარგი სახლი მქონდა, „პლაშადკიანი“[34] სახლი მქონდა, არ ეშინოდათ და შემოვიდნენ. ამოვიდნენ მერე ოსის პოლიციაი, სათითაო ოჯახები დაიარეს და ვინც იყვნენ დარჩენილები – ქალები, კაცები – სუყველანი წამოგვიყვანეს და ქვემო აჩაბეთში, სტადიონზე ჩამოგვიყვანეს. ქალი და კაცი ერთად ვიქნებოდით ასე 70. ჯერ ჩვენ ჩამოგვიყვანეს და მერე მოიყვანეს სხვა ხეობის ხალხი. არ მოვყავდით ჩვენა და შევწუხდით. მერე ჩვენმა მეზობელმა უთხრა რუსულათა, რომ კაცო, ძალიანა ცხელაო და თუ მიგყევართ, წაგვიყვანეთო და თუ არა, ეს რა ამბავიაო. ერთი 4 საათი მაინც ვიყავით გაჩერებულები, ფეხზე ვიდექით. დღე იყო. მერე წაგვიყვანეს იქიდანა, სხვა სოფლელებიც შემოგვიერთდნენ და ერთი 80-100 მაინც ქალი და კაცი ვიყავით იზოლატორში. ფეხით წავედით, ჩვენ სოფლებიდან 4 კილომეტრი იყო, ან 5, გინდა 6... ვისაც არ შეეძლო და ფეხით ვერ წამოვიდა, მანქანებიცა ყამდათ, პატარა მარშუტკა მანქანები, იმეებშიც ჩაგვსხეს მერე და იმეებითაც წამოვიდნენ. ზოგი ფეხით წამოვიდა, ზოგი მანქანებითა, მოგვიყვანეს მილიციის შენობაში და შეგვიყვანეს იქა. რომელი კაციც იცნეს რო მაცხოვრებელი იყო ცხინვალში და წამოსული იყო, იმათ შეურაცხყოფა მიაყენეს და ცემეს – თქვენა, ცხინვალში ცხოვრობდით, იქა მუშაობდით და რად წამოხვედითო. ცემეს ორ კაცს, 80 წლის

33 დღე (რუს.)

34 მოედანივით, ბრტყელი ადგილი (რუს.)

ხალხსა ცემეს ამ ახალგაზრდა პოლიციელებმა. მერე ჩამოიყვანეს 92 წლის კაცი, დამავიწყდა სახელი... მჭედელი იყო. შენაო, იარაღს აკეთებდიო და ჩვენ გვესროდიო – თავგატეხილი ჩამოიყვანეს ამხელა კაცი, ნაცემი, სისხლი გამოსდიოდა... ჩემმა მეზობელმა უპატრონა და შეუხვია, პატივი სცა. წამალი არა ჰქონდა არაფერი და ისე უპატრონა. იზოლატორში ხდებოდა ეგ ამბავი. ვდარდობდით ამ იზოლატორში. მშივრები ვიყავით, დასაწოლი არა გვქონდა, დასაჯდომი არა გვქონდა და ეგრე, 5-6 „სუტკა“ ფეხზე ვიდექით. როცა მოგვერეოდა ძილი, დავჯდებოდით და დავიძინებდით, აბა რა გვექნა... რაც ტანზე გვეცვა, აი ეგ იყო, სახლიდან არაფერი არ წამოგვიღია... არაფერი, აბსოლუტურად არაფერი!

ჩემი ოჯახის წევრები გადმოსულები იყვნენ სოფელ ერედვში, იმათაც არაფერი წამოუღიათ. სტუმრად იყვნენ გადმოსულები, ეს ამბავი რომ მოხდა. არ დაბრუნებულან უკან. ჩვენი სოფელი იქით მიდიოდა და უკან როგორ დაბრუნდებოდნენ?!

50-მა კაცმა 8 „სუტკა“ იზოლატროში გაატარა, 50-მა კაცმა – გარეთ, ჩემი „თამადობით“. გარეთ გვამუშავებდნენ, ქუჩებს გვასუფთავებინებდნენ. ქუჩები რომ დავასუფთავეთ და აღარ იყო საჭიროი, მერე გვითხრეს, რო ამა და ამ ადგილზე დახოცილი ხალხი არიანო, კუბოები უნდა წავიღოთ და ჩავაწყოთ შიგაო.

ჯარი იყო დახოცილი, მგონი, ზუგდიდის ბატალიონი, და წაგვიყვანეს. ცხინვალიდან კუბოები წავიღეთ და ავიტანეთ. ეს ხალხი სუყველანი ჩავაწყეთ – 49 კაცი. მოვუნდით 8 დღეი. მერე პოლიციიდან წაგვიყვანეს ტბეთის მოსავალზე, ზნაურის გზაზე. მარტო კაცები წაგვიყვანეს, ქალები – არა. მაშინ ვიყავი 72 წლისა. კარგად ვიყავი მაშინაცა, ენერგიული ვიყავი. დაგვევალა კუბოში ჩასვენება იმ დახოცილ ადამიანებისა. ყველა იყო ბომბით დახოცილი. დაბომბა რუსეთმა და დაიხოცა ყველაი. გაგვიჭირდა, ცუდი სუნი იდგა, მაგრამ რა გვექნა, ავტომატებით გვედგნენ გარშემო და რასაცა ვძლემდით, იმას ვაკეთებდით. დღეში ერთი 7-8 კაცს ვაწყობდით შიგა და მიგვქონდა დანიშნულ ადგილზე.

ვეხმარებოდით ერთმანეთსა – რასაც ვერ ვერეოდით და მძიმე მიცვალებული იყო, მეორე მოდიოდა და გვეხმარებოდა. ავწევდით მერე, დავდებდით მანქანაზე ამ კუბოს და წამოვყვებოდით. დანიშნული ადგილი იყო, ერთი ადგილი იმ ტერიტორიაზე, სადაც კეთდებოდა უნივერსიტეტი ცხინვალისაი და არ აშენდა, არ გაკეთდა. აი, იმ ადგილზე მივიყვანეთ ეს მკვდრები და დავაწყეთ „რიადზე“[35]. მე ყოველდღე დავდიოდი. მინამ მივიყვანდით სუყველასა, ტრაქტორით გაჭრეს სასაფლაო, სადაც უნდა ჩაგველაგებინა მიცვალებულები. მე დავთვალეი – 10 „რიადი“ იყო, 49 კაცი იყო სულა. ქართველები იყვნენ, რუსები იყვნენ, ჯარი იყო თუ ვინ იყო, [ვერ გაიგებდი] – ზედ არაფერი ეცვათ, ყველა იყო შიშველი. ვინც უნდა ყოფილიყო, მიცვალებულის დამარხვა ერთ-ერთი მადლია. ჰოდა, მივიყვანეთ იქა და მერე წამოვედით. ამ 8-9 დღის შემდეგა ქუჩებს ვასუფთავებდით. 8 დღის შემდეგ წამოიყვანეს მოხუცებულები, ისინიც, ვისაც არ შეეძლო მუშაობაი და ქალები. დანარჩენები დაგვტოვეს, 15 კაცი. იქ, იზოლატორში, იყო ერთი ქართველი ქალი და ორი ინგლისელი კაცი. იქა ნაცნობები მყამდნენ მე პოლიციელები და მაგათ მითხრეს, რო ეს ქალი ქართველიაო და ეს კაცები ინგლისელები არიანო. რაც გინდა ილაპარაკოთ, მაგათ მაინც არ ესმით ქართულიო. მერე მე ვუთხარი – როგორა კაცო, ამდენი ხანია აქა ვმუშაობთ და გვითხარით, ვინა ხართ, რა ხართ... და იმ ქალმა მითხრა: ნუ გეშინიანო, ძიაო, შენ უფასოდ კი არა მუშაობ, განაო. აი, პირადად, ჭულუხაძე ვიგენდი ანდროს ძეზეო 150 ათასი არის გაპიროვნებულიო, რო შენაო, არც ერთი დღე არ გაგიცდენია ამ მკვდრების აკრეფაშიო და თანა, ყოჩაღად იქცევიო – არცა გეშინია და არცა წუწუნებო, აკეთებ იმასა, რასაც ეს ხალხი გეუბნებიანო და შენო, არ დაგეკარგება არაფერიო, ნახავ, უეჭველად მოგეცემაო. აბა, ეგ არ უთქვიათ, ვინ მამცემდა. ეგა, გამემასხარავნენ,

35 რიგი, მწკრივი (რუს.)

განა მართალი მითხრეს. მერე, იმის შემდეგ, კიდე ვმუშაობდით, ქუჩებში, ბომბით ჩამოყრილ ხეების ტოტებსა ვკრეფამდით და ვასუფთავებდით ქუჩებსა. მას მერე თვალები დამეწვა, თორე ეხლაც მაქვს უნარი შრომისაი. მაგარი კაცი ვარ, მაგრამ ვეღარა ვხედამ და რა ვუყო.

ცხოვრება ომის შემდეგ

შემდეგ, რომ აღარაფერი ჰქონდათ სამუშაოი, თვითონვე, 20 დღის შემდეგ, გამოგვგზავნეს. მოვიდა გორის ავტობუსი – დაჭერილი ოსები ჩამოიყვანა გორიდან ცხინვალში. ეგენი რო გადმოვიდნენ, იმ ცარიელ ავტობუსში ჩვენ ჩაგვსხეს და გამოგვგზავნეს, 29 აგვისტოს. გაგვცვალეს. ავტობუსმა გორის საავადმყოფოში მიგვიყვანა და იქ ვიბანავეთ. ამოდონა დღენი გასული იყო კაცო და ამოდონა მუშაობაში... ვიბანავეთ და წამოგვიყვანეს მერე თბილისში, ვაშლიჯვრის პოლიციაში და გამოგვკითხეს საბოლაოთა. მე მივეცი ასეთი ჩვენება ვაშლიჯვრის პოლიციასა, მე-7 სართულზე, ღამის პირველ საათზე. აბა ძიაო, რა ნახე შენაო, როგორო და მე მოვუყე ყველაფერი, რო ასე იყო, ისე იყო და წერამდნენ ყველაფერსა. მერე ჩვენებურები მოვიდნენ, ჩვენი მეზობლები. აქეთ ვინც იყვნენ, 10 დღის შემდეგა იქ დარჩენილები დახვრეტილები ვეგონეთ ჩვენ – ოჯახის წევრებსაცა. რომ დაგვინახეს, დაიწყეს ტირილი. რა გატირებთ, რაშია საქმეი, მე ვუთხარი. ჰოდა, ერთმა ჩემმა გვარისამ მითხრა – ძია შიოო (მე შიოსაც მეძახიან, ისე ვიგენდი მქვია), დახოცილები გვეგონეთო კაცო თქვენაო და სიხარულითა ვტირივართო.

თბილისში რომ ჩავედი, ისედაც ხომ ვდარდობდი – იმოდონა ქონება დავკარგე, საქონელი დამრჩა, სავსე ოჯახი დამრჩა, პურის საცხობი მქონდა, კარგი პურის საცხობი... თვალებში მომდიოდა ღამე ცრემლები, რო დილა გათენდებოდა, ლოყაზე მქონდა დაგროვილი ცრემლები... მაგრამ, ისედაც, ძალიან ბევრი ვიდარდე... თბილისში საბავშვო ბაღში ვცხოვრობდით, კარგად გვექცეოდნენ. მოჰქონდათ ის, რაც გვესაჭიროებოდა; პროდუქტი მოჰქონდათ და ჩვენ თვითონ ვაკეთებდით და ვჭამდით. დები, მეუღლეები, რძლები გვყვანდა და ყველა თავის ოჯახებით ცალ-ცალკე შევედით და ცალ-ცალკე ვცხოვრობდით იქა. ის ხალხიც კარგად გვექცეოდნენ, საბავშვო ბაღის ხალხი, ცუდს არაფერს გვეუბნებოდნენ.

გავიდა დრო და ჟამი და რომ მოგვცეს კოტეჯები, წავედით ჩვენა ჩვენ კოტეჯებში, ყველა წავედით. საქაშეთში რომ დაარიგეს ეს კოტეჯები წინდაწინ, მერე მოვიდა ბრძანება – გვკითხეს, აბა, ვის სად გინდათო? მე სოფელი უფრო მოვინდომე, ვიდრე ქალაქი,

იმიტომ რომ გლეხი კაცი ვიყავ, მუშა კაცი ვიყავ და ვიმუშავებ იქა, გავერთობი-მეთქი. ქალაქში უფრო მეშინოდა ცხოვრებისაი და წავედი იქა, სოფელში. მამცეს საკუთარი კოტეჯი და ვიყავით იმ კოტეჯში მე და ჩემი შვილიშვილი. შვილიშვილი ეხლა აქა ცხოვრობს, წეროვანში, გათხოვილი, 35 წლის ქალბატონია. ეხლა, იქ დევნილად რომ ვიყავი იმ საქაშეთის სოფელში, ხომ გვინდოდა რჩენაი? ყოველდღე ვმუშაობდი კერძოთა. კომბოსტოსა ვჭრიდით, ვაშლებსა ვკრეფამდით, კარტოფილს ვიღებდით და ყველანაირ საქმეზე ვმუშაობდით მეცა და ჩემი ამხანაგებიცა. ამ ჩემ ბიჭის ოჯახს უფრო უჭირდა, აქ იმდენი სამუშაო არ იყო და პენსიითა და იმ ჩემი ნამუშავარითა, ამათ ვეხმარებოდი. ჰოდა, მერე ნელა-ნელა, ნელა-ნელა და 2-3 წელიწადში სულ დავბრმავდი და ვეღარ გავდიოდი სამუშაოთა. გამიჭირდა მერე ცხოვრებაი და მარტო პენსია მქონდა. ის პენსიაც ხომ უნდა გამოიყენო და ბრმამ, აბა, როგორ გამოვიყენო? აქა შვილი მყამდა და წამოვედი ამათთანა. მერე, ერთი წლის შემდეგ გავყიდე ის კოტეჯი და მოვიტანე ის ფული და ჩავაბარე ამათა, აბა, მე სად წავიღებდი, რათ მინდოდა?! იმის მერე ვარ აქა, 7 წელია აქა ვარ. 9 წელიწადი იქ ვიყავი და 7 წელიწადია აქა ვარ.

ჩემი სოფლის ხალხი ძალიან მიყვარს მე. იქაც ეგრე ვიყავი და აქაც ძალიან მიყვარან და ვარ ჩემთვის თბილად, ტკბილად – არაფერი არ მიჭირს, ამათ რომ ვხვდები და ამათაც რომ ვუყვარვარ... ქალბატონები მოდიან, მენახარშებიან, კაცებიცა... რო გელაპარაკება შენი მეზობელი, იმასა ჰქვიან ნახარში, საუბარი... კარგადა ვგრძნობ თავს, არც საჭმელი გვაკლია, არც სასმელი, არც ტანსაცმელი, არც ფეხსაცმელი, მაგრამ, უნდა გაძლო, როგორც პატიმარმა, მაშ, რას იზამ? იძულებული ხარ, უნდა გაძლო, მა რა უნდა ქნა?! იქა ვხედამდი და აქა ვერაფერს ვხედამ. 9 წელიწადია არაფერი არ დამინახნია ქვეყანაზე. კარგი არაა, მაგრამ კარგად ვიღებ, იმიტომა რომა, მეტი გასაქანი არაა. ესე იგი, რა სადარდებელიცა მაქვს, იმდენს არა ვდარდობ. რო ვიდარდო, ვიცი, რომ მაინც ვერ დავინახავ.

ანონიმი რესპონდენტი

ინტერვიუს თარიღი: 15 ნოემბერი, 2024

ცხოვრება აგვისტოს ომამდე

მე ვარ ქსნის ხეობიდან. ჩვენი რაიონი, ახალგორი, არი ვიწრო ხეობა. ჩემს სოფელში მზე ამოდიოდა 12 საათზე და ჩადიოდა 4-ზე. აი, მდინარე ისეთი ცივი იყო, გათბობას ვერ ასწრებდა, რომ ბავშვებს გვებანავა. რატო, იცით? ძაან მაღალ მთებშია ჩაკარგული. აი, სახლიდან ვხედავდი მელიას, თავი ქონდა გამოყოფილი. ჩავიდოდი მდინარეზე, გვერდზე კი ცივ-ცივი წყარო იყო.

მე და ჩემი მეუღლე ერთად ვიზრდებოდით, სკოლაში ერთად ვსწავლობდით. მერე რო წამოვიზარდე და დავამთავრეთ სასწავლებელი, ერთად ვმუშაობდით მასწავლებლებად. მაღლა მთაზე, მთის წვერზე იყო მისი სოფელი ლარგვისი და დაბლა იყო ჩემი სოფელი. ხოდა, „ჩამოცურდა“...

ცხინვალში წავედით სასწავლებლად, თბილისს როგორ ვიკადრებდით – ცხინვალისთვის შეურაცხყოფა მიგვეყენებინა და სხვა ქალაქში წავსულიყავით? იქვე კი არ იყო, ცოტა შორს – ორი საათის გზა იყო. მერე მოკლე გზა გააკეთეს. ეხლა მთლად მოკლეა – აქეთ აღარ მოდიან საქართველოში, იქით გადადიან, ჯავისკენ.

მე ვმუშაობდი იქ განათლების განყოფილებაში, მეთოდისტადაც ვმუშაობდი, გაზეთის რედაქციაშიც. კიდევ, ობოლ ბავშვთა თავშესაფარში ვმუშაობდი, მერე [იქვე] დირექტორის მოადგილედ. 1999 წელს წავედი აშშ-ში, თითო-ოროლა ქართველი ვიყავით. მე ოცი წელი ვცხოვრობდი იქ, ისევე, როგორც ომის პერიოდშიც, მაგრამ არასოდეს მავიწყდებოდა ჩემი ქვეყანა, არ გამომიღია კარი და მზისთვის ისე არ შემიხედავს, რომ საქართველოს ცა არ გამხსენებოდა. როდის დავბრუნდები ჩემს ქვეყანაში, რომ აეროპორტშივე მიწას ვემთხვიო-მეთქი.

ამერიკაში ბევრ შტატში ვმუშაობდი, ძირითადად, ნიუ-ჯერსის შტატში. ისე, სხვა შტატებშიც ვყოფილვარ. ერთხელ, მეგობრები ნიუ-იორკში ვიყავით, მანჰეტენზე. შეხედე, რა დიდებული ცათამბჯენებიაო, მითხრეს. მე ვუთხარი, სულ არ მაინტერესებს, არ მიზიდავს ეს ყველაფერი, მე ჩემი ქსნის ხეობის ერთი გამორიყული ქვა მირჩევნია-მეთქი. არ ვიცი რატო, რატო მქონდა ესეთი შეგრძნება. ვკარგავდი, ვიცოდი, რომ უნდა დამკარგოდა. ვერა ვყვები ტირილის გარეშე, რა ვქნა, თავი როგორ ავიყვანო?!

აქეთ რაც შეეხება, იცით, რა ძალიან კარგი სიტუაცია იყო ახალგორში? ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი, ოსებს და ქართველებს.

ეხლაც, ახალგორელ ოსებს ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ [ჩემთან] და ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. ჩვენი შეხვედრა რომ დაინახოთ – წივილი და კივილი, სიხარული...

ახალგორში ომი არ დაწყებულა ადრე. იყვნენ რაღაცა დაჯგუფებები, ზვიადის დროს რომ დაწვეს რამდენიმე სახლი, მარა ისინი მარტო ოსებს კი არა, ქართველებსაც სდევნიდნენ, ისე, ოღონდ, ვიღაცის ბინა დარჩენოდათ ან რაღაცა. აი ასე ბევრი ოსიც გაუშვეს რაიონიდან. ძალიან დაგვწყდა გული. მასიური ომი არ ყოფილა.

ეს ომი არ იყო. როგორი ომი იყო, იცით? „მშვიდობიანი ომი" – არავის კლავდნენ, წყნარად უნდა ამდგარიყავი და წასულიყავი. ხოდა, ბევრგან მიმუშავია, ხო ვთქვი. მახსოვს, განათლების განყოფილებაში განსაკუთრებით ბევრი ოსი მუშაობდა. მათ შორის გვყავდა ერთი ზაური ხეთაგური, საკმაოდ კაი მამაკაცი, მაგრამ რაღაცნაირი დაბეჩავებული. მეუღლე გასცილდა, შვილი წაიყვანა და მაინდამაინც მოინდომეს რაიონიდან მისი გაშვება – იმიტომ, რომ ბინა ქონდა, თუ არ ვიცი, რა იყო. ერთ დღეს სისხამ დილით კარზე ვიღაცა მოსულა ჩვენთან. 7 საათია, ვიღაცა მიკაკუნებს, გამოვაღე კარი და... ზაური ხეთაგური. მობრძანდით, ბატონო ზაურ-მეთქი. ოჯახს ეძინა. არაო, რას ლაპარაკობო, მე აქ გავჩერდებიო?! მივდივარ ორჯონიკიძეში[36] და უნდა გამოგემშვიდობოთ, თქვენს ოჯახს უნდა გამოვემშვიდობოო. ხელში ეკავა ფატიმა და იბრაგიმის „სტატუები" (კოსტა ხეთაგურს[37] აქვს პოემა). ხოდა, სახსოვრად მინდაო, რომ ჩემგან გქონდეთო. გადამეხვია, გადამკოცნა. მეუღლეც გამოვიდა, ბავშვებიც, სულ ყველას დაგვემშვიდობა და წავიდა. რა იქნებოდა ახლა, ეგ არ მომხდარიყო. იქნებ ეგ გახდა საფუძველი, რა დღეშიც ახლა ჩვენა ვართ.

აგვისტოს ომი

ამერიკაში ყველამ გაიგო ჩვენს ომზე. ისეთი ამბები იყო – შიში, პანიკა... ტელეფონით დღეში სამჯერ, ოთხჯერ ვრეკავდით ოჯახებში. შვილებმა დამირეკეს და შემატყობინეს ომზე. ტელევიზორშიც სულ გადმოსცემდნენ, ამერიკის ტელევიზიები. დიდი თანაგრძნობა იყო ამერიკელების მხრიდან.

ისედაც, ამ 20 წლის მანძილზე, სადაც გაიგეს რომ საქართველოდან ვარ ან სადაც კი მიმუშავია, შემეკითხებოდნენ ხოლმე, საიდან ვიყავი, და რომ ვიტყოდი „ჯორჯია", დავამატებდი ხოლმე, რომ „ჯორჯიის" შტატიდან არა ვიყავ. მერე მეკითხებოდნენ „რაშენ ჯორჯია?". არა, რუსეთის ჯორჯია – არა! და ვუხსნიდი: საქართველოსი ვარ, რუსეთისა არა ვარ და, ესე იგი, იმხელა პატივისცემა მოდიოდა,

36 ვლადიკავკაზი, ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკის დედაქალაქი, რუსეთი

37 ოსი მწერალი. აქ იგულისხმება მისი ცნობილი პოემა „ფატიმა"

ძალიან პატივს გვცემდნენ, ძალიან პატივს. აი, რაღაცნაირი მოწიწებით იქცეოდნენ. ეგონათ, რომ სიმღერაც ვიცოდით, ცეკვაც ვიცოდით; მე კიდე პიანინოზე დაკვრაც ვიცოდი, ლექსებსაც ვწერდი. იმათ უკვირდათ, რატომ ვიყავი მე იმათთან, ასეთი დიდებული ქვეყნიდან.

ომიდან ზოგმა რაიონებს მიაშურა, ზოგმა სანათესავოს, ზოგმა მთას, ზოგმა ტყეს. ჩემმა ოჯახმა თბილისს შეაფარა თავი, თბილისში მქონდა ნაყიდი ბინა უმცროსი შვილისთვის მარჯანიშვილზე და ყველა იქ მოთავსდა.

მე დედასაგან ვიცი: სოფელში რო შემოვიდა ჯარი, ტყეში გავიქეცითო, ასე თქვა, და იქიდან ვუყურებდით, სოფელში რა ხდებოდაო. ერთი საბანი წავიღეო და ორი ღამე კი მეძინა ტყეშიო. მერე ძაან ცუდად გავხდი, დავიღალეო და უთქვამს: რომც მომკლან, მე ჩემს სახლში უნდა ჩავიდეო და ტყიდან ჩამოვიდა სახლში. როგორია ამის გაძლება?!

თბილისიდან მერე ჩემი შვილიც და მეუღლეც დაბრუნდნენ წეროვანში. აქ მუშაობენ გამგეობაში. თბილისიდან უჭირდათ სიარული და სხვა გზა არ იყო, აქ დასახლდნენ, ბინის პრობლემა კი არ იყო! თუმცა, აქ უნდა ყოფილიყვნენ, აქ უნდა ემუშავათ. ძაან კარგი გააკეთეს, რომ ჩვენს ხალხში დარჩნენ.

ჩვენ არაფერი წამოგვიღია, შეხედე ჩემს სახლს, ხედავთ რამეს? ოჯახში ახლა არ გვექნებოდა რამე? რამდენი წლის ოჯახი მქონდა, რაღაცა ნივთს, მაგიდას მაინც ხო ჩამოვიტანდი და სკამებს, [მაგრამ] არაფერი!

ყველამ წამოიღო ყველაფერი. აი, მეზობლები მყავს, იქ სახლებიც გაყიდეს და ავეჯიც; ორი-სამი გზა გავაკეთეო – მეზობელი მეუბნებოდა. ჩემმა უფროსმა შვილმა მითხრა, დედა, რო დავინახო, რომ გაყიდოო ის ბინა, ცეცხლს დავასხავ და დავწვავო, არც ჩვენ და არც იმათო – ძაან მკაცრად გამოგვიცხადა. ორი ბიჭი მყავს, უფროსი ჩემს ოჯახში ცხოვრობს, უმცროსი ცალკე ცხოვრობს.

დედას სახლში არასოდეს ცხოვრობდა ვინმე [ოსი ეროვნების]. ჩემს სახლში ეხლაც ცხოვრობენ. ჩემს სახლში იბარტყა იმ ოჯახმა... ჯერ მხოლოდ ერთი ქალი, ფატიმა ცხოვრობდა, რომელმაც ორჯონიკიძიდან გადმოიყვანა თავისი ორი შვილი. ერთმა ვერ აიტანა საქართველოში ცხოვრება და უკან დაბრუნდა, მეორე – დაოჯახდა, შვილიც ყავს. გამოაღებს თურმე სარკმელს ეზოში და თუ ვინმე დარჩა ქართველი (ერთი-ორი ოჯახიღაა), მაღლიდან უყვირის, ძაღლის ენაზე ნუ ლაპარაკობთო. ხო, ძაღლების ენაზე ნუ ლაპარაკობთო. ეს სხვებმა მითხრეს, მე კი არ მომისმენია, და ამას ადასტურებს ყველა ახალგორელი, რო ძალიან აგრესიულია ქართველების მიმართ.

ძალიან ბევრი წიგნი გვქონდა და შემოგვითვალეს, წიგნები წაიღეთო. ის კი არ შემოუთვლიათ, რომ ავეჯი წაიღეთო, ლოგინიო... მაინცდამაინც წიგნებთანა ქონდათ საქმე, აი, ქართული წიგნები უნდა მომეცილებინა იქიდან.

ჩვენს უბანში ჩემი ბიძაშვილია, მარტოხელა, ჩემი ასაკის ქალი. ხშირად ვრეკავ აქედანა და ვეკითხები „მანანა, გაიხედე, ჩვენი სახლი დაინგრა?“ ვიყურებიო და ნახევარი გადაინგრაო, სადაც თაროები გქონდათო, წიგნები გადაცვივდა ეზოშიო. ის წიგნები ავკრიფეო, არ ინერვიულოო, იმ გადანგრეულ ადგილზე გავაკარი ცელოფანიო.



მე [ფოტო]სურათები არ დამიკარგია, აი, არაფერი არ დამიკარგია, მაგრამ ზოგს საერთოდ აღარა აქვს. სულ ყველა სურათი მაქვს, „ვაკოპირებ“ და მეგობრებს ვუგზავნი, რომელთაც სულ დარჩათ ყველაფერი, როცა გამოვიდნენ. ყველაფერი მაქვს ბავშვების – 6 თვისა, 2 თვისა რომ მყავდა, ფეხი რომ აიდგა...

სახლში დაბრუნება

[ამერიკიდან] 2009 წელს დავბრუნდი სამშობლოში, მაგრამ ისეთ სამშობლოში არ დავბრუნდი, როგორშიც მე ვოცნებობდი. დავბრუნდი შეურაცხყოფილი – თავმოყვარეობას რომ ძალიან შეეხნენ. რომ ჩამოვედი, ჩემები უკვე წეროვანში იყვნენ შემოსახლებულები. ჩემი შვილები დიდები იყვნენ უკვე, პატარას ცოლი ყავდა. როცა წავედი, სკოლაში დავტოვე და რომ ჩამოვედი, ხელში გოგონა ეკავა.

ერთხელ რაიონში წავედი. ახალგორის რაიონში რომ შევედი, ჩემი სახლის ფანჯრიდან ოსი ფატიმა იყურებოდა. საერთოდ ფიზიკურად ვარ ძალიან ძლიერი. არასოდეს ცუდად არ გავმხდარვარ და რა დამემართა, არ ვიცი, გავითიშე. რა თქმა უნდა, მომიყვანეს გონზე. ავედი ჩემს სახლში, [მაგრამ] იქ არაფერი დამინახავს – იმიტომ კი წავედი, რო რამე წამომეღო იქიდან, თუნდაც პირველადი ნივთები, ჩემი ნივთები, ჭურჭელი, რაღაც წამომეღო, პირსაწმენდები, თეთრეული... არ დამინახია, ვერ დავინახე, ისეთი შეურაცხყოფილი ვიყავი და ერთი სული მქონდა, დამეტოვებინა რაიონი.

გარეთ კი ვინც დავინახე ქართველი, სიცილით და კისკისით მოდიოდნენ ქუჩაში. ვიცი, უზრდელობაა, მაგრამ არ მივესალმე. ჩემი ნაცნობები იყვნენ, ჩემი ძაან ახლობლები – არ მივესალმე! ამერიკაში ვიყავი ამდენი ხანი, არ მენახა ამდენი ხალხი ამდენი წელი და გავბრაზდი, როგორ იცინიან-მეთქი, რა უხარიათ ამ ოკუპანტების გვერდით-თქო. მოკლედ, არაფერიც არ წამომიღია.

მერე დედაჩემს მოუნდა წასვლა. სოფელი გვაქვს კიდევ, იქნებ ავიდეთ და დავხედოთო. რაიონში აღარ მქონდა სურვილი დარჩენის, იქ რომ ოსი ფატიმა ცხოვრობდა ჩემს ბინაში. წავედით დედას სახლში, ჩემმა ძმამ წაგვიყვანა, სოფელი ლარგვისია. მივედით ეზოში, რამდენი ხანი არ მენახა, 10 წელი არ მენახა ჩემი დედის სახლი, სადაც მე გავიზარდე. დედას ვუთხარი, ნახე, რამხელა გამხდარა ტყემალი-მეთქი. ხელი ავწიე, უნდა ჩამომეწოდა ტოტი და მეზობლის აივანზე დავინახე რო ისხდნენ რუსის ოფიცრები. აი, ისე გამიშეშდა ხელი... მოვტრიალდი უკან და ჩემი ძმა მეუბნება, ეხლავე წავიდეთ უკანო. არაფრად მისცა დედას იმის საშუალება, რომ სახლში შესულიყო. აი, აქიდან იმსიშორე მანძილზე ასულები სახლში ვერ შევედით, გამოვტრიალდით უკან. მოვდივართ უკან და ჩვენთან არის მდინარე ქსანი, გააჩერა ჩემმა ძმამ ქსანთან და უყურებს ცერად თვალით, რაღაცნაირად – ხედავო, მე მეუბნება, ხედავ დაიკოო, ქსანსაც კი არ უნდაო ქვემოთ წამოსვლაო, როგორ უძნელდებაო, როგორ დათრგუნულა მდინარეცო. ხოდა, [ჩემზე] ისე ძალიან იმოქმედა... ჩემი ძმა ცოცხალი აღარ არ არის, [მაგრამ] აი ის თვალები ისევ ჩემშია, რომ აი, ქსანსაც კი არ უნდაო, რომ წამოვიდესო.

მაშინ ჩემს ძმას „ნივა“ ჰყავდა. ხალხი რომ გამოვიდა, ცოტანი დარჩნენ სოფელში და ვინც გარდაიცვლებოდა ხოო (ჯვარი გვწერია!), დაურეკავდნენ: „თემური, უნდა წამოიღო ჩასასვენებელი“. ამბობდა, რომ მიმქონდაო, იქ, გამშვებ პუნქტთან დახედავდნენ და დაარტყამდნენ რუსები: „პუსტოი!“[38] რა უნდა ყოფილიყო, აი ახლა იმ კუბოში,

38 ცარიელი (რუს.)

„პუსტოი“... და ხო, ბოლოს თვითონაც იმ ჩასასვენებელში ჩაწვა, მაგრამ იქ არა, თბილისში დავასაფლავეთ, ვერის სასაფლაოზე და ჩემი დედაც იქ არის.

შემდეგ, რა თქმა უნდა, მე ისევ წავედი ამერიკაში და იქიდან რაც შემეძლო და როგორც შემეძლო, ყველას ვეხმარებოდი ეკონომიურად. [აქ] ერთი თვით ვიყავი ჩამოსული და დავბრუნდი. ვერ წარმოვიდგინე აქ ყოფნა. რანაირად უნდა ვყოფილიყავი აქ? აქ გაშლილი სივრცეა და აი, გეკითხებით, რა დავინახო? აი, ვერაფერს ვერა ვხედავ. წეროვანში გაშლილი სივრცეა. ერთადერთი, თუ მარჯვნივ გავიხედავ, იქ[39] აღმართულ დიდ ჯვარს ვხედავ. თითქოს, ესეც სიმბოლურია, რომ უნდა პირჯვარი გადავიწერო და ვილოცო, რომ ღმერთმა მაღირსოს იმ ხეობის დანახვა, მაგრამ მე ჩემ ბუნებას ვერ ვხედავ, ჩემს ხეობას, ჩემს სოფელს, ვხედავ [მხოლოდ] ჯვარს.

ამერიკიდან ვეხმარებოდი ყველას, თუკი გავიგებდი, რომ ვიღაცას ან შვილი ყავდა ცუდად, ან რაღაცა უჭირდა ეკონომიურად, სახლში რაღაცას ვერ აკეთებდა, საშუალება არა ქონდა, რომ ეარსება... რამდენსაც დამირეკავდნენ, ვუგზავნიდი. მე გადავარჩინე ოჯახი ამერიკიდან. მაგრამ განა სხვები არ გადარჩნენ? ყველას ოჯახიდან ხო არ იყვნენ ამერიკაში?

ჩემმა მეუღლემ იცის ხოლმე, რომ ჩვენი ოჯახი რომ ოჯახად დარჩა და სხვის თვალებში და ხელში შემყურე არ გახდა, ეს შენი დამსახურებაა. და მეც ზუსტად ამიტომ წავედი ამერიკაში. ზუსტად 1999-ში წავედი. მაშინ არც ომი იყო და არც არაფერი, მაგრამ შიმშილით იხოცებოდა ხალხი და მეთქი, ოჯახს გადავარჩენ. ომი რომ დაიწყო, მერე ხომ არ გამოვიქცეოდი? უფრო მივტრიალდი, რო ოჯახს დავხმარებოდი, დეიდებს, მამიდებს, ძმას. დედაჩემი „თოვლის პაპას“ მეძახდა. თოვლის პაპა ხარო, ამდენს რომ გზავნიო. სულ ყველას ვეხმარებოდი აბსოლუტურად.

რასა გავდა, იცით, ეს რაც მოხდა? მაპატიეთ და, სიკვდილს! ადამიანი რომ მოკვდება და აღარ ეშველა ამ საკითხსა არაფერი, მე ესე ვთვლი. აღარ დაადგა საშველი არაფერს! არაფერი არ არი! მე აგერ უკვე ასაკში ვარ. ნეტა, ჩემ შვილიშვილებს, ჩემი შვილიშვილის შვილს ეღირსოს ჩემს ხეობაში შესვლა. ამაოებაა სულ ყველაფერი; არ მინდა, არც კარი, არც სიმდიდრე. აქეთ არ მინდა, ჩემს სახლში მინდა, ჩემს სახლში! სადაც გავიზარდე, სადაც ჩემი შვილები გავზარდე, სადაც მგონია, რომ დედაჩემი ისევ კარებს გამიღებს, იქ მინდა. თორე ამერიკის მოქალაქე ვარ, თავისუფლად შემიძლია ეხლაც რომ წავიდე – ბინასაც მომცემენ, იმიტომ, რომ ასაკში ვარ უკვე, 70 წლისა

39 ზედაზნის მთაზე

უნდა გავხდე მომავალ წელს; მომცემენ კვების ბარათებს, სოციალურსაც აძლევენ, როცა დაბალი პენსიაა, უმატებენ და სრულიად უზრუნველყოფილი ვიქნები და რაა?

16 წელი გავიდა მას შემდეგ. ჩემი მეუღლე მაშინაც იძახდა, რომ არაფერი არ წავიღოთ სახლიდან, არც საწოლი, არც ლოგინი, არც არაფერიო. ჩვენ დავბრუნდებითო და ასე ამხნევებდა ხალხს. ყველას ასე ამხნევებდა, ნუ გეშინიათ, ეს დროებითია, მალე დავბრუნდებითო. ვიტყოდი ხოლმე, სერიოზულად ვერ აღიქვა ამ კაცმა რა ხდება-თქო, აბა, სად დავბრუნდით? როდისღა დავბრუნდებით? უკვე ბავშვებშიც ისეთი განცდაა... არ არის კარგი, რაც ხდება, მაგრამ ხდება. რატო ხდება? ჩემი პატარა შვილიშვილის ბრალი არ არის, რომ მასაც ენატრება, რადგან ხედავს, რომ ჩვენ გვენატრება ჩვენი მიწა. ბავშვები ერთმანეთში ლაპარაკობენ ხოლმე, ისეთ რამეებს ამბობენ, რომ ჩვენ ალბათ დიდებიც ვერ ვიტყვით. ფანტაზიები აქვთ საოცარი, შვილიშვილებს, პატარებს. შვილიშვილს სულ ვცდილობ ჩავუნერგო, არ დაავიწყდეს და ვეუბნები: ბებია, ბებიკო, შენი პაპა დაიბადა ახალგორში, იყო ასეთი სოფელი მშველიეთი. აბა, გაიმეორე, ბებო. ხო, ჩემი პაპა იყო სოფელი მშველიეთიდან. გადის რამდენიმე ხანი და ვეკითხები: ბებო, აბა, პაპა სად დაიბადა? პასუხი: შვეიცარიაში... არ ახსოვს. მერე მეუბნება, ბებო, შვედეთში. არა, ბებო, ვეუბნები და ვუსწორებ.

მუსიკალურ სკოლაში დადის. ერთხელ, იქიდან რომ გამოვიყვანე, ვიღაც ახალგორიდან ჩამოსული შემხვდა და ბავშვისთვის რუსული კამფეტები მომართვა. ჭამე, ძალიან გემრიელია-მეთქი. გამომართვა, ჭამდა და მივაყოლე, ძალიან გემრიელია, რუსულია-მეთქი. ამის გამგონემ, ეს კამფეტი ხო მოისროლა და ხელიც კი გაიწმინდა.

აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა, აბსოლუტურად! ისევ ისეთ მდგომარეობაში ვართ, ისევ ნოსტალგია გვაქვს. ყველაფერი გაუფერულდა, აღარაფერი მაინტერესებს. მე ვერ ვეგუები, ვერ ვეგუები!

გამკლავება

იცით, ვერაფრით ვერ ვეხმარები ჩემს თავს. სად უნდა წაიღო ეს თავი?! რაღაც რო დამემართება, ხოო, ვეტყვი ჩემს თავს (ხანდახან ხელიც შემომირტყია) – რატო დამემართა? მაგრამ მერე მითქვამს: მე იმიტომ დამემართა, იმიტომ, რომ მე ვარ, მე! სხვას არ დაემართებოდა. ამიტომ არ უნდა ვცემო ჩემს თავს, არ უნდა შემოვარტყა. მე, მე ვარ და ასეთი ვარ, რა!

ვწერ, ვერთობი, არაფერს ღირებულს ვაკეთებ, უბრალოდ ვერთობი. ვწერ იუმორისტულ რაღაცებს, რომ ხალხი გავართო. ამერიკა-

შიც ასე ვიყავი. ვასწავლე ქართული სიმღერები ამერიკელებს, ჩემზე კარგათ მღეროდნენ და კონცერტებსაც ვატარებდი ხოლმე. იქიდან 8 წელია წამოსული ვარ და ნოსტალგია როცა აქვთ, მე მირეკავენ, რომ მდგომარეობიდან გამოვიყვანო. თუმცა, მე თვითონ ძალიან ხშირად ისეთ ცუდ ხასიათზე ვარ, ისეთ ცუდ განწყობაზე... მაგრამ როცა სხვას უჭირს, მაშინ მავიწყდება, რომ მე ცუდადა ვარ.

იქ რომ ვიყავი, ორმაგი დატვირთვა და სტრესი იყო. სულ ყველაფერი სულერთი გახდა, რა! იქ ჩემი ქვეყნის, ჩემი ოჯახის სიყვარული მეხმარებოდა ძალიან.

დაბრუნებაზე ფიქრი

ილუზიებით ცხოვრება არ მიყვარს – ხეობაში დაბრუნებასთან დაკავშირებით საერთოდ ვერა ვხედავ იმედს. აი, ვერ წარმოვიდგენ, როცა არ არის, რეალობა არ არის... ეს ისეთი მძიმე საკითხია, რომ ამის წარმოდგენა არ შეიძლება. დიდი მოხარული ვიქნები, თუ ვინმე დამარწმუნებს, რომ მე ვცდები. იმის არ იყოს, „ომში 9 ძე ყავდა, 9 ვაჟკაცი“[40] – მეც კი გადავულოცავდი დროშას შვილს, მაგრამ არც ეგეთი ბრძოლაა [ახლა] – მარაბდის ბრძოლას ვგულისხმობ.

ყველაფერმა, ყველაფერმა დაკარგა თავისი ეშხი. იმდენად აღარ მოდის ლამაზადაც ახალი წელი, ისე აღარ ბარდნის ნაძვებზე, ბეღურა ისე არ შემომცქერის დილით... იცით, ესე, დანით ესე მრგვლად გავაკეთებდი ხოლმე ფანჯარაზე და გავიხედავდი გარეთ. სულ სხვანაირად იყო ყველაფერი. აქ, წეროვანში, თოვლიც არ იცის. ერთი წამოუქროლებს და ერთ საათში აღარ არის, აიღებს ისევ. ზამთარს თოვლი უხდება, ზაფხულს – ბუნება. არც ბუნება გვაქვს და არც თოვლი. არც ზაფხული და არც...

განსხვავებაა – იქ რომ გამოვდიოდი გარეთ, სულ ყველა ერთი ოჯახივით ვცხოვრობდით. აქ ყველამ გავაკეთეთ ბეტონის ღობე, შემოვღობეთ დიდი მესრით. ვერა ვხედავთ ერთმანეთს, ვერა ვხედავთ. მე არ მომწონს, არ ვიცი. მე არ მკითხეს, როცა ეს გააკეთეს, რატო გააკეთეს. აი, რა არის ეს, მეზობელსაც რომ ვერ ხედავ? ბეტონის ღობემ შეგვზღუდა უკვე ერთმანეთთან, კედელმა, ჩავბეტონდით. მაგრამ რას ლაპარაკობ, ჩვენს ხალხში ვართ მაინც. იცი, ეს რა არის? შვებაა – გამოაღებ ეზოს კარებს და მეზობელს ხედავ და დასახლებაც ისე მოხდა, ახალგორელები ცალკე დაგვასახლეს, ხეობელები – ცალკე. თუმცა, ზოგი ისე დაიმარხება ხოლმე ახალგორელი, რომ ვერც ვიგებთ. ახალგორში ეგეთი არ იყო – ზარივით გაისმოდა იქ ხოლმე კარგი ამბავიც და ცუდი ამბავიც. აქ ვერც ვგებულობთ.

40 იგულისხმება ცხრა ძმა ხერხეულიძე, 1625 წელს მარაბდის ბრძოლაში გმირულად დაღუპული მებრძოლები

იქ ჩვენი წინაპრების საფლავზე მივდიოდით ხოლმე. დედა-ჩემი 86 წლის ასაკში გარდაიცვალა [აქ]. სასაფლაოებიც სოფლების მიხედვით არის: აქ ახალგორელები ვართ ზემოთ. იქ – [დედა-ჩემის] სოფელი ლარგვისია. ხოდა, თავზე შემოირტყამდა ხოლმე [დედაჩემი] – სად ვიმარხები, სად უნდა დავიმარხოო; მეკითხებოდა, აქ რატომ უნდა დავიმარხოო...

თან, ისეთი კაი საფლავი გვაქვს იქა, რომ ნამდვილად, ღმერთო მაპატიე, დიდი სიამოვნებით დავსაფლავდებოდი იქა, ლარგვისის სასაფლაოზე. აი აქა, რამდენჯერაც ვიყავი, ვაიმე, ტირილით წამოვედი, ერთი და იგივეს ვიმეორებდი: ხალხო, მიწაც კი არ არის, რომ მიწა დაგვაყარონ ამ ლტოლვილებსა. თეთრი ქვიშა, თეთრი ქვიშა, მეტი არაფერი...

მე აღდგომას თბილისში მივდივარ ხოლმე, სადაც ჩემი დედა, ჩემი ძმა და ჩემი ძმის შვილი, 14 წლის გოგონა არიან დასაფლავებულები. მაგრამ ჩემს ქმარს წასასვლელი არსად აქვს. [მისი] და ცხინვალშია დაკრძალული, დედა და მამა – ახალგორში. ამ წელს იტრიალა, იტრიალა და გაახსენდა, რომ კასპში ყავს ბებია და მთხოვა, მოდი, კასპში წავალო (ისე უნდოდა შინაურის საფლავზე წასვლა) და წავედით.

რა არის იცით, დროთა განმავლობაში, თითქოს, იმ წვალებას, ნერვებთან და დაძაბულობასთან ერთად, ის განცალკევებაც მოგვინდა, გათითოკაცება. სულ შეიცვალა ჩვენი აზროვნება, ჩვენი მენტალიტეტი. ხუთი-ათი წუთით ერთმანეთი თუ დავინახეთ გარეთ, მაგრამ მაინც, ხო ვიცი, რომ იქ ცხოვრობს ჩემი ძაან ახლო ნათესავი, აქ დედაჩემის ახლო ნათესავი, კარებს რომ გავაღებ, მაინც ხო ვხედავ. მე იმის მეშინია, რომ დავბრუნდეთ, იქაც ესეთი ღობეები არ გააკეთონ. გულიც გამისკდება, რომ დავბრუნდეთ და ესეთი ბლოკის კედლები გააკეთონ.

იცით რა არის, ოჯახის წევრები, ერთმანეთით, ნათესაობით, შვილიშვილებით ვარ და ყოველდღე გაფაციცებული ვუყურებთ ტელევიზორს, იქნებ, იქნებ, იქნებ, იქნებ, იქნებ დავბრუნდეთ... და ყოველდღე ერთმანეთი გაგვაქვს.

მ.ე.

ინტერვიუს თარიღი: 20 ნოემბერი, 2024

ცხოვრება აგვისტოს ომამდე

მე ვცხოვრობდი ფრონის ხეობაში, მაშინდელ ზნაურის რაიონის სოფელ ნულში. ჩვენთან კონფლიქტი დიდი ხნის წინ დაიწყო. ოთხმოცდაათიანების დასაწყისიდან სულ ომი მიდიოდა. ზოგმა არც იცის, სად მდებარეობდა სოფელი ნული ან თუნდაც ფრონის ხეობა. საიდან ხარო რომ მეკითხებოდნენ და ვეუბნებოდი, არ იცოდნენ. ომის შემდეგ იქიდან სამი ხეობის მოსახლეობა წამოვიდა: დიდი და პატარა ლიახვის, და ჩვენი.

1991 წლიდან, „ზვიადისტობა“[41] რომ გავიხსენოთ, აი, იქიდან მოყოლებული დაიწყო ყველაფერი. ნულელების რძალი ოთხმოცდაცამეტ წელს გავხდი. მაშინ არ შეიძლებოდა მხიარულების აღნიშვნა იარაღის გასროლით, ოსს და ქართველს შორის რამე კონფლიქტი რომ არ გამოეწვია. 2008 წლის ომამდე ოსების გარემოცვაში ვიყავით. ასე ვცხოვრობდით, კონფლიქტში, ანუ, სულ სროლები იყო, სულ დაპირისპირებები ქართველებსა და ოსებს შორის. კარგი ადამიანებიც იყვნენ ოსების მხრიდანაც და ისეთებიც, რომლებიც აგრესიას გამოხატავდნენ.

ზვიადის [პრეზიდენტობის] პერიოდში ჩემი ქმარი ოსებმა დაიჭირეს. მასთან კიდევ ორი მეგობარი იყო და ყველანი შიშველი ახოხიალეს თოვლზე – ზუსტად არ ვიცი, ექვსი კილომეტრი იყო, თუ რამდენი, მაგრამ რაღაცა კილომეტრები გაიარეს ხოხვით. ძალიან მძიმე დაჟეჟილობა მიიღო, ყბები ჰქონდა მომტვრეული და ტვინი შერყეული. ძალიან ბევრი ფსიქოლოგი და ნევროპათოლოგი დასჭირდა. იმ პერიოდში ცოტა პრობლემა ჰქონდა მეტყველებაზეც, თუმცა, ბევრი მკურნალობის შედეგად გამოასწორა ყველაფერი.

მძიმე მომენტები იყო, როცა ხალხს სოფლიდან იტაცებდნენ. გატაცებული, ალბათ, ერთი-ორი კვირა ჰყავდათ და მერე თანხის სანაცვლოდ ათავისუფლებდნენ. მაგალითად, ათი ათასი მანეთი უნდა მიეტანათ (რუსული რუბლი იყო მაშინ), რომ გაეთავისუფლებინათ.

შეაგროვებდნენ ამ ფულს, გადასცემდნენ და ასე გამოუშვებდნენ დაჭერილს. ვისაც პატრონი არ ჰყავდა, შეიძლება ცოცხალი აღარც კი გამოეშვათ. ეს პირველი არეულობის წლები იყო, „ზვიადისტობის“ პერიოდი. მე რომ გავთხოვდი, მაშინაც არ იყო სოფელში სიმშვიდე.

პირველი არეულობის მერე ზნაურის რაიონი თითქმის მთლიანად დაიცალა და დარჩა ორი სოფელი: ნული და ავნევი. თავიდან

41 იგულისხმება ზვიად გამსახურიდიას პრეზიდენტობის პერიოდი (1991-1992 წწ.)

გვიჭირდა: საჭმელი იყო, მაგრამ ფული – არა. სხვანაირი სიტუაცია იყო. ოსების დაქვემდებარების ქვეშ ვიყავით. დავუშვათ, ბევრი ვაშლი გვქონდა, ბევრი ხილი. ოსები ადგილზე მოდიოდნენ, ხილს თვითონ აწყობდნენ და მიჰქონდათ. ვყიდდით ამ ყველაფერს, მაგრამ რა ვიცი... პიკეტირებული იყო ჩვენი სოფელი. ავეჯი რომ გვეყიდა და რაღაცა რომ გვნდომებოდა, ესეც უნდა გადაემოწმებინათ. ახლა როგორც არის ახალგორში შესვლა-გამოსვლა, აი ესეთ რთულ ვითარებაში გვიწევდა ცხოვრება. უნდა გაგვევლო ორი პიკეტი მაინც, ერთი ქართული, ერთი შერეული, ერთი ოსების და ასე შემდეგ. ვინც მოეწონებოდათ, გაუშვებდნენ, ვინც არ მოეწონებოდათ – არ გაუშვებდნენ. ამ დროს პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და ასე ვიარე მთელი ოთხი წელი. დასწრებულზე ვსწავლობდი. გორის პედაგოგიური მაქვს დამთავრებული. ჩემი სოფლელი მ. მუსიკის მასწავლებელი იყო. ერთად ვმუშაობდით სკოლაში, ძალიან კარგი ადამიანია. მცირე საკონდიტრო ჰქონდა და მთხოვდა, ჩემს მცხობლებს ასწავლე ნამცხვრების გამოცხობაო. კარგი ოჯახი მქონდა და არაფერი მიჭირდა საიმისოდ, რომ ნამცხვრები მეცხო და ამაში ფული ამეღო. თავიდან მოხალისედ მივდიოდი, მერე კი ეს საქმე მეც მოვინდომე. ტორტები გადაგვქონდა ცხინვალში და ჩვენი ნამცხვრები, მ.-ს ფუნთუშები, „ბულკებს“ რომ ვეძახით, იქ იყიდებოდა, სანამ ომი დაიწყებოდა. მთელ ხეობას მ. ამარაგებდა.

მეუღლე და სამი შვილი მყავს. ერთ-ერთი საუკეთესო, კარგი, შეძლებული ოჯახი გვქონდა. ნულის საჯარო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად 16 წელი ვიმუშავე. კარგი დამოკიდებულება მქონდა, როგორც ოსებთან, ისე ქართველებთან. სკოლაშიც მუშაობდნენ ოსი ეროვნების მასწავლებლები – მოსული რძლები. მოსწავლეები კი სულ ქართველები იყვნენ.

აგვისტოს ომი

2008 წლის ივლისში ჩვენს სოფელში ჭურვები ისროლეს და დაზარალდა ორი ოჯახი – დაენგრათ სახლები. ჩვენ გვეგონა, რომ ეს იყო იმათგან დადგმული მორიგი სცენარი და გაივლიდა ყველაფერი, მაგრამ... პირველი ჭურვი ჩვენს სოფელში გავარდა. ცხოველები დაიჭრნენ. სადაც ჭურვი დაეცა, ის ადგილები განადგურდა. ორიდან ხუთ აგვისტომდე „პადვლებში“ ვიმალებოდით. ხალხში წამოვიდა პანიკა, რომ უნდა დავცალოთ სოფელიო. წარმოშობით ქარელის რაიონიდან ვარ, სოფელ რუისიდან. ჩემი ბავშვები კი გამოვიყვანე მშობლების ოჯახში, მაგრამ მე არ დავტოვე ჩემი ქმარი და ოჯახი ნულში. ოჯახში დედამთილ-მამამთილიც მყავდა. ბავშვები

სამ აგვისტოს გავიყვანე, მე ხუთში გავედი. იმ დროს პრეზიდენტი სააკაშვილი გახლდათ და ჩვენ არ მოველოდით ასე დამანგრეველ ომს, იმიტომ, რომ ვითარდებოდა ქვეყანა. მაშინ შემოვიდა სოფელში წყალი, გაზი, შუქი, ინფრასტრუქტურა, საბავშვო ბაღი – ეს ყველაფერი გააკეთეს. კომპიუტერული სისტემები შემოვიდა სკოლაში. ასე გვეგონა, სროლები დამთავრდებოდა და ყველაფერი გაივლიდა. მე არ ველოდი, რომ სოფელს დავტოვებდი, იმიტომ, რომ 2008 წლამდე ყოველთვისაც განვიცდიდით ასეთ ზეწოლას. მიჩვეულებიც ვიყავით უკვე. ვთვლიდით, რომ დამთავრდებოდა, შეწყდებოდა.

ბავშვები გამოვიყვანე დიდი სტრესის ქვეშ, ძალიან შეშინებულები, იმიტომ, რომ სულ ზანზარებდა ყველაფერი. აი, მართლა ფილმებში თუ მინახია და რეალობაში ვერც წარმოვიდგენდი, რომ ეს ასე იქნებოდა. ავტობუსები იყო ხოლმე, ყვითელი „პაზი“. მანქანაც გვყავდა, მარა მანქანით ვერ გამოხვიდოდი. ყველაფერი ჩაკეტილი იყო და უშვებდნენ მხოლოდ სოფლის მარშრუტკებს და ამ ავტობუსებს. ბავშვები ჩავსვი, უკვე სხვა გზა არ მქონდა, ოღონდაც გამომერიდებინა სოფლიდან. იქით დახვდნენ ჩემი მშობლები და გადაიყვანეს ბავშვები. მე ნულში დავრჩი, მაგრამ ისეთი გაუსაძლისი იყო ყველაფერი... ეს შეძლებული ჩვენი ოჯახიც იმდენად შეიცვალა იმ სამ დღეში, რა ვიცი... აი, ეს ემოცია ძალიან დიდია. სულ რაღაც ხუთ დღეში საჭმლის ფულიც აღარ გვქონდა, აღარც საჭმელი იყო სახლში, არც არაფერი. [ამის გახსენებაზე] მეტირება ყოველთვის. ამხელა ბარაქიანი ოჯახი ნული გახდა. აქ საჭმელში არ არის საქმე, ნული გახდა იმიტომ რომ შიშის სინდრომი იყო და ყველაფერი ინგრეოდა ჩვენს თავზე, ყველაფერი ნადგურდებოდა.

ხუთი რიცხვი იყო, შემოვიდა ჩემი ქმარი და მითხრა, შენც უნდა დატოვო სოფელიო. ხედავდა, რომ აფექტურ მდგომარეობაში ვიყავი და მითხრა: შენ აქ ვერავინ მოგხედავს, ვერც სამედიცინო დახმარება, ვერც ვერაფერი; გატყობ, ძალიან ცუდადა ხარ და უნდა დატოვო აქაურობაო; ბოლო ავტობუსი გადის, ყვითელი ავტობუსი და უნდა წახვიდეო. და იძულებული რომ გავხდი, წამოვედი. ჩემი მეუღლე და ოჯახიც იქ დავტოვე. გამოსვლის წინ შევბრუნდი და კიდევ ერთხელ დავათვალიერე ყველა ოთახი, კარგად რომ დამმახსოვრებოდა, რადგან გამახსენდა, რომ აფხაზეთიდან დევნილები ვეღარ დაბრუნდნენ. ჩემმა მეუღლემ მითხრა, სადაც ჩემი ხალხია, მეც იქ უნდა ვიყო, ჩემს ბიჭებს და ჩემს სოფელს ვერ დავტოვებ, ეს ღალატის ტოლფასია და შენ კი უნდა წახვიდეო. მას იქ ყველა იცნობდა, კარგი სახელით სარგებლობდა. ჯარში არ მსახურობდა, არც მოხალისე იყო, უბრალოდ სოფელს იცავდა. ხალხს თავდაცვა

სჭირდებოდა, ამიტომ, ზოგს იარაღიც ჰქონდა. სოფლის ხალხმა მნიშვნელოვანი პოსტები კი დაიკავა, მაგრამ ექვსში მირეკავს ჩემი მეუღლე და მეუბნება: ანძებიც გაითიშა, მე ისეთი ადგილი შევარჩიე, საიდანაც დაგიკავშირდებოდი, მაგრამ აღარც აქ მოდის ხმა და იცოდე, არ ინერვიულო, რაღაცა იქნება, რაღაცა შეიცვლებაო...

მერე სულ მქონდა კონტაქტი. შვიდში ვურეკავ მეგობარს – ჩემი თანამშრომელი იყო, სკოლის. მეუბნება: ისეთი ამბავია, ვინც დავრჩით სოფელში, „პადვალში“ ვსხედვართ და განძრევის თავი არ გვაქვსო. აი, გზადაგზა მოდის ჭურვებიო და არ ვიცი, რა იქნება, შეიძლება სულაც ამოგვწვან ამ „პადვალშიო“. ერთ-ერთი ოჯახის „პადვალში“ იმალებოდა მთელი სოფელი, ცენტრალურ ადგილზე, მაგრამ 7 აგვისტოს უთხრეს, აქ ყველა მოკვდებით, უკვე აღარავის ინდობენ და უნდა წახვიდეთო.

დედამთილი, ჩემი მეუღლე, მული და მულის ქმარი, აღარ მახსოვს, მგონი, ფეხით წამოვიდნენ. მერე რაღაც ტრანსპორტი დაეწიათ გზაში. რაღაც ადგილამდე გადმოლახეს საზღვარი. მახსოვს, 7 აგვისტოს ღამე იყო და მე უკვე რუისში ვიყავი შვილებთან ერთად. ესენი ღამე მოვიდნენ განადგურებულები. რომ ვეუბნებოდი, სროლები აქაც ისმის-მეთქი – ეს რა არის, ეს იმასთან შედარებით, არაფერიაო; ჩვენ მეტი არაფერი გვინდა, მშვიდად დაგვაძინა ერთი-ორი საათი მაინც, რომ აღვიდგინოთ ენერგიაო... მთელი სამი დღე-ღამის უძილოები იყვნენ. საკუთარ თავს აღარ ჰგავდნენ! ადამიანური ფაქტორი იქ უკვე აღარ იყო – ჩაცმულობით გინდოდა, თავის მოვლით გინდოდა... ძალიან ცუდად იყვნენ.

ჩემი მამამთილი დარჩა სოფელში, ვერ დატოვა თავისი 50-60 წლის ნაშრომი! საწყალი, ოთხმოცი წლისა გარდაიცვალა, ვეღარ გაუძლო ამ სისასტიკეს, რასაც თავისი თვალით უყურა – როგორ გაიტანეს ჩვენი სახლიდან ავეჯი, როგორ გაირეკეს საქონელი, როგორ დაანგრიეს ყველაფერი, როგორ აკუწეს გინდაც „ჟეშტი“[42], რკინის კარები, ღობე, ხეივანი... სულ ყველაფერი აჭრეს, ყველაფერი წაიღეს. ისეთი რაღაცები მოყვა და ისეთი რაღაცები გადმოგვცა, რაც იქ ხდებოდა... როგორ ყრიდნენ ჭებში ძაღლებს და ცოცხალ ცხოველებს, რომ იქ აღარ დაბრუნებულიყო ადამიანი, აღარც წყალი დაელია და აღარც ეზოში შეეხედა. გადაღებულია კადრები და ორმოცდაათი წლის ნამოსახლარსა ჰგავს, ნანგრევებს ჰგავს, ქუჩაში ვერ გაივლი – უკვე ბალახი და ნარ-ეკალია ამოსული და აღარაფერი არსებობს, ფაქტობრივად.

42 თუნუქი (რუს.)

ლამაზი იყო ფრონის ხეობა და მართლა იმდენად კარგი, აი, ყველა რომ ნატრულობდა, ამ სოფელში რაღაცა ჰქონოდა თავისი. შეძლებული ხალხი იყო და ერთმანეთზე უკეთესი მაცხოვრებელი. მშობლიური სოფელი ენანებოდა ჩემს მამამთილს და არ გამოდიოდა ომის მიუხედავად. ბაღში ჰქონდა „მალინა“[43] და იმის ბუჩქებში იმალებოდა. არ ვიცი, რატომ ვერ ამჩნევდნენ, ან იქნებ ამჩნევდნენ, ცნობდნენ, ეცოდებოდათ და არ კლავდნენ? არ ვიცი. ამას ვეღარ გავიგებ. ოთხასი ცალი კაკლის მურაბა მქონდა გაკეთებული და იმითი გაიტანა თავი. მურაბა ჭამა მთელი ერთი თვე, რაკი მეტი არაფერი იყო სახლში. ან რას მოიმზადებდა – არც ცეცხლი, არც გაზი, არც პროდუქტი, არაფერი საერთოდ და... გამოიპარა ესეც, ტყე-ტყე. ნიქოზზე წამოვიდა და ნახა, გზაში როგორ იყვნენ ჩვენი ჯარისკაცები. როგორც მერე ყვებოდა – დაჭრილები, თავმოკვეთილები, ხელგაგლეჯილები, ნატყვიარები, დიდი ხნის დაყრილები... მე ღამე მოვდიოდიო, ჩუმჩუმად, ფეხით, ისე, რომ არავის დავენახე და მოვეკალიო. მერე შეაფარა თავი ნიქოზში თავის დეიდაშვილთან. იქაც ძალიან გაუსაძლისი პირობები იყოო... რა ვიცი, იქაც ომი და სროლები... ნიქოზიც იქვეა, ცხინვალთან ახლოს.

8 აგვისტოს უკვე გორიც დაიბომბა. როგორც იცით, რუისი ახლოს იყო და იქაც ჩამოვარდა სამი-ოთხი ჭურვი, იქაც დიდი ქაოსი იყო, ხალხი ძალიან შეშინებული იყო და ჩვენ გავიქეცით დასავლეთისკენ მთელი ოჯახი.

43 ჟოლო (რუს.)

დროებითი საცხოვრებელი

თბილისში დავიკავეთ ადგილი ნუცუბიძეზე, სატყეოს შენობაში (მაშინდელი სატყეო დეპარტამენტი). შევედით და ვიცხოვრეთ. იატაკზე გვეძინა, ძალიან ცუდი სიტუაცია იყო. მერე „ლეჟანკები" მოგვცეს. რაღაც ორი თვის მერე ეტაპობრივად მოგვხედეს. მიუხედავად იმისა, რომ გვეხმარებოდნენ და ნაწილობრივ შემოდიოდა ინვენტარი და თუნდაც რაღაცა პროდუქცია, მაინც გაუსაძლის პირობებში ვიცხოვრეთ.

მოგვხედეს, რაც შეეძლო მთავრობას თუ რა ვიცი, ვინც გვეხმარებოდა. რაც მოდიოდა, ნაწილდებოდა, თუმცა ჩვენ ძალიან შეურაცხყოფილები და დამცირებულები ვიყავით, ჩვენი სახლ-კარიდან რომ აგვყარეს და ესე გამოგვყარეს... მთელი საქართველო დაგვიდგა გვერდზე! ოჯახიდანაც კი მოჰქონდათ ჩვენთვის ინვენტარი, ჭურჭელი თუ საჭმელი... ნათესავებიც დამიდგნენ გვერდზე. ერთი კვირა ვიყავით თუ ორი კვირა გორის დაბომბვის შემდეგ დასავლეთში და ბავშვები აქეთ მერე მოვიყვანეთ.

ცხოვრება ომის შემდეგ

ექვსი თვის მერე მოგვცეს წეროვანში სახლები – ახლა სადაც ვცხოვრობთ. პირდაპირ გადმოვედი და შვილებთან ერთად შევებრძოლე ამ ცხოვრებას წეროვანში. როგორც ყველას, ისე ჩვენც პატარა სახლი შეგვხვდა, ხუთი ჭიქა, ხუთი თეფში, ხუთი ჩანგალი... და აი ესე წვალებით მე და ჩემი მეუღლე ერთმანეთს დავუდექით გვერდში.

ამის მერე გავიდა 16 წელი. ფაქტობრივად, პირდაპირ ნულიდან დავიწყეთ ცხოვრება. რომ გადმოვედით, იმდენად საშინლად აღვიქვამდი ამ ყველაფერს – ქუჩებში ძალიან დიდი ტალახი... მარტო სახლები იყო სოკოებივით. რომ შემოვედი, ისეთი სიცარიელე იყო სახლში, წარმოუდგენელი სიცარიელე... მიუხედავად იმისა, რომ გაეკეთეს, როგორც შეეძლოთ, უცებ ააშენეს, დაგვიდგნენ მხარში. დავჯექი და რამდენიმე დღე ჩემს თავს ვუღრმავდებოდი, ვფიქრობდი, რა უნდა გამეკეთებინა. თითქოს, ყველაფერი დამთავრდა... რა ვიცი, ალბათ შვილებმა შემაძლებინეს და გამაძლებინეს. ამათ უნდოდა გვერდით დგომა, სულ ყველას.

დედა მყავდა, ძმა და დები... ყველა მეხმარებოდა, მაგრამ მე თვითონაც მებრძოლი ვიყავი და ჩემი მეუღლეც. აი, რაღაცნაირად ერთმანეთს ვუწყობდით ხელს. თავიდან რომ გადმოვედით, ერთი წელი შეგვინარჩუნდა ხელფასი, ანუ, ის ხელფასი, მე რომ სკოლაში ვმუშაობდი და ჩემი მეუღლეც იქ იყო დასაქმებული გამგეობაში. ამ ხელფასს ერთი წელი გვაძლევდა მთავრობა.

თითქოს ცხოვრება დამთავრდა. ძალიან ვნერვიულობდი – აქ არც ხე იდგა, არც ხეივანი იყო, არც არაფერი. ქარი იცოდა, ისეთი საშინელი ქარი, ფანჯრებში რომ ზუზუნებდა, საშინელება იყო, კოშმარი! თითო გამათბობელი დაგვირიგეს, მაგრამ ვერ ერეოდა ამხელა სახლებს, გვციოდა, ვერ ვთბებოდით. ასე მეგონა, რომ დროებით ვიყავით აქ. სულ გვეუბნებოდნენ, დროებითია, რაღაცა იქნება და თქვენ აუცილებლად დაბრუნდებით თქვენს სახლებშიო. იმედით ვიყავით: „აი შეხვალთ! აი, შეხვალთ!“ და რაღაცა მაძლიერებდა, დავბრუნდებით-მეთქი. არ მეგონა, თუ ესე დაინგრეოდა ყველაფერი. მერე როგორც გავიგე, ყველაფერი დაინგრა და განადგურდა და იქ შესვლას აზრი არ ჰქონდა... მაინც წავიდოდით და რაღაცას მაინც შევძლებდით, იმიტომ, რომ ძალიან მდიდარი სოფელი გქონდა, ხალხი მებრძოლი იყო, შრომობდა, აკეთებდა ყველაფერს.

რადგან სულადობრივად ბევრნი – შვიდნი ვიყავით, განაწილებისას ორი წილი გვერგო და ჩემმა დედამთილ-მამამთილმა აიღეს ერთოთახიანი სურამში. ჰო, იმ კაცმა იცხოვრა იქ რამდენიმე წელი. რა ვიცი, ალბათ ასაკობრივიც იყო, ის ნერვიულობაც დაემატა და გარდაიცვალა. კარგი ადამიანი იყო. ძალიან ბევრს გაუძლო.

თუ დაბრუნება იქნება, ისე მიყვარდა იქაურობა, მართლა დავბრუნდები, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან გვეშინია. აი, რა გადავიტანეთ, თქვენ არ იცით! ყოველთვის მეტირება, ვისაც ვუყვები ხოლმე, ყოველთვის ხმამაღლა, იმიტომ, რომ ძალიან მიყვარდა. ჯერ ერთი, ჩემი საქართველო იყო, ჩემი კუთხე და მეორეც, ვერ ვიტან საერთოდ, ვიღაც რომ გჩაგრავს და ვიღაც რომ გართმევს რაღაცას. ჩემიც იყო და ჩვენი იყო, ყველასი, ეს ყველაფერი. ჩემს ოჯახთან ერთად 16 წელი ვიდექი და ვშრომობდი, რომ უკეთესი და უკეთესი ვყოფილიყავი.

2008 წელს თორმეტი წლის მყავდა უფროსი შვილი, თერთმეტის მეორე და სამის მესამე. ისწავლეს ბავშვებმა, გზა გაიკვლიეს. ერთმა გოგომ სამედიცინო დაამთავრა, მეორე – ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში სწავლობს, სტუდენტია. ბიჭი კიდევ ჩვენთან ეწევა ბიზნესს. სეზონურად დავდივართ ხოლმე. ქობულეთი მოვიარეთ, მერე გუდაურში მივდივარ მზარეულად.

მასწავლებლობიდან მზარეულობაზე გადავედი, ეს ავირჩიე. ავირჩიე რა, ვერც წარმოვიდგენდი, რომ მზარეული გავხდებოდი, თუმცა, კულინარია ძალიან მიყვარდა. 2015 წლიდან მზარეული ვარ... უფრო ადრეც. 2012 წლიდან აქ რომ გადმოვედით, თავიდან სკოლაში ვმუშაობდი მასწავლებლად. ბევრი გამოცდა ჩავაბარე, ძალიან ბევრი კონკურენტი მყავდა და კონკურენციაც დიდი იყო, რადგან წეროვანში ჩასახლებულ ახალგორიდან დევნილებს ჩვენთან შედარებით მეტი

პერსპექტივა ჰქონდათ. რა ვიცი, რაღაცნაირად იმათ მიანიჭეს უპირატესობა, რომ ისინი უნდა დასაქმებულიყვნენ ჯერ და მერე ჩვენ – ფრონის ხეობა. სკოლაში მქონდა ცოტა საათები – სულ ექვსი საათი კვირაში და ვიფიქრე, რომ ამ საათებით მე ორი წლის მუშაობითაც ვერაფერს გავხდებოდი, იმიტომ, რომ ორასი ლარი ჩემთვის და სამი შვილისთვის ძალიან ცოტა იყო. ბევრი ტრენინგი გავიარე, ბევრი გადამზადების კურსი, თუკი სადმე შემეძლო რამე გამეკეთებინა და მაინც ვერსად ვიპოვე ჩემი ადგილი. ლიდერული ხასიათის ვარ, მიყვარს, როცა ვხელმძღვანელობ რაღაცას. მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჯობდა აქვე საკონდიტრო გამეკეთებინა, მაგრამ ვერ მოვიპოვე დაფინანსება და მზარეულად წავედი ბაკურიანში. ძალიან გამიჭირდა. მაშინ არ იყო სამზარეულო განვითარებული. ძალიან ვინერვიულე, რომ წავედი. პატარა ბავშვები დედას და დედამთილს ჩავაბარე, უნდა ვიმუშაო-მეთქი.

მე თვითნასწავლი ვარ – რაც ვიცი, ყველაფერი ინტერნეტით და იქ ჩემი მზარეულების დახმარებით ვისწავლე. რა ვიცი, მთლიანობაში კარგი მზარეული ვარ. სამუშაოდ სეზონურად მივდივართ ხოლმე. ახლა დავამთავრეთ ქობულეთი და ერთი თვის ჩამოსულები ვართ. სამუშაო სეზონზე ოთხი თვით გადავდივართ ახალ ადგილზე მთლიანი ოჯახი. რა თქმა უნდა, შვილებიც მეხმარებიან, კარგად საუბრობენ ინგლისურად, რუსულადაც და ხან თავის საქმესაც აკეთებენ. ბიჭი ჩვენ გვერდითაა, გვეხმარება და აქამდე ასე მოვიყვანეთ ჩვენი ოჯახი. არაფერი გვქონდა და არაფრისგან დავიწყეთ ყველაფერი. ამას ბავშვები ხვდებოდნენ და აანალიზებდნენ. კარგი ბავშვები იყვნენ, სულ თვალებში გვიყურებდნენ – რა გვწყინდა, რა გვსიამოვნებდა. ყველამ თავისი თავი და პროფესია იპოვა, დამოუკიდებლები არიან და ჩვენც გვერდში გვიდგანან. თუნდაც, დედისა და შვილის დაშორება რომ ავიღოთ, მე მივდიოდი სამუშაოდ ორი-სამი თვით ბაკურიანში, გუდაურში, ქობულეთში და მათ ესმოდათ, რომ უნდა დამეტოვებინა, რადგან სჭირდებოდათ განათლება, ჩაცმა და რაღაცა ყოველდღიური ცხოვრებისთვის. მთავრობაც და ხალხიც ხელს გვიწყობდა პროექტებით. იყვნენ ისეთი კარგი ადამიანები, რომლებიც გვაძლევდნენ იმის შემართებას, რომ რამე გვემოქმედა. ხომ ხდება, ბევრს ეწვალები და რაღაც გამოგდის, რაღაც არ გამოგდის. სიახლეებისადმი პოზიტიურად განწყობა შედეგიანი აღმოჩნდა – იყო შვეიცარიულ კომპანია, რომელსაც ჰქონდა პროექტი „დავეხმაროთ ომგადახდილ ბავშვებს“ და კონკურსში მივიღე მონაწილეობა. სამოცი კონკურსანტი იყო. ჩაგვიტარეს ტესტირება და რაღაცა ვარჯიშებიც შეგვასრულებინეს. გავიმარჯვე და პირველი

ანიმატორის წოდება მივიღე. სულ ოთხი ანიმატორი ვიყავით, კარგი ანაზღაურებაც იყო – სამ საათში ექვსი დოლარი. იმ დროს დოლარის ეკვივალენტი კარგი ანაზღაურება იყო. ეს შემორჩენილი სკოლის მასწავლებლის ხელფასიც მომყვებოდა ერთი წლის განმავლობაში. ერთი სიტყვით, თანხა არ მიჭირდა. ყველა გვეფერებოდა, ყველა ალბათ გვიბრალებდა კიდევაც, მარა არ გამოხატავდნენ რომ ვეცოდებოდით და რაღაც მოტივაციას გვაძლევდნენ. ახლა ყველა გაკვირვებულია დღევანდელი ცხოვრებით წეროვანში. ვინც მოდის და ნახულობს, ჩვეულებრივი დასახლებაა, სხვებზე არანაკლები. ბევრ სოფლებსა და ბევრ რაიონებს ჯობია კიდეც. რა ვიცი, ყველაფერია, ქსელური მაღაზიები გინდა თუ რა, ყველაფერი გვაქვს. ისე აღარაა, ადრე რომ სოკოებივით ჩანდა სახლები. ახლა ბევრი დასაქმებული გვყავს. კარგი ბევრი უნდა დავინახოთ. არასდროს მინდა ნეგატივის პოვნა, იმხელა რაღაცა გამოვიარე, მარა მაინც რაღაცნაირად უფრო ადვილად მოვყევი.

გადმოსვლიდან, ალბათ, ერთი სამი თვე გამიჭირდა, რადგან სულ ვფიქრობდი, აქ როგორ ვიცხოვრებთ მეთქი... იცით, რა არის, ქალს დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახში. კაცი თავისებურად განიცდის და ამას შეიძლება არც ამჟღავნებდეს, რომ არ დასტრესოს ცოლშვილი, მაგრამ ქალი კიდევ უფრო სხვანაირად ფიქრობს, ის უყურებს ყველაფერს; რა თქმა უნდა, შვილებთან მიმართებაშიც ვგულისხმობ. მეც ძალიან დავისტრესე, ერთი თვე საერთოდ ვერ გამოვდიოდი მდგომარეობიდან, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. აქ ტალახი იცოდა ძალიან. ჩემმა ქმარმა გამიბა თოკი და სამი თუ ოთხი წყვილი თეთრეული გავფინე. ჩამოწყდა ეს თოკი და ამ ტალახში ჩაცვივდა! ახლაც ხშირად მახსენდება, მაშინ რამდენი ვიწვალე... ავიღე და ყველა გადავყარე! გეფიცები, იმდენად დასტრესილი ვიყავი, რომ იმის ნერვები აღარ მქონდა, კიდევ გამერეცხა და გამეფინა. ავიღე და სულ გადავყარე!

გაჭირვება ადამიანს უფრო მეტ გამოცდილებასაც აძლევს, უფრო მებრძოლი, თავდაჯერებული ხდები და უფრო მყარად დგახარ. საქართველოს ის ნაწილი არასდროს უნდა დავივიწყოთ, არ უნდა დავკარგოთ და იმედი მაქვს, არც დაიკარგება. მაგრამ აქ რომ გადმოვედით, გაცილებით მეტი პერსპექტივა მოგვეცა. იქ ვიქნებოდი ჩვეულებრივი მასწავლებელი – განათლების ერთადერთი კერა ხომ სკოლაა სოფლებში?! ახლა კი მე, ამ წეროვანში იუმორით ვიტყვი: კარგი დედაც ვარ, სკოლის მასწავლებლადაც ვიმუშავე, ბიზნესიც მაქვს და იძახიან, რომ ყოჩაღი გოგო ვარ. სულ ჩემს თავზე არ ვიღებ, მეუღლეც კარგი მყავს და ერთად ვაკეთებთ ამ ყველაფერს.

კარგია, კარგი ადამიანის წოდება დაიმკვიდრო. სიტყვიერად ეს ადვილია, მაგრამ რთული გზა უნდა გაიარო ამისთვის. რაღაცები დავთმე, რაღაცები გავატარე. ბევრ ხალხთან მომიწია ურთიერთობა ამ ხნის მანძილზე, ბევრი შრომა დამჭირდა. სტრესიც მიმიღია, დამცირებაც... განა არ მიმიღია? ძალიან ბევრი! მაგრამ არასდროს გავტეხილვარ.

ახლა ბევრი რამე შემიძლია, რასაც იქ ალბათ ვერ შევძლებდი, რადგან ქმარზე ვიყავი დამოკიდებული. იქ მასწავლებლობისა და ოჯახის გარდა არაფერი მეკითხებოდა. იქ კონფლიქტის ზონა იყო, მაგრამ ყველა სტუმარი, ვინც ჩამოდიოდა თბილისიდან, ჩვენთან მოდიოდა. იქ გასაქანი არ მქონდა. ჩემი ქმარი მეუბნებოდა: „რას ქვია, კაცი როცა სახლშია, შენ რატომ უნდა აკეთო, რატომ უნდა წახვიდე, შენ რატომ უნდა მოიტანოო...“

ახლა აქ ორივეს გათანაბრებულად მოგვიწია. არ მოსწონდა ჩემი ლიდერობა, მაგრამ მიხვდა, რომ უკვე სამყაროც შეიცვალა, ხალხიც შეიცვალა, საქმემაც მოიტანა... უკვე ვაბალანსებთ და ერთად შეთანხმებულად ვაკეთებთ. ასეც უნდა იყოს. ცოლი და ქმარი უნდა იყოს შეთანხმებულად ოჯახში, თორემ ისე არაფერი გამოვა. ცალკე ქალი იწევდეს, ცალკე კაცი – ესე არა! იყო წინააღმდეგობაც, მაგრამ ჩვენ დავძლიეთ ორივემ ერთად. გვიყვარს ჩვენი საქმე. მთელს უბანში რომ იკითხოთ ჩვენი სახელი, ყველა იტყვის, შრომისმოყვარე ხალხიაო.

ჩვენ ვართ დამოუკიდებლები. არავის იმედი არ მაქვს. მხოლოდ ღმერთის და ჩვენი მარჯვენის, სხვა არაფრის. არა, იმედი როგორ არ მაქვს, რომ ცხოვრება გრძელდება და ჩემ გარშემო ხალხია, მაგრამ ის, რომ ვიღაცა დამეხმაროს და მე ისე ვიჯდე, ასე არ შემიძლია. ყოველი დღე და ყოველი წუთი განსაზღვრული მაქვს, რა უნდა გავაკეთო. ახლაც 85 წლის ბებოსთან მივდივარ მეზობლად. მისი შვილი იტალიაშია. ძალიან მიყვარს მოხუცები, მივდივარ ყოველდღე სანახავად. ისიც იმედის თვალით მიყურებს. სანამ თავისი გოგო ჩამოვა, იცის, მე უნდა მივიდე და მეც სიყვარულით მივდივარ.

მაია ბაბუციძე

ინტერვიუს თარიღი: 25 ოქტომბერი, 2024

აგვისტოს ომამდე და აგვისტოს ომი

მოდი, დავიწყებ შესავლის გარეშე: ჩავთვალოთ, რომ დაბადებიდან ყველაფერი გამოვლა და ბრძოლა იყო. ყოველთვის ვამბობ, ომში დავიბადე, ომში გავიზარდე და დღესაც ომში ვარ. ეს არ არის მშვიდობა! არ ვიცი, ვინ როგორ უსწორებს თვალს, რაც დღეს ხდება, მაგრამ მე ძალიან ბევრი ახლობელი დღევანდელ საოკუპაციო ხაზთანა მყავს – საკუთარი ბიძაშვილის ოჯახი, რომლის სახლი ქართველებისა და ოსების პოსტების შუაში დგას და სახლის უკან გვიდგას რუსების კამერა.

ყველა ეტაპი იყო გარდამავალი... დაბადებიდან ადამიანი თითქოს შეგუების პროცესშია, სამწუხაროდ, შეგუების პროცესში. ჩვენ, ბავშვებს, უფროსები მაინც მეტ-ნაკლებად გვიხსნიდნენ ამ ყველაფერს, რაც ყოველდღიურობაში ხდებოდა. თუ სკოლაში მივდივარ და ტყვიის კორიანტელი წამოვა, იმ პატარა ნაბიჯებიდან გვასწავლიდნენ, როგორ ვიმოქმედოთ, რომ ტყვია არ მოგვხვდეს. ბევრს ვეკითხები ხოლმე – გახსოვთ ოლიკო ჭულუხაძე დღეს აქ მყოფ ადამიანებს? სამწუხაროდ – არა! ის ბავშვი იყო 90-იან წლებში. მე უფრო დაბალკლასელი ვიყავი, სკოლაში მიმავლებს გადმოგვატარეს ავტომატის ჯერი და რამდენიმე ასეულ მეტრში ადგილზევე დაიღუპა. ძალიან ბევრია მსგავსი ისტორია. 2008-მდე ჩვენთან ტყვია არ გაჩერებულა და ჩამეცინება ხოლმე, მაინცდამაინც 2008 წლის ომს რომ ახსენებენ. მუდმივი ომი იყო! მე მახსოვს ბებიების, მამების, ბიძების, ყველას მონაყოლი... ან ერთხელ დაიწყოს, ან ერთხელ დამთავრდეს! იმიტომ, რომ თქვენც არ გეცოდინებათ არც ოლიკო, არც ვენგო ძია, არც ბონდო გოჩაშვილი გეცოდინებათ, ბავშვებთან ერთად რომ ჩაცხრილეს 20 მაისს, ამაღლება დღეს. მინდიაშვილები, სამი ძმა და მათი მამა, 2003 წელს დაცხრილეს სოფელ თამარაშენში, დღის 2 საათი იქნებოდა – ადგილზე გარდაიცვალა ყველა. არ გეცოდინებათ ძალიან ბევრი მსგავსი ისტორია – იქ ვინც ვიყავით, იმ ადამიანებმა ვიცოდით ეს, სხვამ არავინ იცოდა. 2008-ში წარმოუდგენელი იყო აგვისტოში ჩვენი წამოსვლა, რადგან სროლა, ომი, შეტაკება ჩვენი ყოველდღიურობა იყო და ვერ წარმოვიდგენდი, რომ სახლს დავტოვებდი.

დავიბადე ქვემო აჩაბეთში. ეს არის სოფელი დიდი ლიახვის ხეობაში – ცხინვალია, თამარაშენი და მერე ქვემო აჩაბეთი. იქ იყო ჩემი ბავშვობა. ბავშვობას რომ ვიხსენებ, რა თქმა უნდა, ბევრი ტკბილი მოგონებაა, ურთიერთობები. ის ბავშვობის ხალისი ყველაზე

ბედნიერი გასახსენებელია, ამიტომ, დღესაც ვამბობ, რომ ყველაფერს დავტოვებ და პირველი მე ვიქნები, ვინც იქ დაბრუნდება.

1986 წელს დავიბადე. გავიარე 9 აპრილი[44] და ყველაფერი იქიდან მოყოლებული – ყველაფერი, რაც კი მომხდარა. 2008 წლის 7 აგვისტოს, რეალურად, 8-ში გამოცხადდა ომი, მაგრამ [ადრე დაიწყო]... დედა არის სოფელ ავნევიდან და იქ ვიყავი ამ პერიოდში. ნახევრად იმ სოფელში გავიზარდე და დღესაც ვამბობ, რომ ავნეველი ვარ, სიგიჟემდე მიყვარს! სულ ვიძახი, იმ სოფელში რომ ხალხი არსებობდა, იმ სოფელში, როგორიც იყო... თითქოს, პატარა ზღაპარივით სოფელი იყო. როგორ აგიხსნათ, ზაფხულობით არავინ სხვაგან დასასვენებლად აღარ მიდიოდა, თუ ერთხელ იმ სოფელში მოხვდებოდა. მთელი ახალგაზრდობა ზაფხულობით იმ სოფელში ჩამოდიოდა. ბულვარი იყო ერთი და გასავლელს ვერ დაინახავდი, სულ ახალგაზრდებით სავსე იყო. მოკლედ, ავნევი იყო ჩემი მეორე სახლი.



1-ელი აგვისტო იყო, როდესაც ავნევს და კიდევ ერთ ქართულ სოფელს დაარტყეს, მაგრამ, ჩვენებს ბრძანება ჰქონდათ – არ ისროლოთ! არ ისროლოთ! გამწარებულები ვრეკავდით – იქ დეიდები მყავდა მე, ბიძაშვილები, ყველანი, დიდი, პატარა... მაგრამ ტელეფონები არ იჭერდა, რადგან ყველა სამალავში იყო ჩასული. ხოლო თუ

44 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია – თბილისში მომხდარი სისხლიანი მოვლენები, რაც გამოიხატა საბჭოთა არმიის მიერ ანტისაბჭოთა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით მოწყობილი მშვიდობიანი დემონსტრაციის ძალისმიერ დარბევაში

დაიჭერდა, ადამიანის ხმა იმდენად მძიმედ მესმოდა ამ ქვემეხების, იარაღის ხმაურში, რომ ძლივს ვიგებდი, რას ამბობდნენ. ეს ხდებოდა 1-ელი აგვისტოდან და ომი 8 აგვისტოს არის გამოცხადებული – მანამდე ჩვენ არ გვქონდა სროლის უფლება.

მოკლედ, 8-ში კი გამოცხადდა და ჩვენს ხეობაშიც სროლები იყო, მაგრამ ჩვენთვის ეს ყველაფერი ბუნებრივი იყო, მიჩვეულები ვიყავით. როცა სროლა არ იყო, აი რას ვამბობდით: „მშვიდობაა? რატომ არაა სროლა?" ბავშვებიც კი ამას ვიძახდით, იმდენად ჩვეული მდგომარეობა იყო, სამწუხაროდ. თამარაშენში გახსნეს არაჩვეულებრივი კინოთეატრები, პარკი, პარკში კარუსელები... ზუსტად 7-ში საღამოს სოფლის ბავშვები წაყვანილი გვყავდა ამ კარუსელებზე, ანუ, არ ვიყავით ამ ომის მოლოდინში. საღამოს საათებია, ჯერ დაბნელებული არ არის; უცებ, ჩაქრა სრულიად შუქი და წამოვიდა „გრადები". „გრადი"! – ავტომატზე არა მაქვს საუბარი. გაწითლდა ცა... ერთ ბავშვს ვერ ვიხსენებ, რომელი იყო – იმდენად აფექტი მქონდა, რომ ერთი მახსოვს და მეორე არ მახსოვს. მოკლედ, ორ ბავშვს დავავლე იღლიებში ხელი. რამდენიმე კილომეტრია თამარაშენიდან ჩემს სოფლამდე და როგორ ვირბინე ამ ორი ბავშვით, არ მახსოვს. ოღონდ, ვიცი, რომ 2 წამითაც არ გავჩერებულვარ, მთელი ძალით და ღონით გავრბოდი... ყველა სახლს გვქონდა თავშესაფარი (ასე რომ დავარქვათ), რადგან ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა და ასე ვცხოვრობდით. ჩემი სახლის კედლები რომ გენახათ, უზარმაზარი ტყვიები იყო შიგ ჩარჩენილები – არ ვიცი, რა იარაღითაა, მერე მითხრეს, რომ „ბეტეერზე" მაგრდება. ძველად ქვით აშენებდნენ ძალიან სქელ კედლებს. ამ ქვის გარეთ მოპირკეთებული, ლამაზი წითელი აგური იყო. ქვის იქით ტყვია ვეღარ შემოდიოდა. ყველას „პადვალი" ჰქონდა... ის ღამე ინგრეოდა ცა და დედამიწა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. 2004-შიც იყო სროლა, სულ ომი იყო, მაგრამ ის ღამე იყო აბსოლუტურად განსხვავებული. ამ სამალავში, „პადვალში" ეწყო ჭურჭელი, „შტოფები", თუ რამე კომპოტი იყო... ამ მინის ჭურჭელმა ზანზარი დაიწყო, ერთმანეთს ეხეთქება და მინების ჟღარუნიღა ისმის. გარეთ არის ისეთი ხმა, ვერ ავხსნი... ემატება, ემატება და ყურები გიგუბდება. გარეთ გამოვედით. ვდგავარ ეზოში. ჩემი ეზო (და არა მარტო ჩემი) უყურებდა კავკასიონის ქედს – თეთრი იყო, ზამთარ-ზაფხულ. ვდგავარ და მესმის, ეს ხმა მოდის კავკასიონიდან. არ დამავიწყდება, წუთებში მოხდა, ეს ხმა მალე მოგვიახლოვდა... შეგრძნება მქონდა, რომ რაღაც ატომური აფეთქდა და ყველაფერი დამთავრდა, მორჩა. ცხოვრებაში პირველად დავკარგე შიშის შეგრძნება. შიში არ ვიცი, სად წავიდა და ვდგავარ. ამ ქედზე დამწკ-

რივებული „სუ-25“-ები საჰაერო დაბომბვის დროს რომ შემოვიდნენ, იცი, როგორ დაბალ სიმაღლეზე იყვნენ? 2-სართულიან სახლს კიდევ 2 სართული რომ მიუმატო... იმასაც ხედავ, პილოტს რა უმაგრია, იმ წამში... ჩაქროლებამ და ჰაერის ტალღამ შემაქანა. ძალიან სწრაფები არიან ესენი – რამდენიმე წამში თუ წუთში „დაკრუგეს“. ორი წუთიც არ გასულა და ქვევიდან უკვე მესმის ჩამოყრილი ბომბების ხმა – ბუმ, ბუმ, ბუმ... გიახლოვდება... ოღონდ მე ერთ ადგილას ვდგავარ, შიშის შეგრძნება დავკარგე... და, უცებ, ჩემი სახლიდან ალბათ რამდენიმე მეტრის იქით რაღაცა რომ აფეთქდა და აფეთქების ტალღამ ამიტაცა და დამაწყვიტა, არ მესმოდა და ვერ ვხედავდი რაღაც წუთი იყო თუ წამები, მაგრამ აზრზე ვიყავი, შეგრძნება არ დამიკარგავს. ცოტა ახლოს რომ ვყოფილიყავი, 100-150 მეტრით ახლოს, მე კანტუზირებული ვიქნებოდი. აზრზე რომ მოვედი, ნახევრად მიფლული ვიყავი ტოტებით, ხრეშით და სახლის უკანა მხარეს შეტანილი. ამ სახლის კედლებმა დამიცვა კიდევაც.

ჭადრაკისებურად დაბომბეს მთელი ხეობა. დაიწყეს ქვემოდან. აი, ამ ჩაქროლებისას „დაკრუგეს“ რამდენიღაც წამი იყო თუ წუთი და ისე სწრაფად მოხდა, აღქმის უნარიც კი დავკარგე... რა ხდება, ვერ მოდიხარ აზრზე!

მშობლებთან ერთად ვიყავი. ისინიც გარეთ იყვნენ. ყველანი ეზოში ვიყავით – მეზობელი იყო, ოჯახის წევრი იყო – ყველა! აი, ხმაზე გეტყვი, რომელი იარაღიდან ისროდნენ „აკაესი“-დან თუ „აკაემი“-დან... მანდ უკვე ატყდა ქაოსი.

ხეობიდან გამოსვლა

ცუდი კიდევ ის იყო, რომ მე პირველივე ტრანსპორტს გამომაყოლეს... ხომ იცი, მშობლების ამბავი – ოღონდ შვილი გადარჩეს. იქ წივილი-კივილი იყო – არა, თქვენ არ დარჩეთ...

შვიდი აგვისტოა და ერთი ადგილია იმ მანქანაში. რა თქმა უნდა, მშობლებმა მე ჩამსვეს. მერე კიდევ გამოჩნდა ერთი ადგილი და მამაჩემმა დედაჩემი გამოუშვა. დედაჩემს არასოდეს მოუყოლია ეს ამბავი და მერე გავიგე, მისი გარდაცვალების შემდგომ – რომელი მანქანითაც წამოვიდნენ, იმის წინა მანქანას დაეცა ბომბი და ხალხი დაიხოცა... ხედავდნენ, ეს ხალხი გადმოდიოდა ხეობიდან, იქიდან კიდე ესროდნენ. ამას უკვე რვაში გეუბნებით... და მამაჩემი, რუსის ჯარი რომ შემოვიდა, იქ იყო.

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ის, რომ იმ პერიოდში – შუქებიდა ყველაფერი რომ გაითიშა, ტელეფონებიც დაჯდა და გადაღების საშუალება არ იყო – ვნატრობდი, გადაღება შემძლებოდა

წვერიახოს მთაზე, სადაც ერთადერთი გადმოსასვლელი იყო. იქ რომ მოვხვდით, ვხედავდი, რომ ზუსტად ეს საჰაეროები, რომლებმაც ჩვენ დაგვბომბა, კიდევ დატრიალდნენ და ქართველების და ოსების მხარე, ორივე ადგილი დაბომბეს. ამას საკუთარი თვალებით ვხედავდი. ქართველების ადგილიც დაბომბეს და ოსების ადგილიც დაბომბეს, რომ [შუღლის] უფრო გაღვივება გამოეწვიათ... გადაღების შესაძლებლობა რომ მქონოდა, მტკიცებულება მექნებოდა, მაგრამ ეს მარტო ჩემს თვალებს ახსოვს და ღმერთს ახსოვს ეს ყველაფერი.

მამაჩემი და დედაჩემი გარდაცვლილები მეგონენ. მე მათ ვერც ცოცხალს და ვერც მკვდარს ვერ ვპოულობდი. დახეული ტანსაცმლით და [თითქმის] ფეხშიშველი თბილისში რომ ჩამოვედი, ქუჩებში ბორდიურზე მეძინა და რომ ვიგებდი, სადმე ხალხი იკრიბებოდა, ყველგან ფეხით მივდიოდი. დაახლოებით, ერთი კვირის განმავლობაში, ამ პროცესში ვიყავი. მე ვეძებდი იმიტომ, რომ დედისერთა ვარ. ვერც დეიდებს ვპოულობდი. აბსოლუტურად ყველა მკვდარი მეგონა. ჯერ ვიპოვე დედა, მამა ვიპოვეთ მერე.

მეორე დღეს დედაჩემი წამოსულა. ვინც ფეხით გააგრძელეს გზა, მიცვალებულები ბევრი ნახეს. ბიძაშვილები, მაზლიშვილები – ყველას იარაღი ეჭირა მაშინ... [პირქვე დამხობილ] მიცვალებულებს ატრიალებდნენ, თავის ახლობელს ეძებდნენ... ერედვში რომ ჩამოვიდნენ, ღამე იყო უკვე. ერთ ოჯახში დააწვინეს ეს ტალახიანი ხალხი, ვინც დედაჩემთან ერთად იყვნენ. შუაღამისას გააღვიძეს, ჩქარა გაიქეცით, აქაც მოდიანო და ესენიც ფეხით ჩამოვიდნენ გორამდე. მაგრამ სხვა ტკივილიც შემხვდა გორში. ქართველები ვიქნებოდით ყველაზე ძლიერები, რომ ღალატი არ გვქონდეს. ყოველთვის მახსენდება, ბებიაჩემი იტყოდა ხოლმე: „ხემ თქვა, ჩემიანი რომ არ ერიოს, ცული ვერ მომჭრიდაო!“ წარმოიდგინე, ასე შიშველი ხელით წამოსულ ხალხს 100 ლარი მოსთხოვა ტაქსის მძღოლმა! არც მინდა, გავიხსენო... რატო უნდა არსებობდეს ასეთი ადამიანი? დედა ფეხით გადმოვიდა.

მამამ საშინელი პროცესი გამოიარა. რუსებს განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული ჯგუფები ყავდათ, არ ვიცი, ვინ არიან, რა არიან – არანაირი შეგრძნება, არანაირი არაფერი... თუ რამე სისასტიკეა, სიამოვნებით აკეთებენ. არ ვიცი, ამას რა ქვია... ომარი ჭოველიძე მეუღლესთან ერთად მოკლეს, მეუღლე ოსი იყო. როგორც ამბობენ, ყელი გამოჭრეს ორივეს. ლეო ჯიხაშვილს ვენები გადაუჭრეს და ასე დატოვეს. პაპას თავში ესროლეს, როცა ცოლი იქვე იდგა... ამ 80 წლის ქალმა მიწა პატარაზე ამოთხარა და დამარხა თავისი მეუღლე. ომარ ბაბუციძე მოკლეს და „კისლატები“[45] დაასხეს...

45 მჟავა (რუს.)

მამა იყო ამ ყველაფრის შემსწრე. მაშინ არ ვიცოდით, რომ მამას სიმსივნე ჰქონდა. ცუდად იყო იმ პერიოდში. როცა გამოვედით, მერე დაუსვეს დიაგნოზი. ბებიაჩემი ოსებს ტყვედ ჰყავდათ – 83 წლის ქალი! „რუსთავი 2“-ის [მიერ გაშუქებული] ტყვეების გაცვლის დროს ვიპოვეთ – აქედან რუსის ჯარისკაცები და იქიდან ცხონებული ბებიაჩემი. არსებობს ეგ კადრი, წელმოხრილი ქალი ჯოხით რომ გადმოდის. ბებიაჩემთან ერთად კიდევ იყო მოხუცი მეზობელი, 92 წლის. ეს ბუნჩულები ესე რომ ისხდნენ ციხეში... მაგრამ, სხვათა შორის, ცუდად მოხუცებს არ მოქცევიან, ცოდვას ვერ ვიტყვი... ეს კი არა, ერთიორი ისეთი იყო, უხერხულობის შეგრძნება რომ ჰქონდა ამ მდგომარეობის მიმართ, თუმცა, იქ ვერ გამოხატავდნენ.

მამამ არ დატოვა დედამისი. ბებიაჩემს ომის წინ, მაისში დაეღუპა შვილი – მამაჩემის უმცროსი ძმა. ჰოდა, შეევედრა ბებიაჩემი მამაჩემს, რომ გეხვეწები, მეორე შვილის სიკვდილს ნუღა მანახებ, წადიო. ერთმანეთში ესეთი საუბარი ფილმშიც არ ვიცი... და მამამ, დედამისს დიდი თხოვნით, ხვეწნა-მუდარით და უბედურებით დაუჯერა, წამოვიდა. წამოვიდა, მაგრამ ვეღარ მოდიოდა. რუსის ტანკები რომ შემოდიოდნენო, ესე, ხელს ვუწევდი, ვითომ ოსი ვარო... წვერიახოს მთა ურთულესია გადმოსასვლელად და იქ რომ უკვე დაყარა ფარ-ხმალი, ვეღარ ავალ და რაც არის, აქ მოვკვდებიო, ჩვენი მეზობლის კაცი, გივი ძია წამოეწია გზაში – ნაინფარქტალი, გულის პრობლემით, ნაოპერაციევი. რომ იტყვიან, მკვდარი მკვდარს აეკიდაო – ტოტები მოტეხეს, ერთმა აქედან დაიჭირა ხელში, მეორემ იქიდან, გადახვიეს ორმა გაჭირვებულმა, გამწარებულმა ადამიანმა ხელები ერთმანეთს და ერთად ესე გადმოლახეს; რამოდენიმე დღე მოუნდნენ. ის ადამიანი დღესაც ცოცხალია.

[ამ დროს] მე აქ ვეძებდი... დედა, ცოტა ადრე რომ ჩამოვიდა, და დეიდები – [ერთმანეთის ძებნისას] ვცდებოდით ერთმანეთს, რადგან არც ტელეფონი არსებობდა და არც რამე... ჩვენი შეხვედრა იყო... ნუ, არ ვიცი, რა იყო! სიტყვები არ მომეძიება, როდესაც პირველად დავინახე დეიდები, ვიპოვე და ცოცხალი დავინახე, ჩემი სიტყვები უბრალოდ...

დროებითი საცხოვრებელი

თქვეს, რომ უკვე ყველა საბავშვო ბაღში შედიოდა. ორსული ქალები, ბავშვები, მოხუცები. მე ვიყავი ერთ-ერთი, ვინც ის საბავშვო ბაღი გააღო. მე გავტეხე კარი. მქონდა ეგეთი შემთხვევა საბავშვო ბაღის დირექტორთან: მოვიდა და „აქ სად მოეთრიეთო?!“ ამაზე ისე დამებინდა, რომ ჰაერში ავწიე ხელით, ვახრჩობდი, ოღონდ მართლა.

ორსულებიც იყვნენ, პატარა ჩვილი მეძუძური დედებიც იყვნენ, მოხუცებიც იყვნენ, ცოტა შუახნის და ახალგაზრდებზე აღარა მაქ ლაპარაკი... და ამას ხედავს ქალი, ხედავს, ომია ამხელა და... არადა, იქ მოსახლეობა, როგორ მახსოვს, ვისაც რა ქონდა, გვეხმარებოდა. მერე „კარიტასმა" არაჩვეულებრივი პატივი გვცა. დედა რომ შვილზე ზრუნავს, ისე იზრუნა იმ პერიოდის განმავლობაში. ყოველდღე ასე, ჯამები გვეჭირა, კოლონაში ვიდექით და ჩამოგვირიგებდნენ [საჭმელს], და ასე შემდეგ...

მე დამემართა ფსიქოლოგიური პრობლემა, უკვე ყველანი რომ ვიპოვეთ. ცხოვრებაში ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი ადამიანი გავხდებოდი. როდესაც მანდ შევედით, ღამე, როცა ვწვებოდი და ვიძინებდი, საჰაერო დაბომბვის ზუსტად ის პროცესი ქვეცნობიერად [მეორდებოდა] და მძინარე მდგომარეობაში ვხტებოდი და გავრბოდი... ვდგებოდი, უფრო სწორად, გავრბოდი, რა. როგორც კი ძილისკენ მივეცემოდი, ეგრევე, რამოდენიმე წუთში მემართებოდა ეს ქვეცნობიერად და გავრბოდი... ლოგინიდან წამოხტომა და... ოღონდ, ბურანში ვიყავი. [საწოლთან] სულ სველი ტილოები მეფინა – სად იყო მაშინ ექიმის დახმარება, ქაოსი იყო. ამ სველზე რომ ფეხი მომიხვდებოდა, ვფხიზლდებოდი. სანამ იქ ვიყავი – ოთახი იყო, რა იყო – პატარა, საბავშვო ბაღის მაგიდები გვქონდა შეტყუპებულები. ბავშვების ლეიბები დავყარეთ და ზევიდან გვეძინა, უბრალოდ, ვიწექით. მერე, ეტაპობრივად, სახელმწიფომ ძალიან ბევრი რამ გააკეთა. შემოგვიტანეს საწოლებიც. [დევნილების] უზარმაზარი ტალღა იყო, მაგრამ სწრაფად იმოქმედეს. 90-იანებში ცხინვალიდან დევნილი ორი ბიძა მყავს, რომლებსაც საბანი და ბალიში [მისცეს] კი არა, რა ვიცი... ჯოჯოხეთი გამოიარეს. მაგრამ შეგუებაა ძალიან რთული – გადაბარგების და სახლის ცვლის.

წეღან როგორც აღვნიშნე, დახეული ტანსაცმლით, დახეული ფეხსაცმლით წამოვედი. სახლის ნახევარი შეტანილი იყო [აფეთქების ტალღით], დრო სად მქონდა, ან ტანსაცმელი გამომეცვალა, ან... აბსოლუტურად ნულიდან [დავიწყეთ] – ჩანგალი, თეფში, ჭიქა... არაფერი გაგვაჩნდა, აბსოლუტურად არაფერი! თითოეულმა ადამიანმა, ვინც იმ პერიოდში აქ გადმოვედით, სრულიად ნულიდან დავიწყეთ.

ქუჩაში დევნილები ათიათასობით... მაინც რამდენი ვიყავით?! თვეები ვიყავით საბავშვო ბაღში, მაგრამ იმ ბაღში მომივიდა მაგარი ჯახი – შიდა... ბუფერული ზონიდანაც იყვნენ ადამიანები გამოყვანილი. მოკლედ, რამოდენიმე ქალმა აიღო თავდებად, რომ რაც პროდუქტი მოდიოდა, ოჯახებზე გაენაწილებინათ, და ა.შ. სამზარეულოში შეიკეტნენ თვითონ და სამზარეულოს „ფორთოჩკიდან"[46] გვაწვდიდნენ,

46 სარკმელი (რუს.)

ვის რა გვეკუთვნოდა. ჩვეულებრივ, მივდიოდით და ვიღებდით... თურმე, მოდის იმაზე მეტი რაოდენობა... ერთ მშვენიერ დღესაც, სამზარეულოში უბრალოდ შევედი ქაღალდის მოსახევად, რომ ხელი გამეწმინდა. ეს ქაღალდის რულონი ჩამოვარდა და რას ვხედავ – სამზარეულოს უკან ოთახი სავსეა! თურმე, ესენი ჩუმად ღამე უკანა ფანჯრიდან მანქანას მოაყენებენ, ამ ჩვენთვის მოსულ პროდუქციას ბარგავენ და სადღაც, მაღაზიებში აბარებენ.

კონსტიტუციური უსაფრთხოებიდან დაწყებული, თუკი ვინმე იყო, ყველა ფეხზე დადგა! უშიშროებაც მოვიდა, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო, უბნის ინსპექტორი. ორი ვარიანტი იყო – ან მე საჩივარს ვწერდი და ციხეში ვუშვებდი, ან, სადაც ამდენი იკადრეს, წასულიყვნენ იქ, სადაც უნდა წასულიყვნენ. რა თქმა უნდა, ციხეს წასვლა ამჯობინეს, აიბარგნენ და წავიდნენ და დღესაც მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობენ. არ ვიცი, როგორ იკადრეს.

ჩვენ ვიყავით ისეთ საბავშვო ბაღში, სადაც უმრავლესობა იყო ამ ბუფერული ზონიდან. სულ რამდენიმე ოჯახი ვიყავით, ვინც სამუდამოდ დავკარგეთ ჩვენი სახლ-კარი. მაშინ ჯერ არ იყო ეს [საგურამოს] სახლები დამთავრებული, მშენებლობის პროცესი მიდიოდა და დროებით გადაგვიყვანეს სხვა ტერიტორიაზე, ძველი თბილისის რაიონში, ათონელის ქუჩაზე. მერე იქიდან გადავედით კანდელაკზე, სასაზღვრო პოლიცია თუ რაღაც რომ არის, მანდ. ძველი შენობაა, მაგ შენობაში ვცხოვრობდი ბოლოს. სადღაც წლამდე ეგრე ვიცხოვრე და შემდეგ უკვე გადმოვედით აქ, საგურამოში, დევნილთა დასახლებაში. ორი დეიდა სხვა სოფელში ცხოვრობდა, დასაოჯახებლები, უკვე ასაკში შესულები. ამ ომის ფონზე უფროსმა დეიდამ, რომელიც ძალიან უთქმელი, მშვიდი ქალი იყო და გამოხატვა არ შეეძლო, იმდენად ინერვიულა, რომ ერთ დღე-ღამეში დაემართა ამნეზია და დამძიმდა. ახსოვდა მხოლოდ იქ ყოფნის პერიოდი, იმის მერე აქ ყოფნა აღარ ახსოვდა, ვერ აღიქვამდა. დაიძინა და რომ გაიღვიძა მთელ ტანზე ჰქონდა წყლულები. შეგვეშინდა, გვეგონა, რომ მტვრის ბრალი იყო და სინამდვილეში ნერვული დაბოლოებების ანთება ყოფილა. დაარტყა მეხსიერებაზე. ახსოვდა მხოლოდ ავნევი და ის პერიოდი, როცა დედა და მამა ცოცხლები იყვნენ, როცა თავის ძმები ცოცხლები იყვნენ. უსაფრთხოდ სადაც იყო და ბედნიერი სადაც იყო, ის დარჩა ქვეცნობიერში, დანარჩენი – აბსოლუტურად... მე რომ მისი გაზრდილი ვარ, ჩემი სახელი დაავიწყდა და „ჩემი გოგოს“ მეძახდა მარტო... ძალიან პრობლემურია, ურთულესია: სახლიდან გაპარვები, აგრესია... ვეღარ აცნობიერებდა, სად იყო, რატო იყო და, თავისდა უნებურად, აგრესია ემართებოდა. ურთულესი დაავადებაა, მინდა გითხრათ, ძა-

ლიან მძიმე მოსავლელია. მოვუარე 4 მოხუცს: დედას, მამას და ორ დეიდას – ყველანი 70-ს გადაცილებული იყვნენ. სრულიად მარტო ვუვლიდი. ცალკე მე მათ ვერანაირად ვერ გავუშვებდი – როცა ვხედავ მოხუც ადამიანს... ჩემთვის წარმოუდგენელია, ენით აღუწერელია მსგავსი რამ.

გმირები

ჩემი ბიძაშვილი, ილია ბაბუციძე თუ გსმენიათ, აგვისტოს ომის გმირია, მისი სახელობის ქუჩაა ე.წ. „ტრიციტპერვის“[47] მხარეს. ილიას არ ეკუთვნოდა შესვლა, მაგრამ მე-4 ბრიგადის „სვიაზის“[48] უფროსი იყო. უკრაინაში დაამთავრა სამხედრო აკადემია, იქ გაიარა ყველაფერი. მთელი თავის ცხოვრება ილია სამშობლოს დამცველი იყო. არ დაემორჩილა ბრძანებას, ბიჭების დასახმარებლად შევიდა, ორი ეტაპი გამოიყვანა დაჭრილი ბიჭები და მესამე ეტაპზე სნაიპერმა ტყვია მოარტყა არტერიაში. ადგილზე გარდაიცვალა.

მისი სახელი საუკუნოდ დარჩება ისტორიას. მე რაც გავიარე, ისე გავქრები, თითქოს არც ვყოფილვარ – ადამიანი ერთხელ რომ ცხოვრობ, რა არი – „იყო და არა იყო რა“... ხშირად, უმეტესობას ამის გააზრება გვიჭირს. როგორც ჩვენი შინდისის ბიჭები დარჩებიან ისტორიას, როგორც ანწუხელიძე დარჩება ისტორიას, როგორც გვახსოვს ცხრა ძმა ხერხეულიძე... საუკუნეებია, მოდის, ხო? ის ადამიანები, თუნდაც იმ ცხრა ძმა ხერხეულიძიდან ავიღოთ, ან დავით აღმაშენებელი, ან სხვები – რა ჩამოთვლის ჩვენს ისტორიულ გმირებს, მაგრამ, უახლეს ისტორიაში უკვე 2008 წლის გმირები გვყავს. რამდენი საუკუნის უკან იყვნენ ის ადამიანები, [მაგრამ] მათზე ვდგავართ დღეს თუ ვარსებობთ და კიდე რამეს წარმოვადგენთ, მათზე ვარსებობთ საუკუნეებია და დღესაც. თუნდაც, რომ გაიგებთ გიორგი ანწუხელიძეს, რა შეგრძნება გაქვთ? მე არ მეგულება ადამიანი, გიორგი ანწუხელიძის სახელის ხსენებაზე მის ქვეცნობიერში რაღაცამ მაინც არ გაიელვოს. ვერ წარმომიდგენია! შინაგანად გმირობის ყივილი მოდის. შიშის დაძლევის შეგრძნება მოდის. ღირსების მაგალითია. ჩემთვის კიდე ძალიან მტკივნეული იყო, გამეორებაც კი მიჭირს – გიორგის მკვლელს, თითოეული მათგანის მკვლელს, შინდისის ბიჭების მკვლელს, ბოდიშს არ მოვუხდი[49], არასოდეს!!! იგივენაირად ჩემს ხატს და ჩემს დროშას, სიკვდილზე წავალ, მაგრამ ფეხს არ დავადგამ – როგორც გიორგიმ, ისე, ანალოგიურად. სიკვდილზე წავალ და მე მათ ბოდიშს არ მოვუხდი!

47 31-ე საავიაციო ქარხანა თბილისში (ამჟამად, „თბილავიამშენი“)

48 კავშირგაბმულობა

49 იგულისხმება 2024 წლის 14 სექტემბერს ბიძინა ივანიშვილის მიერ ოსი მოსახლეობისთვის ბოდიშის მოხდის მოწოდება

ხეობის სოფლები ომის შემდეგ

ჩვენი სოფლები აღიგავა პირისაგან მიწისა. ჯერ დაწვეს, ყველა სახლი დაწვეს. დადიოდნენ, ზურგზე მოკიდებული რაღაც აპარატია, რომელიც ცეცხლს აფრქვევს, სახელი არ ვიცი მაგის. თუ რამე დაბომბვისგან იყო გადარჩენილ, სათითაოდ ყველა სახლს ჩამოუარეს. ჭურჭელზე „მარადიორობა“ წავიდა და ყველამ ვიცით, რომ გაიძარცვა – თუ რამე არსებობდა, ყველაფერი გაიძარცვა. შემდეგ სათითაოდ ყველა სახლ-კარს ჩამოუარეს და ყველა სახლი გადაწვეს. მერე, რა თქმა უნდა, რკინას მიადგნენ. სახლი არ არსებობდა ვაზის და [რკინის] ხეივნის გარეშე, დიდი, უზარმაზარი რკინის კარებების გარეშე – დაანგრიეს! სპეციალურად დიდი ბულდოზერებით – სკოლები იყო, სახლები იყო, საბავშვო ბაღები, მაღაზიები... თუ რამე არსებობს, ყველაფერი დაანგრიეს. ამის შემდეგ ყველაფერი – მთლიანად, სადაც ადამიანები ცხოვრობდნენ – ჯაგებად არის ქცეული, იმიტომ, რომ ეკალბარდი ედება მერე ყველაფერს... სამაგიეროდ, რაღაც ტერიტორიებზე ააშენეს კორპუსები, სადაც არის სამხედრო ბაზები. მე დამეღუპა ბიძაშვილის შვილი, ცხინვალში ცხოვრობდა, იყო ოსზე დაოჯახებული და მისი იმედი მქონდა – ჩემ მიტოვებულ საფლავებზე ის დადიოდა. რაღაცნაირად მეიმედებოდა, იმიტო, რო ძაან დიდი ტკივილია და იმაზე დიდი ტკივილი და სადარდებელი კიდე არ არსებობს, რომ საკუთარი შვილის საფლავზე ვერ მიდიხარ. ამას ახსნა არა აქვს, უბრალოდ. ყველა საფლავს ქვები დახსნეს, სადაც კი ქართული წარწერა იყო, აბსოლუტურად ყველას! სულ იმას ვიძახდი, იმდენი მკვდრები ჰყოლოდეთ, ამ ქვებზე წაეშალოთ და სულ თავისი დაეწეროთ-მეთქი. თუ სადმე ქართული წარწერა იყო, თუ ქართული რამე იყო, ყველაფერი წაშლილია, საფლავებზეც კი... მხოლოდ არსებობს რაღაცა სინკარის ნანგრევები. გადავლილი აქვს უკვე – ამდენი წელი გავიდა, ტყესავით ამოჯაგულია ყველაფერი. მინდა, გითხრათ, თვითონაც ძალიან ცუდ დღეში არიან ოსები, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერასდროს ვერავინ ამბობს. ოსები არიან ძალიან შეზღუდულები. ჩამოასახლეს რუსი სამხედროები, ააშენეს სამხედრო ბაზები, რაც ინდივიდუალურად შემოღობილია დიდი ბეტონის ღობეებით და ზემოდან უყურებენ ამ ოსებს. რაც არ უნდა იკადროს იქ რუსის ჯარისკაცმა, რაც არ უნდა გააკეთოს, ვერავინ ვერაფერს ეტყვის.

დღესაცა მაქვს დაბრუნების იმედი! დრონი მეფობენ და არა მეფენი! ეჭვი არავის არ შეეპაროს!

ცხოვრება ომის შემდგომ

ჩემ შემთხვევაში ასე იყო, რომ, ოთხი ადამიანი... 22 წლის გოგო ვიყავი. მამას სიმსივნე დაუდგინდა, დედას ქრონიკული სუნთქვის მწვავე უკმარისობა და სახსრების დაავადება, უფროს დეიდას ამნეზია დაემართა, მეორე დეიდას კი ჰქონდა გულის მანკი ბავშვობიდან და მთელი ცხოვრება გულის პრობლემებით იყო, საკმაოდ მძიმე ფორმებით. არ ვიცი, საიდან მოდის [ძალები]. მცხეთის კლინიკა, თბილისის კლინიკები, მე-8 საავადმყოფოდან დაწყებული, ინგოროყვა, თოდუა, რომელი ერთი ჩამოვთვალო, ყველა პერსონალი მიცნობს ამდენი წლის განმავლობაში. მცხეთის მხარეს თუ რამე სასწრაფო არსებობს, ყველას პერსონალი მიცნობს მე. ერთი სასწრაფო რომ მოდიოდა, მეორე უკან მოყვებოდა... იქიდან ექიმები მირეკავდნენ. რამდენს გავყვებოდი?! სუყველას სხვადასხვა პროფილით სჭირდებოდა დახმარება და ექიმები თვითონ მირეკავდნენ ხოლმე – უკვე ცნობდნენ ჩემს მოხუცებს და მაიკო, დღეს მე ვარ მორიგე, არ ინერვიულოო. და მეც, ყველაზე მძიმე რომელიც იყო, იმას მივყვებოდი. არ ვიცი საიდან მოდის ეს ძალა, მაგრამ უნდა მოიყვანო! თუნდაც, დღეს ხალხი რომ იძახის „მე რა შემიძლია?“ შენ თუ არ შეგიძლია, აბა ვის შეუძლია? სცადე და არ გამოგივიდა? ის მაინც გეცოდინება, რა გამოგდის და რა არ გამოგდის. თორემ, თუ ყველამ ხელები ასე ჩავიქნიეთ, მე დღეს აქ არ ვიჯდებოდი და თქვენ ვერ გაგესაუბრებოდით. თუნდაც, ის მაგალითი არ იქნებოდა, როგორ შევძელი. საკუთარ თავში უნდა იპოვო ძალა პირველ რიგში და არ არსებობს ადამიანი, რომელსაც ეს ძალა არ გააჩნია. არ არსებობს! თუ მოინდომებ, თუ რამეს მოინდომებ... სულ ვიძახდი, მკვლელები არ იბადებიან, ხდებიან, და რა აუცილებელია მაინც და მაინც ეს მოინდომოს [ადამიანმა]. იმდენი კარგი რამეა რომ მოინდომო – აურაცხელი!

სრულიად მარტო ვიყავი! მარტო დავრჩი მშობლებთან და დეიდებთან ერთად – არავინ მომხმარებია. ჩემი მშობლების და დეიდების მდგომარეობა რამოდენიმე თვეში ისე დაამძიმა ამ ომმა, თითქოს რამდენიმე ათეული წელი გასულიყოს – უცებ მოტეხა. თვეების განმავლობაში თითქოს წლები გაიქცა, იმდენი ცვლილება მოხდა მათში, ჯანმრთელობის მხრივ, ვიზუალის მხრივ, ყველა მხრივ... წელის დაზიანება მაქვს მე და ორნი კი ლოგინად ჩამივარდნენ. ორივეს შუაში მედგა საწოლი და ორივეს ვუვლიდი. რამოდენიმე წელიწადში მამა გარდაიცვალა, 3 თვეში დედამ ჩემ ხელებში დალია სული და ერთი წელიც არ იყო გასული, დეიდამაც ჩემ ხელებში დალია სული. მე მეუბნებოდნენ, საავადმყოფოში დააწვინეო, მაგრამა არა

– მე ვიცოდი, რომ მეტი გამოსავალი არ იყო. ბოლო, ამ ქვეყნიდან წასვლა... ზუსტად ვიცოდი, ის ერთადერთი ადამიანი ვიყავი, ვინც მათ გვერდით იქნებოდა და ისინიც მშვიდად წავიდნენ ამ ქვეყნიდან, შიშის გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ მე სრულიად მარტო... ის კი არა, სამძიმარზე ვერ შევდიოდი ხოლმე. ვიპოვე ჩემ თავში ძალა, რომ ეს შემემსუბუქებინა, მათ გვერდით ვმდგარიყავი, იმიტომ, რომ მეც დავბერდები, მეც დავდგები მაგ მომენტის წინაშე...

დღევანდელი გადმოსახედიდან მგონია, რომ ეს მე არ ვიყავი... არ ვიცი, როგორ შევძელი. ყოველთვის ვიძახი, თუ უფლის ნება არ არი, მარტო ჩვენ თავს ნუ დავაბრალებთ. ამას არ ვიცი, რა წინადადება მოვუძებნო – არსებობს რაღაცა ისეთი, რაც შენ ძალას გაძლევს. თუნდაც, მქონია ეგეთი მომენტები – საავადმყოფოში ვმდგარვარ და ამ დროს მეორე საავადმყოფოდან მირეკავენ. მაშინ არ ვმუშაობდი, ვერ ვმუშაობდი, არ მეცალა და საჭმელი რომ მიმეტანა, მანქანის ფული არ მქონია და მიტირია... ფული არ მქონდა და ვტიროდი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა და მოწმენდილ ცაზე დამირეკა ჩემმა მეგობარმა გერმანიიდან. მითხრა, რაღაცა ცოტა თანხა მაქვს... აი, საერთოდ რომ არ მითხოვია... მე არ შემიძლია იმის თქმა, რომ მიჭირს – ეს კატეგორიაცა ვარ. შემიძლია წავიდე, დავალაგო. მეთაკილება, მაგრამ ჩემი გავაკეთო, რა... ვიდრე მივიდე და [ვითხოვო]. ნუ, არის შემთხვევები, შეიძლება ადამიანს დავესესხო, ადამიანური მდგომარეობაა, მაგრამ [ზოგი] ისეთია, რომ ვერ გავბედავ. მე რაღაცებს არ დავეთანხმე და მარტომ გავბედე – თუნდაც, კაბინეტი დავტოვე, სამსახურიდან წამოვედი და ერთ კვირაში, ჩვეულებრივად, სასტუმროში დამლაგებლად გავედი. მე რომ ბალიშზე თავს დავდებ, მშვიდად ვდებ – ჩემი მშობლების წინაშეც, ჩემ თავთან პირველ რიგში და კიდევ ბევრი რაღაცა... არის ხოლმე ისეთი მომენტები, ზოგჯერ გავმხდარვარ ზოგიერთი ადამიანისთვის ცოტა სტიმულის მიმცემი რაღაცებში.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც გავიარეთ, ორგანიზაციები ძალიან ბევრ რამეში დამეხმარნენ. შეიძლება, ისე არ გვახსოვს, მაგრამ გარდამავალ, გადამწყვეტ მომენტებში ეს გვეხმარება. აი იმ გაჭირვების დროს, ის სიკეთე, ის ცოტ-ცოტა ადამიანობა რომ გასცეს, იმ სიკეთემ ჩემს სიკეთეს რაღაცა შემატა და ჯაჭვური რეაქცია წავიდა – ძალიან დიდი ჯაჭვური რეაქცია.

აქ ქართველი ქართველს კი არა, ადამიანი ადამიანს დაეხმარა და აქ მთავარი სიტყვაა „ადამიანი“!

ერთ მაგალითს ვიტყვი კიდევ, რაც დამეხმარა... ზოგადად, ქუჩაში დახმარების მთხოვნელ ადამიანებს ხომ შეატყობ, საშოვარზეა გამოშვებული თუ მართლა უჭირთ, და რავი, რაც მაქვს ხოლმე, შეიძლება გზის ფული დავიტოვო მაქსიმუმ და დანარჩენი მივცე... ამ ადამიანს ამოვუღე, რაც კი მქონდა... და, რომ მგონია, რო ყურადღებას არავინ მაქცევს, ერთი მოხუცი ადამიანი უცებ გზაში მეწევა, ხელს მკიდებს და მატრიალებს – წამოდი შვილო, წამომყევიო. ჩამკიდა ხელი და მივყავარ. დავიბენი, მეთქი რა უნდა. იქვე, კუთხეში საეკლესიო მაღაზიაში შემიყვანა, მამა გაბრიელის ზეთი იყიდა, ხატები, კრიალოსანი, საკმეველი და მომცა – დალოცვილი გამყოფოს უფალმა, შენ იმ ადამიანს დაეხმარეო. გატრიალდა და წავიდა. არ ვიცი, ვინ იყო...

ამ ადამიანმა დაინახა, მე ეს რომ გავაკეთე, მაგრამ რატო დამაკვირდა, არ ვიცი. ის თანხა ხომ შეიძლება, იმ მოხუცისთვის მიეცა, იმ გაჭირვებულისთვის, მაგრამ ასე მოიქცა. დღესაც მანქანაში მიკიდია ის კრიალოსანი.

ყველაფერი ღმერთის ნებაა. ხანდახან ვფიქრობ, ალბათ ღმერთმა მოგვცა ადამიანებს ქვეცნობიერად რაღაც ტვინში, რომ ყველაზე მძიმე დარტყმებს, რასაც ცხოვრებაში გაივლი, თითქოს, ტვინი დროთა განმავლობაში ამ ინფორმაციას კეტავს. იმ შეგრძნებებით დღესაც რომ გვახსოვდეს ყველაფერი, შეუძლებელია ადამიანმა იარსებოს, გამორიცხულია! ღმერთმა გვაჩუქა ეს ყველაფერი და ჩვენ დავარქვით ამას შეგუება. ამბობენ, დრო ყველაფრის მკურნალიაო – არაფრის მკურნალი არ არი! აბსოლუტურად არაფრის მკურნალი არ არი! როდესაც გავრილოვი დავინახე პარლამენტის სკამზე, მე მეორედ მესროლეს, მეორედ დამწვეს, გამანადგურეს. შეგრძნებები განმიახლდა კი არა, მეგონა ისევ იქ ვიდექი.